# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 4 ოქტომბერი 2000 №191 (1213) | ფასი 50 თეთრი



ვახტანგ ბზიკაძე

კაუნასიდან




მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

ლიტვა — საქართველო

7 ოქტომბერი, კაუნასი 19.00

# ყველანი მინდორზე!

## ლიტვაში სიმაღლეს რა ჭკუა აქვს

კაცმა არ იცის, რა გზას დაადგა კვირას ციხის საავადმყოფოდან გვირაბით გაქცეული 12 პატიმარი. სამაგიეროდ, თბილისის აეროპორტის პერსონალის ლამის ნახევარმა კარგად გაიგო, რომ საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული გუნდები გუშინ დილით ლიტვაში გამოფრინდნენ ჯერ აქ და მერე იტალიაში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების გასამართად.

ნაკრები სალაშქროდ არავის გაუცილებია, თუ არ ჩავთვლით საქართველოს ტელევიზიის პირველარხელებს და შეშფოთებულ საფეხბურთო იმიტატორ ოთარ მამასახლისს, რომელსაც კითხვაზე დამამშვიდებლად უპასუხეს — აბა, რა, თუ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავედით, რა თქმა უნდა, თან წაგიყვანთო.

თუ საქართველოს ნაკრებს ასეთი ბედნიერება ხვდა წილად, ცხადია, გამცილებელიც და გამყოლიც ახლანდელზე მეტი ეყოლება, ამჯერად კი თვითმფრინავი სანახევროდ ცარიელი იყო. გასაგებია რატომაც: საამხანაგო შეკრებას ჩვენი გუნდები ფაქტობრივად კაუნასში გადიან და ლეგიონერთა უმეტესობასაც ნაკრების მთავარი მწვრთნელები აქვე ელოდნენ.

გუშინ დილით, თბილისის დროით თერთმეტის ნახევარზე ქართველებმა გვერდი აუქციეს „ბრიტიშ ეირვეიზის" ბოინგს და ავიაკომპანია „ეარზენა-საქართველოს ავიახაზების" კუთვნილი ტუ-154-ით ვილნიუსისკენ აიღეს გეზი. ფრენას 2 საათი და 40 წუთი დასჭირდა, ვილნიუსიდან 102 კილომეტრით მოშორებულ კაუნასში ლარივით ავტობანით ჩასვლას კი საათნახევარი.

ეროვნული გუნდი სამშობლოდან 9 ფეხბურთელის ამარა გამოფრინდა: მეკარეები დავით გვარამაძე, ირაკლი ზოიძე; მცველები კახა კალაძე, ლევან სილაგაძე, ზურაბ ხიზანიშვილი, სევასტი თოდუა; ნახევარმცველები კახა გოგიჩაიშვილი, ზურაბ მენთეშაშვილი და თავდამსხმელი გიორგი დემეტრაძე.

სტუმრებს ვილნიუსში დახვდნენ ლიტვური გაზეთების რამდენიმე კორესპონდენტი და უფრო მეტი ფოტორეპორტიორი, რომლებმაც ასეთი ფოტოს გადაღებაც მოახერხეს — რევაზ ძოძუაშვილი, დავით ყიფიანი და ტრადიციულად ქართველთა საქომაგოდ ჩამოსული „XXI საუკუნის" პრეზიდენტი ანზორ კიკალიშვილი.

გუშინვე კაუნასში ჩამოსულ და სასტუმრო „კაუნასში" დაბინავებულ ცხრას ფრაიბურგელები ალექსანდრე იაშვილი, ლევან კობიაშვილი, ლევან ცქიტიშვილი, შვეიცარიული „ციურიხის" მიხეილ ყაველაშვილი და გოჩა ჯამარაული და ლატვიური რიგის „სკონტოს" ალექსანდრე რეხვიაშვილი შეუერთდნენ.

ერთი სიტყვით, ინგლისიდან დერბელი გიორგი ქინქლაძის და ჩელსელი რატი ალექსიძის, შოტლანდიიდან „დანდის" გიორგი ნემსაძის და გერმანული „კიოლნის" არჩილ არველაძის ჩამოსვლამდე ძოძუაშვილმა და ყიფიანმა გუშინ, აქაური დროით 16.30-იდან 18 საათამდე „ჟალგირისის" სტადიონზე 15 მოთამაშე ავარჯიშეს. ვულვერჰემპტონელ თემურ ქეცბაიას, რომელსაც სიმამრი გარდაეცვალა და კაუნასს კვიპროსიდან ჩამოვა, ხვალისთვის ელიან.

კარგი ბატონო, იყოს 15, მაგრამ არ გაინტერესებთ, როგორ ივარჯიშეს ასე კენტად? ნაადრევად, თითქმის 18 საათზე ჩამოლამებულ-გაავდრებულზე ყველა ფეხბურთელის ტრიბუნიდან ცნობა იოლი არ გამოდგა. ამიტომ, ერთი, რომლის თავიდანვე ცნობა გამიჭირდა, მიხვრა-მოხვრით არჩილ არველაძეს მივამსგავსე და, არც მეტი არც ნაკლები, სფფ-ს პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია კი გამოდგა.

მთავარი მწვრთნელებისა და პრეზიდენტის გარდა მინდორზე, ცხადია, მეკარეთა მწვრთნელი ოთარ გაბელია, გუნდის უფროსი რამაზ შენგელია და ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჩივაძეც იყვნენ. თანაც ყველანი საქმეში — ჩივაძემ ძოძუაშვილთან ერთად ბოლო ნახევარ საათს მცველები სილაგაძე, ხიზანიშვილი, თოდუა და მენთეშაშვილი ცალკე ავარჯიშა. გაზონზევე ნახავდით ფედერაციის გენმდივან ვალერი ჩოლარიასაც. ერთი სიტყვით, მინდორს მიღმა მხოლოდ ნაკრებს ნაწვევი, ახალნაოპერაციევი კახი ცხადაძე იყო.

საბოლოოდ გარკვეულია, რომ ლიტვასთან ქართველებს ვერაფრით დაეხმარება ჰოლანდიური „აიაქსის" შოთა არველაძე, რომელსაც „გრონინგენთან" მიღებული ტრავმის მერე ერთი კვირა ყავარჯნები დასჭირვებია. შოთა ვარჯიშს კი შესდგომია, მაგრამ, საეჭვოა, ერთ კვირაში იტალიასთან სათამაშოდ მზად იყოს.

გუშინწინვე ცნობილი იყო, რომ ეროვნულ გუნდს თავდასხმის კიდევ ერთი ლიდერი ზაზა ჯანაშიაც არ ეყოლება.

ალბათ იცით, ჯანაშია რევაზ ძოძუაშვილს დაუკავშირდა, „ზენიტთან" მატჩისას ტვინი შემერყა და ვერ შემოგიერთდებითო. გასაკვირი ის იყო, რომ ჯანაშიამ მატჩი ჩაამთავრა და რაკი საპატიო თუ არასაპატიო მიზეზით ნაკრებში გამოუცხადებლობა მისთვის აღარც პირველია და აღარც მეორე, ეჭვი გაჩნდა — „ლოკომოტივი" ჯანაშიას გამოშვებას კლავინდებურად თავს ხომ არ არიდებსო.

— სრულიად შესაძლებელია, ტვინი შეგერყეს, მაგრამ მატჩი დაამთავრო და გულისრევის შეგრძნება ამის მერეღა გაჩნდეს. თანაც ზაზამ დარეკა, ვწევარო და რა უფლება გვაქვს, არ ვენდოთ — ნაკრების ექიმმა დიმა ზაალიშვილმა ეჭვები კომპეტენტური აზრით გაფანტა.

ისე კი, ვარჯიშზე გაგონილი დავით ყიფიანის რეპლიკა, თავით თამაშისას მთავარი სიმაღლე კი არა, ჭკუააო, იმის ნიშანია, რომ ქართველები ტანმაღალ ლიტველებთან გამკლავებას ხერხით შეეცდებიან.

გუშინვე ქართველთა პარალელურად ლიტვამ დარიაუსის და საირენასის სპორტული ცენტრის 12-ათასიან სარბიელზე ივარჯიშა. სტასის სტანკუსი მეორე დღეა, გუნდს მშობლიურ ქალაქში ამზადებს და სამატჩო სტადიონის ქართველებისთვის დათმობას მხოლოდ 6 სექტემბერს აპირებს.

ერთი სასიამოვნო, არცთუ უმნიშვნელო სიახლე: ორივე გუნდი, ეროვნულიც და მის სიახლოვეს, სასტუმრო „ნერისში" მცხოვრები ახალგაზრდულიც, ერთთავად „ლოტოთია" შემოსილი. ამ ლურჯი ლეგიონის ერთფეროვნებაში დისონანსი თავდაპირველად თბილისს ორშაბათს ჩამოფრენილი კალაძის და დემეტრაძის ჯინსებმა შეიტანა — ახალი ფორმა ჩვენთვის ჯერ არ მოუციათო, თვითმფრინავში ჩასხდომამდე თქვა კალაძემ, რომელსაც ამ ზაფხულს დაშავებული ფეხი „შახტართან" მატჩისას გამიზეზებია და გუშინ მოფრთხილება მოუხდა — ვარჯიშის მეორე ნახევარს ყინულის საფენიანმა უცქირა.



ტვინშერყეული ჯანაშია საქართველოს ნაკრებს კვლავ ვერ დაეხმარება

იყო ერთი შეუსაბამობაც, რომელიც ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მურთაზ ხურცილავამ ვალერი ჩოლარიას შენიშვნისთანავე, დაგვაჯარიმებენო, ნაიკისკეპიანი თავის მოშიშვლებით იოლად გამოასწორა.

კაუნასს ჩამოსვლა უგვიანდება ახალგაზრდული ნაკრებისა და ებრაული რიშონის „ირონის" თავდამსხმელს კლიმენტი წიტაიშვილს, რომელსაც სავიზო პრობლემები გასჩენია. თუმცა, ახლა უკვე, როცა თქვენ „სარბიელს" კითხულობთ, იოლი შესაძლებელია, კაუნასში იყოს.

**არის სამუშაო ადგილები!**

*ბრაზილიის ნაკრები, მილანის „ინტერი", გერმანული „კაიზერსლაუტერნი", მადრიდის „ატლეტიკო", ფრანგული „სენტ ეტიენი" და „ტულუზი" აცხადებენ, რომ დღესდღეობით მათ გუნდებში მთავარი მწვრთნელის ადგილი ვაკანტურია.*


*დამატებითი ცნობებისთვის წაიკითხეთ „სარბიელის" საფეხბურთო გვერდები.*


# გაჭირვების პოლიტ-ეკონომიკა

## გასაკვირი არის განა?!



მუხრან გოგია



ალექსანდრე ცერცვაძე



გურამ მჭედლიძე



ვალერი სარავა

ოთხი ქართველი ოლიმპიელის — ალექსანდრე ცერცვაძის (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), გურამ მჭედლიძის (თავისუფალი ჭიდაობა), მუხრან გოგიასა და ვალერი სარავას (ორივე ძალოსნობა) სიდნეიში დარჩენამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია თბილისში. ვითარებაში გასარკვევად ბაჰრეინში დავუკავშირდით საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალურ მდივანს ემზარ ზენაიშვილს...

— ამ ოთხეულის ავსტრალიაში დარჩენის მიზეზებზე დანამდვილებით ვერაფერს გეტყვით — გვითხრა სეოკ-ის გენმდივანმა — ამის თაობაზე მათ არც ჩვენთან, დელეგაციის ხელმძღვანელობასთან ულაპარაკიათ და, როგორც გვითხრეს, არც მწვრთნელებთან და თანაგუნდელებთან. მე ვესაუბრე მათი გუნდების მწვრთნელებს, მითხრეს, ამ გადაწყვეტილების შესახებ არაფერი ვიცოდითო. ცერცვაძე, მჭედლიძე, გოგია და სარავა აეროპორტში, რეგისტრაციაზე რომ არ გამოცხადდნენ, ჩვენც მაშინ შევიტყვეთ ყოველივე. მხოლოდ ერთი დავადგინეთ — ოთხივე გაჭირვებას უჩიოდა. ვფიქრობთ, ისინი სამუშაოდ დარჩნენ, ოღონდ სპორტში თუ სხვა სფეროში, ვერ გეტყვით. ერთია, მათ სიდნეიში ისეთი შედეგები არ უჩვენებიათ, ვინმე მათით, როგორც სპორტსმენებით, დაინტერესებულიყო. ვიმეორებ, ეს ჩვენი ვარაუდია. მათ ავსტრალიაში ერთი თვე კიდევ შეუძლიათ ყოფნა. ისე, მიკვირს, რატომ გამოიწვია თბილისში ამ ფაქტმა ამხელა აჟიოტაჟი. ავსტრალიაში უამრავი ხალხი დარჩა და მერწმუნეთ, ამაში პოლიტიკური არაფერია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს 12 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი წრე
7 ტური

# დავისვენოთ ჩვენც...

რა დიდი დრო ორი კვირაა, წამიერად გაფრინდება და ჩათვალეთ, რომ ეროვნულ ჩემპიონატში წუთშესვენება გამოცხადებული.

ბევრ ჩვენებურ მწვრთნელს იმ ორი კვირის იმედი აქვს, არეულს დავალაგებთ, ტრავმებს მოვიშუშებთ და უკეთესად მოვემზადებითო. არეულის დაწყობისა და უკეთ მომზადების რა მოგახსენოთ, ამის გაკეთება სეზონის დაწყებამდე უფრო უპრიანი იქნებოდა, ტრავმების მოშუშება კი შეიძლება.

სანამ სანაკრებო ამბებზე ვინერვიულებდეთ, მანამ კიდევ ერთხელ გავიხსენოთ მეთორმეტე ეროვნულის მეშვიდე ტური. ის ვთქვათ, ვინ რა მოიგო, ან თუ წააგო რატომ? ამ პრობლემის მოგვარებას მაინცდამაინც ბევრი ფიქრი და ოფლის ღვრა არც სჭირდება, მით უმეტეს, სასწაული და აქამდე უნახავი არაფერი ყოფილა.

დიდი იმედებით ეწვია „კოლხეთი“ თბილისს. კიდევ ერთხელ ეწადა „დინამოსთვის“ მოეგო, მაგრამ კვირას ის არ გამოვიდა, რაც ფოთელებს აქამდე, თანაც არაერთხელ მოუხერხებიათ.

ზაველი ლალანიძემ თავისებურად ჩაუხვია ბურთი გრიშიკაშვილს. მთელი 40 წუთი ახლოს იყო „კოლხეთი“ მიზანთან, მაგრამ შელიამ თავური დარტყმით აღადგინა წონასწორობა და ფოთელთა იმედმაც ნელ-ნელა იწყო ქრობა. არა, ზღვისპირელებს ყურები მაშინაც არ ჩამოუყრიათ, როცა „დინამო“ დაწინაურდა, მაგრამ...

სტუმართა აზრით, მათ კარში დანიშნული თერთმეტმეტრიანი მხოლოდ მსაჯის ფანტაზიის ნაყოფი გახლდათ, რამაც საბოლოოდ „კოლხეთს“ წააგებინა კიდეც. მსაჯის აზრით, წესების დარღვევა აშკარა იყო, ხოლო სპეციალისტთა და ქომაგთა ვარაუდები ორად გაიყო, ერთნი ფოთელებს უჭერდნენ მხარს, მეორენი არბიტრს ამართლებდნენ.

ასე იყო თუ სხვაგვარად, საბოლოოდ „ეროვნულზე“ 3:2 დაფიქსირდა მასპინძელთა სასარგებლოდ.

დინამოელთა თავკაცი რევაზ არველაძე იმას გაუხარებია, „დინამომ“ კბილები რომ გამოაჩინა. ვნახოთ, თუ იქცევა კბილი ეშვად. ყოველ შემთხვევაში, მწვრთნელს ამის იმედი აქვს.

კოლხთა დამრიგებელ სოსო ფილიას, მისივე თქმით, კლიტე ხელთ უპყრია და ახლა თურმე იმ გასაღებს დაეძებს, რომელიც კლიტეს გაუხსნის. როგორც ფილიამ მოგვახსენა, გასაღებების ასხმა საკმაოდ დიდი და მრავალფეროვანი ყოფილა. ეს კი დიდი თავსატეხია.

„დინამო“ ახლა მეოთხეა, „კოლხეთი“ ბოლოდან მეოთხე. ალბათ, მოვა ის დროც, როცა ისინი ჩემპიონატში კუთვნილ და სასურველ ადგილებს დაიკავებენ.

მანამდე კი ქუთაისური „ტორპედო“ ლაღობს. უდანაკარგოდ მიდიან რიონისპირელები. მართალია, გამარჯვებები ბოლო დროს ძალიან ძნელად მოდის, მაგრამ გათამაშების ცხრილში ჯერჯერობით მხოლოდ ქუთაისელთა ერთპიროვნული ლიდერობაა გამოსახული.

„მერანს“ მოუგო „ტორპედომ“, არადა, რომ წაეგო, არ გაგვიკვირდებოდაო, ამბობენ მატჩის თვითმხილველები. გამარჯვებას კი ქუთაისელები მცველ ჯაბა თავბერიძეს უმადლოდნენ. ტორპედოელმა წითელი ბარათის ფასად შეაჩერა მერანელი გოდერძიშვილის საგოლე კონტრშეტევა. იმ დროისთვის სტუმრები იგებდნენ, მერე კი კაცნაკლულ მასპინძლებთან დათმეს შეხვედრა და ამაში მსაჯს ადანაშაულებენ, ჩვენს კარში არარსებული თერთმეტმეტრიანი მოიგონაო.

ეს მეტად საგულისხმო არგუმენტია, მაგრამ არა ისეთი, წაგებას ბოლომდე რომ გაამართლებს. თუ მოგება სურდა, კაცნაკლულ მეტოქეს „მერანი“ უნდა გასწორებოდა. ჰქონია კიდეც მომენტები, მაგრამ „ტორპედომ“ მეტად გამოიყენა შანსიო.

ქუთაისში ავჭალელთა ორივე უკრაინელმა ითამაშა. მუხინი იმერეთშიც კარგი და სასარგებლო მოთამაშე გამოდგა, პოდლესნი კი ჯერ ვერ გამოიყურებოდა საკადრისად, მაგრამ ფეხბურთი არ ეხერხებაო, ვერც მასზე ვიტყვით. სხვისი არ ვიცი, მაგრამ ის ორკვირიანი შესვენება, რომელიც ჩემპიონატშია გამოცხადებული, პოდლესნის ნამდვილად წაადგება. მოლონიერდება, მოშინაურდება და...

„ბათუმმა“ საკმაო წინააღმდეგობა გაუწია „ლოკომოტივს“, თუმც საბოლოოდ ეს საკმარისი არ გამოდგა ქულის მოსაპოვებლად. რკინიგზელთა სიმარჯვეს მამუკა რუსიამ დაუდო სათავე და მანვე დააბოლოვა. ლოკომოტიველმა ორივე ტაიმის ბოლოსკენ გამოიჩინა თავი, მათ შორის ღლონტის გოლი იყო, რომელსაც გინდ იმედის, გნებავთ, პრესტიჟისა, ანაც ნუგეშისა უწოდეთ. „ბათუმმა“ წააგო და ბოლოდან მესამეა. „ლოკომოტივი“ კი „ტორპედოს“ კუდში მისდევს და იმას ელის, როდის გადაუბრუნდება ჩემპიონს ფეხი.

მეთერთმეტე ეროვნულის ვიცე-ჩემპიონმა და ამჟამად მესამეადგილოსანმა „ვიტ ჯორჯიამ“ რუსთავში ვერ ითამაშა საკადრისად. მიზეზი ბევრია: ატალახებული მინდორი, საგოლე მომენტების გამოუყენებლობა და ასე შემდეგ, მაგრამ უთავდამსხმელო „გორდამ“ უფრო რეალური მომენტები შექმნა და არ შეიძლება, ეს ვიტელთა ხელმძღვანელობას არ აფიქრებდეს.

ქულები, თანაც გაუთვალისწინებელი, იკარგება, საგაზაფხულოდ დანაკლისის აღდგენა კი ძალიან გაჭირდება. გაზაფხულზე ყველა მოწინააღმდეგე მოძლიერებული და საპრიზო სამეულისთვის მებრძოლი ეყოლება.

რუსთაველებს სასწრაფოდ სჭირდებათ თავდამსხმელი, მაგრამ არა გვგონია, ვინმემ დაუთმოს. ისე, წესით და რიგითაც აკრძალულია ახლა ახალი მოთამაშის შემატება. ალადაშვილის საფიქრალი მისი ვაჟის, კახას ჯანმრთელობაა და იქნებ როგორმე ჩამოიყვანონ უკრაინაში უფულოდ დარჩენილი ივერიანი, თორემ...

მცხეთაში კინაღამ ნიაღვარმა წალეკა მწვრთნელ-ფეხბურთელები, ქომაგები და მსაჯებიც. წყალი იყო ყველგან, მინდორზე, გასახდელში, ტრიბუნებზე და სტუმართა ლოჟაშიც.

შეიძლებოდა თუ არა თსუ — „იბერიას“ გადადება? ჩემს აზრს თუ ვინმე გაითვალისწინებს, მაშინ ალალად ვიტყვი, რომ თამაშის შეწყვეტის რამდენიმ მიზეზი არსებობდა. ტრიბუნების მხარეს, სათადარიგოთა სკამთან, გვერდითი ხაზი თავიდან ბოლომდე წყლით იყო დაფარული, მინდორზე ბურთი არ გორავდა და ასე შემდეგ.

მიუხედავად ამისა, სტუმარ-მასპინძელი თამაშზე ყაბულს იყო. მსაჯ-დელეგატმა მატჩის გაგრძელება ისურვა და თავიანთი საქმისა მათ უკეთ მოეხსენებათ.

„არმაზზე“ ისეთი ვითარება იყო, მატჩი არ უნდა ჩატარებულიყო. გუნდებმა მაინც ითამაშეს, მაგრამ ეს არც იყო ფეხბურთი. სამაგიეროდ, იყო ბრძოლა, მონდომება და თავდადება. თსუ-მ მესამე გამარჯვებას ძნელად მიაღწია, არადა, ნორმალურ პირობებში, შეიძლებოდა, „იბერიასთვის“ გაცილებით მეტი გოლი გაეტანა.

უიმედო აუტსაიდერია სოსო ფრუიძის გუნდი. არადა, „იბერიას“ შეეძლო ბევრისთვის გაეჩინა თავსატეხი, მაგრამ იძულებულია, ალმა-დალმა წანწალსა და თავშესაფარის ძიებაში ფლანგოს დრო და ასე რომ ვერაფერს გააწყობს, ფაქტია.

ბოლნისში პირველად იმარჯვა „სიონმა“. საერთოდ გორელებს „თემურ სტეფანიაზე“ თამაში მუდამ უჭირდათ და არც ახლა მომხდარა გამონაკლისი. მასპინძელთა შეტევების სულისჩამდგმელი დავით სოლოლაშვილი მთელი თამაშის მანძილზე საგოლე პასებით ამარაგებდა თანაგუნდელებს. ისინიც სეტყვავდნენ სტუმართა კარს, მაგრამ ხან სამიზნეს ვერ ისწორებდნენ, ხანაც „დილას“ მეკარე სოლოლაშვილი ყოჩაღობდა.

ვასილ მაისურაძემ და შალვა ისიანმა ორჯერ მაინც მოახერხეს შედეგიანი გასროლა და „სიონის“ ქომაგებმა ხასიათიც გამოიკეთეს.

„დილას“ კი ადრინდელივით საქმეები აწყობილად ვერ მისდის. საფრთხის ქვეშაა უზრუნველი და მშვიდი ცხოვრება. თუ გორელებმა ასე გააგრძელეს, ექვსეულზე ოცნებამ მოგჭამათ ჭირი. თავის გადასარჩენად ბრძოლას კი გორელები არ არიან ჩვეულნი და მეტად გაუჭირდებათ.

იმედია, „დილას“ ხელმძღვანელებმა იციან, გუნდს როგორ უმკურნალონ, ყველაფერს ვილონებთ, მდგომარეობას გამოვასწორებთ, მაგრამ მსაჯებთან ვერაფერი გავაწყვეთო.

„მსაჯების წყალობით რაც დავკარგეთ, თითქმის ყველამ კარგად იცის. ერთხანს ვიფიქრეთ, ყველაფერი გამოსწორდაო, მაგრამ არაფერი გამოდის.

დღეს „დილა 2“-ის მწვრთნელ-მოთამაშეები იყვნენ ჩემთან. ახალგაზრდა, ჯერაც უწვერული ბიჭები არიან, „დილას“ მომავალი. თვალცრემლიანები ყვებოდნენ, მსაჯმა გამარჯვება ძალით გამოგვგლიჯა ხელიდანო. ან ბოლო მოეღოს ამას, ანაც გადამჭრელ ზომებს მივიღებ“ — აღშფოთებულმა დაგვირეკა რედაქციაში „დილას“ პრეზიდენტმა გურამ ნოზაძემ. ჩემს სათქმელს ბოლომდე მოგვიანებით ვიტყვიო შეგვპირდა.

ისევ მსაჯები, ისევ შეცდომები, უნებლიე თუ წინასწარ განზრახული. ამ პრობლემის დასასრული არა ჩანს. მოკლედ, გაგრძელება იქნება.

მეშვიდე ტურში მასპინძელთა დღე იყო, 6 მატჩში 13 ქულა მოაგროვეს და 9 გოლი გაიტანეს. სტუმართა მონაგარი 4 ქულა და 5 გოლია. არა უშავს, უარესიც ყოფილა და უკეთესიც გვინახავს.

მერვე ტურამდე კი შეგვიძლიათ დაისვენოთ, ძალები აღიდგინოთ, გულები გაიმაგროთ და იქნებ ფეხბურთიც დაბრუნდეს საქართველოში. არადა, იმის შემყურეებს რაც ახლა გაგვაჩნია, კაი გაძლება და მაგარი გული გვჭირდება.

**მამუკა ქვანტალიანი**



გიორგი ქორიძემ (ბურთით) „გორდას“ დაცვას ვერაფერი მოუხერხა



დინამოელები, ვაშაკიძე (მარცხნივ), შელია (№4), და გადელია კოლხებს, გოროზიასა (№2) და ფანჩულიძეს ბურთს ეცილებიან

დღევანდელ „სარბიელში“ საფეხბურთო გვერდებია 2, 3, 4, 5, 6, 11, 12

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი წრე

# 7 ტური

სტატისტიკა

## ჩემპიონატის სტატისტიკა

| | |
|---|---|
| ტური | 7 |
| მატჩი | 41 |
| გოლი | 103 |
| გოლი საშუალოდ მატჩში | 2,51 |
| მასპინძელთა მოგება | 23 (56%) |
| ფრეები | 5 (12%) |
| სტუმართა მოგება | 13 (32%) |
| საერთო დასწრება | 61 250 |
| საშუალო დასწრება მატჩზე | 1 494 |
| საუკეთესო დასწრება ტურზე | III: 6 000 |
| მწირი დასწრება ტურზე | VII: 50 |

| დაჯარიმდა | | სემ |
|---|---|---|
| მასპინძელი | 92 | 18,40 |
| სტუმარი | 95 | 19,00 |
| სულ | 187 | 37,40 |
| **კუთხური** | | სემ |
| მასპინძელი | 31 | 6,20 |
| სტუმარი | 13 | 2,60 |
| სულ | 44 | 8,80 |
| **კარისკენ დარტყმა** | | სემ |
| მასპინძელი | 30 | 6,00 |
| სტუმარი | 17 | 3,40 |
| სულ | 47 | 9,40 |
| **კარში დარტყმა** | | სემ |
| მასპინძელი | 21 | 4,20 |
| სტუმარი | 12 | 2,40 |
| სულ | 33 | 6,60 |
| **თამაშგარე** | | სემ |
| მასპინძელი | 19 | 3,80 |
| სტუმარი | 18 | 3,60 |
| სულ | 37 | 7,40 |

სემ - *საშუალოდ ერთ მატჩში*

## ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 7 - დ. გოდერძიშვილი | *მერანი* |
| 5 - იონანიძე | *ტორპედო* |
| 4 - გ. შენგელია | *ლოკომოტივი* |
| რუსია | *ლოკომოტივი* |
| 3 - ა. მუჯირი | *ბათუმი* |
| წუწუნავა | *თსუ* |
| მელქაძე | *ვიტ ჯორჯია* |
| ფანჩულიძე | *კოლხეთი* |
| შავგულიძე | *კოლხეთი* |
| გონჩაროვი | *ლოკომოტივი* |

### ტორპედო 2:1 მერანი

| | | |
|---|---|---|
| 19 | დაჯარიმდა | 25 |
| 13 | კუთხური | 2 |
| 7 | კარისკენ დარტყმა | 0 |
| 6 | კარში დარტყმა | 4 |
| 3 | თამაშგარე | 7 |

### დინამო 3:2 კოლხეთი

| | | |
|---|---|---|
| 11 | დაჯარიმდა | 16 |
| 3 | კუთხური | 2 |
| 7 | კარისკენ დარტყმა | 3 |
| 6 | კარში დარტყმა | 3 |
| 1 | თამაშგარე | 0 |

### სიონი 2:0 დილა

| | | |
|---|---|---|
| 23 | დაჯარიმდა | 24 |
| 7 | კუთხური | 2 |
| 4 | კარისკენ დარტყმა | 1 |
| 4 | კარში დარტყმა | 1 |
| 7 | თამაშგარე | 3 |

### გორდა 0:0 ვიტ ჯორჯია

| | | |
|---|---|---|
| 9 | დაჯარიმდა | 16 |
| 4 | კუთხური | 3 |
| 7 | კარისკენ დარტყმა | 8 |
| 3 | კარში დარტყმა | 2 |
| 3 | თამაშგარე | 2 |

### თსუ 1:0 იბერია

| | | |
|---|---|---|
| 30 | დაჯარიმდა | 14 |
| 4 | კუთხური | 4 |
| 5 | კარისკენ დარტყმა | 5 |
| 2 | კარში დარტყმა | 2 |
| 5 | თამაშგარე | 6 |



ბათუმელ ამირან მუჯირს ლოკომოტიველი ვალერი აბრამიძე (მარცხნივ) გადაელობა

ქუთაისი
1 ოქტომბერი
16 საათი
ტორპედო
2 000 (ტევადობა 19 432)

## ტორპედო 2:1 მერანი

0:1 გოდერძიშვილი (16), 1:1 იონანიძე (65პ), 2:1 იმედაძე (87)
**ტორპედო:** ზოიძე, ახვლედიანი, ხვადაგიანი, შალამბერიძე, თავბერიძე, ჩხეტიანი, გუჩუა, კ. კვეტენაძე (ჩხაიძე 71), იმედაძე (მახვილაძე 88), ასათიანი (შეყრილაძე 81), იონანიძე
*სათადარიგონი:* ტოგონიძე, თურმანიძე, ვაჩიბერაძე, ბობოხიძე
**მერანი:** დევაძე, გუჯაბიძე, ცქიფურიშვილი, დევიძე (ბაჯელიძე 75), კაკუბავა, ჭინჭარაული, დ. გოდერძიშვილი, მუხინი, პოდლესნი, ხორხელი (თოლორდავა 88), ბოლქვაძე (როსტიაშვილი 77)
*სათადარიგონი:* ნაჭყებია, ოდიშარია, გ. ილურიძე, ჩანადირი
**გაფრთხილება:** ბოლქვაძე (9), ჭინჭარაული (48)
**გაძევება:** თავბერიძე (67)
**მსაჯები:** მ. მალალურაძე, ლ. სილაგავა (ორივე თბილისი), ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა); ლ. მიქელაძე (სამტრედია)
**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. კობიაშვილი

ბოლნისი
1 ოქტომბერი
16 საათი
თემურ სტეფანია
800 (ტევადობა 3 000)

## სიონი 2:0 დილა

1:0 ვ. მაისურაძე (4), 2:0 ისიანი (76პ.)
**სიონი:** ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, ასპინძელაშვილი, იოსებაშვილი, დიმიტრიშვილი (სვანიძე 87), ვ. მაისურაძე, მოსეშვილი (დ. ჯაფარიძე 86), ზარნოვი, სოლოლაშვილი, ისიანი (კ. მეტრეველი 84), წიქწივაძე
*სათადარიგონი:* დალაქიშვილი, ჩაგელიშვილი, თ. სამხარაძე, მ. სამხარაძე
**დილა:** სოლოლაშვილი, აკოფიანი, გრიგალაშვილი, ლ. გოჩაშვილი, გაგნიძე, რევაზიშვილი, ფეზუაშვილი, დ. მაისურაძე (გ. ლომიძე 59), ხოხობაშვილი (ხორგუაშვილი 65), კოტორაშვილი (საყვარელიძე 79), ხმალაძე
*სათადარიგონი:* სოხიშვილი, გ. ტულუში
**გაფრთხილება:** ფეზუაშვილი (3), რევაზიშვილი (23), დ. მაისურაძე (49), დიმიტრიშვილი (63)
**გაძევება:** გოჩაშვილი (75)
**მსაჯები:** ს. კვარაცხელია, კ. მესხი (ორივე ზუგდიდი), ზ. მენთეშაშვილი (თბილისი); ა. ორდინიძე (ონი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. გვანცელაძე

თბილისი
1 ოქტომბერი
16 საათი
ეროვნული
600 (ტევადობა 70 900)

## დინამო 3:2 კოლხეთი

0:1 ლალანიძე (7), 1:1 შელია (47), 2:1 სიჭინავა (54პ), 2:2 ხუჭუა (58), 3:2 ზამთარაძე (79)
**დინამო:** გრიშიკაშვილი, ქემოკლიძე, ი. ვაშაკიძე, შელია, ა. სახვაძე, შაშიაშვილი (ზამთარაძე 46), ჯინჭარაძე, დათუაძე (რუხაძე 80), სიჭინავა, გადელია (ზირაქიშვილი 80), კ. გოგოლაძე
*სათადარიგონი:* ჩიხრაძე, ბურდული, მაზიაშვილი, გ. ვ. მიქაძე
**კოლხეთი:** მ. გვასალია, გოროზია, ტორჩინავა, პაპავა, ფანჩულიძე, კიკლიაშვილი, ლალანიძე, ე. გვასალია (მალაკელიძე 46), კვირკველია (ახალკაცი 22), შავგულიძე, ხუჭუა
*სათადარიგონი:* ჩემია, თედეევი, გ. ჩიტაია, კედელაშვილი, ქუნთელია
**გაფრთხილება:** დათუაძე (26), ხუჭუა (30)
**მსაჯები:** დ. სანაია (სოხუმი); ბ. დოლიძე (თბილისი), ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); ზ. ჯვარიძე (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ლ. ყიფიანი

ბათუმი
1 ოქტომბერი
16 საათი
დინამო
2 000 (ტევადობა 20 000)

## ბათუმი 1:2 ლოკომოტივი

0:1 რუსია (35), 1:1 ლლონტი (49), 1:2 რუსია (78)
**ბათუმი:** ბედიაშვილი, მჟავანაძე, მინდაძე, პაპიძე, დარჩიძე (თევდორაძე 81), ლლონტი, რომანაძე (კაკაბაძე 83), გელა ქორიძე, აფხაზავა, მუჯირი, ყულეჯიშვილი (ბეჟანიძე 85)
*სათადარიგონი:* ჯგაში, ქაცარავა, სიხარულიძე, ჩოხელი
**ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი, აბრამიძე, თოდუა, გოგიჩაიშვილი, კვარაცხელია, ქიქველიშვილი, ლევან სილაგაძე, გონჩაროვი (პარამონოვი 90), ხიზანიშვილი, რუსია (გილაური 83)
*სათადარიგონი:* ასლანაძე, ხუროძე, სალუქვაძე, აფციაური
**გაფრთხილება:** მუჯირი (14), ქიქველიშვილი (16), პაპიძე (87)
**მსაჯები:** ა. შილაკაძე, მ. ელიკაშვილი, ს. შალამბერიძე (ყველა თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** კ. ყრუაშვილი

რუსთავი
1 ოქტომბერი
16 საათი
ფოლადი
1 000 (ტევადობა 10 700)

## გორდა 0:0 ვიტ ჯორჯია

**გორდა:** ნიკურაძე, გაბელაია (მჭედლიძე 74), ბაჩილავა, ბურნაძე, მელაძე, ზ. ლაბაძე, მიშველიძე, ა. ბუკია (მ. სახვაძე 53), ლაშა სილაგაძე (კიტეიშვილი 50), დ. ბერიძე, ბექაური
*სათადარიგონი:* გონგაძე, პატარიძე, ფოჩხუა, გ. გ. მიქაძე
**ვიტ ჯორჯია:** მერლანი, საჯაია, ჭანკოტაძე, ჯ. მუჯირი, კობიაშვილი, ლ. ნოზაძე, დილმელაშვილი, ზვ. გვაზავა (დეკანოსიძე 76), გიორგი ქორიძე, სულთანიშვილი (გოჩაშვილი 78), ლ. მელქაძე
*სათადარიგონი:* სტურუა, ინწკირველი
**გაფრთხილება:** ბერიძე (19), საჯაია (40), ქორიძე (83)
**მსაჯები:** პ. დოგრაშვილი, გ. კიკაჩეიშვილი, ნ. რუსიშვილი (ყველა ქუთაისი); ა. კრიჭაშვილი (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. კაკულია

მცხეთა
1 ოქტომბერი
16 საათი
არმაზი
50 (ტევადობა 3 000)

## თსუ 1:0 იბერია

1:0 გოცირიძე (39)
**თსუ:** გუგუნავა, ზვ. ლაბაძე, ხარებავა, ებრალიძე, სვანაძე, რ. გოცირიძე, წუწუნავა (ა. ბოკერია 87), ახალაძე, ერაძე, ბ. ნოზაძე (არეშიძე 28), ვადაჭკორია
*სათადარიგო:* მამარდაშვილი;
**იბერია:** ვარდანიძე, ქვანია, გ. ნოზაძე, სანიკიძე, მიქელთაძე, ხმალაძე, ჩიმაკაძე (ყურაშვილი 46), ზ. მეტრეველი (ონიანი 82), ბიწაძე, ოდიკაძე, გიგიაძე
*სათადარიგონი :* ჩომახიძე, ჭოლაძე
**გაფრთხილება:** გიგიაძე (23), წუწუნავა (40), გოცირიძე (70)
**მსაჯები:** ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), მ. ურუშაძე (თბილისი); კ. გაბრიაძე (ქუთაისი);
**სფფ-ის ინსპექტორი:** ე. სილაგავა

## სიმბოლური ნაკრები

| მოთამაშე | გუნდი |
|---|---|
| მამუკა რუსია | *ლოკომოტივი* |
| გიორგი იმედაძე | *ტორპედო* |
| ზაური ლალანიძე | *კოლხეთი* |
| დავით სოლოლაშვილი | *სიონი* |
| ანდრეი მუხინი | *მერანი* |
| ლაშა მელაძე | *ვიტ ჯორჯია* |
| გურამ ხარებავა | *თსუ* |
| გურამ ასპინძელაშვილი | *სიონი* |
| გიორგი ჭანკოტაძე | *ვიტ ჯორჯია* |
| ბადრი ახვლედიანი | *ტორპედო* |
| აკაკი დევაძე | *მერანი* |

გუნდი: ლოკომოტივი
მწვრთნელი: რევაზ ძოძუაშვილი

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ტორპედო | 7 | 7 | 0 | 0 | 12:2 | 10 | 21 | 4 | 4 | 0 | 0 | 7:2 | 5 | 12 | 3 | 3 | 0 | 0 | 5:0 | 5 | 9 |
| 2 ლოკომოტივი | 7 | 6 | 0 | 1 | 19:4 | 15 | 18 | 3 | 2 | 0 | 1 | 9:1 | 8 | 6 | 4 | 4 | 0 | 0 | 10:3 | 7 | 12 |
| 3 ვიტ ჯორჯია | 7 | 4 | 2 | 1 | 10:3 | 7 | 14 | 3 | 2 | 0 | 1 | 2:1 | 1 | 6 | 4 | 2 | 2 | 0 | 8:2 | 6 | 8 |
| 4 დინამო | 7 | 4 | 0 | 3 | 8:10 | -2 | 12 | 3 | 2 | 0 | 1 | 5:5 | 0 | 6 | 4 | 2 | 0 | 2 | 3:5 | -2 | 6 |
| 5 მერანი | 7 | 3 | 2 | 2 | 11:9 | 2 | 11 | 4 | 3 | 1 | 0 | 7:3 | 4 | 10 | 3 | 0 | 1 | 2 | 4:6 | -2 | 1 |
| 6 გორდა | 7 | 2 | 4 | 1 | 8:11 | -3 | 10 | 4 | 2 | 2 | 0 | 6:3 | 3 | 8 | 3 | 0 | 2 | 1 | 2:8 | -6 | 2 |
| 7 თსუ | 7 | 3 | 0 | 4 | 10:13 | -3 | 9 | 4 | 2 | 0 | 2 | 5:7 | -2 | 6 | 3 | 1 | 0 | 2 | 5:6 | -1 | 3 |
| 8 დილა | 7 | 2 | 1 | 4 | 6:12 | -6 | 7 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:7 | -3 | 4 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | -3 | 3 |
| 9 სიონი | 7 | 2 | 0 | 5 | 6:8 | -2 | 6 | 3 | 1 | 0 | 2 | 4:4 | 0 | 3 | 4 | 1 | 0 | 3 | 2:4 | -2 | 3 |
| 10 კოლხეთი | 7 | 2 | 0 | 5 | 8:11 | -3 | 6 | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 1 | 6 | 4 | 0 | 0 | 4 | 3:7 | -4 | 0 |
| 11 ბათუმი | 7 | 2 | 0 | 5 | 7:12 | -5 | 6 | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 2 | 6 | 4 | 0 | 0 | 4 | 1:8 | -7 | 0 |
| 12 იბერია | 7 | 0 | 1 | 6 | 1:11 | -10 | 1 | 4 | 0 | 1 | 3 | 0:5 | -5 | 1 | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | -5 | 0 |



ბათუმელი გელა ქორიძე ლოკომოტიველთა „ესკორტით"

# მიხეილ აშვეთია: მეორე და ორი



მიხეილ აშვეთია
ორი შვილის მამა გახდა

მიხეილ აშვეთიას დღე იყო კვირას. მთავარი და მისალოცი ამბავი ისაა, რომ მიხოს მეორე ვაჟი შეეძინა. იმავე საღამოს მოსკოვის ცსკა-ს ორი ბურთი გაუტანა და თავის მწვრთნელ ალექსანდრ ავერიანოვს 52-ე დაბადების დღეზე ასეთი საჩუქარი მიართვა.

ვლადიკავკაზის სტადიონზე მხოლოდ 8 ათასი გულშემატკივარი მივიდა. „ალანიას" ბოლოდროინდელმა ჩავარდნამ, ცხადია, ქომაგებზე უარყოფითად იმოქმედა. მაგრამ ვინც თამაშს დაესწრო, ყველა ნასიამოვნები დარჩა. „ალანიამ" 2:1 მოუგო ცსკა-ს, თანაც ლამაზი, გააზრებული ფეხბურთი ითამაშა. გამარჯვებულთაგან კი საუკეთესო აშვეთია გახლდათ. ის მატჩის გმირადაც დაასახელეს.

დასაწყისშივე აშვეთიას წაქცევისთვის დანიშნული საჯარიმო ბახვა თედეევმა ხარიხას მოარტყა. მალევე პაულუ ემილიუ — ბაზაევის კომბინაციას ქართველის პირველი გოლი მოჰყვა. დაახლოებით 15 მეტრიდან აშვეთიამ ვარდნაში თავით გაუტანა მეკარე ნოვოსადოვს. მერე, პირველი ტაიმის ბოლოსკენ მასპინძლებს სწრაფი კონტრშეტევა გამოუვიდათ და ისევ ბაზაევის პასით აშვეთიამ მეორე შეაგდო. ვლადიკავკაზელი რეპორტიორის თქმით, ქართველს ჰეთ თრიკის შანსიც ჰქონდა, როცა მეორე ტაიმის დასაწყისშივე ოსტატურად ითამაშა, მაგრამ დაბალ კუთხეში დარტყმული კარს ოდნავ აცდა.

სანკტ-პეტერბურგში „ზენიტს" მოსკოვის „ლოკომოტივმა" აჯობა. აქაც საუკეთესო ფეხბურთელად ჩვენებური ზაზა ჯანაშია დაასახელეს. „ქართველმა ჩინებულად ითამაშა. სახიფათოდ უტევდა. გოლიც გაიტანა და ხარიხაც შეაზანზარა" — წერს რუსული „სპორტ ექსპრესი".

თამაშის დაწყებიდან ნახევარი საათი გასულიყო, როცა რკინიგზელმა ლოსკოვმა საჯარიმო დაარტყა. ბურთი თითქოს მეკარე ბერეზოვსკის უნდა აეღო, მაგრამ გამოსვლაზე შეცდა და ზაზამაც ცოტა უცნაურად, კართან ზურგით მდგომმა, თავით შეაგდო...

მეორე ტაიმში გუნდებმა თითო გოლი გაცვალეს და „ლოკომოტივმა" 2:1 მოიგო. თუმცა, ბოლოდროინდელი წარუმატებლობის ფონზე, საეჭვოა თანაქალაქელ „სპარტაკს" ოქროს მედლებისთვის შეებრძოლოს.

როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, ჯანაშიას თამაშის დროს თურმე ტვინის შერყევა მიუღია და საქართველოს ნაკრებს ლიტვა — იტალიაში ვერაფრით დაეხმარება.

უკრაინაში ჩემპიონატი ორკვირიანი შესვენების შემდეგ განახლდა. ტურის მთავარი მატჩი დონეცკში გაიმართა, სადაც ერთმანეთს ჩემპიონთა ლიგის მონაწილეები „შახტარი" და კიევის „დინამო" შეხვდნენ. სანახავად არცთუ ლამაზი მატჩი ფრედ 1:1 დამთავრდა. კიეველთა შემადგენლობაში ორივე ქართველმა, კახა კალაძემ და გიორგი დემეტრაძემ ითამაშეს. ორივე გააფრთხილეს და შეცვალეს. როგორც დინამოელთა მწვრთნელმა ალექსეი მიხაილიჩენკომ თქვა, ორივე ტრავმის გამო გაიყვანეს მინდვრიდან. მათ თამაშის გაგრძელება აღარ შეეძლოთ. მაგრამ...

პირველი ტაიმის შუაში კიეველებმა სწრაფი კონტრშეტევა წამოიწყეს. კალაძემ თითქმის მთელი მინდორი გაირბინა და საჯარიმოს კუთხესთან ბურთი დემეტრაძეს დაუგორა. მსაჯმა თამაშგარე აღნიშნა, მაგრამ დემემ მაინც გაიტანა და ყვითელი ბარათიც მიიღო. მეორე ტაიმში კალაძეც გააფრთხილეს. უფრო მეტიც, ერთ ეპიზოდში დონეცკელ ტიმოშჩუკს ეუხეშა და ორივე წაიქცნენ. მსაჯმა ხელი ჯიბისკენ წაიღო და კალაძეს ადგომა უბრძანა, მაგრამ კახა არ ჩქარობდა. როგორც ჩანს, მსაჯმა მიიჩნია, რომ კალაძე განგებ აჭიანურებდა წამოდგომას და ცოტა დააკლდა, მეორე ყვითელი ბარათი არ ეჩვენებინა. საერთოდ, როგორც ჩვენი უკრაინელი კოლეგები გადმოგვცემენ, კალაძე იმ საღამოს ერთობ აღგზნებული ყოფილა და ლობანოვსკიმაც ის იაშკინით შეცვალა.

ისევ გამოიჩინა თავი ნიველმა ავთანდილ კაპანაძემ. ლვოვის „კარპატის" ორი ხომ თვითონ გაუტანა და ერთიც თანაგუნდელ ხომენკოს გაატანინა. 5:2 მიუხედავად, „ნივას" თურმე რამდენჯერმე შეეძლო ანგრიშის გაზრდა, მაგრამ ავთანდილ კაპანაძის გარდა წინ აღარავინ მიდიოდა და საერთოდაც, „ნივას" თამაშის ავ-კარგი სწორედაც რომ კაპანაძის მოხერხებაზე ჰკიდიაო — ამბობენ უკრაინელები.

კვლავ გაიტანა გოჩა ჯამარაულმა. შვეიცარიის ჩემპიონატის მე-13 ტურში „ციურიხი" „სერვეტს" სტუმრობდა და რომ არა გოჩას 20 მეტრიდან ძლიერი დარტყმით გატანილი, წააგებდა. საბოლოოდ 1:1.

ჯამარაულის გოლი მისსავე ეფექტურ დრიბლინგს მოჰყოლია და ყველაფერი ძალიან ლამაზად გამოსულა. შეგახსენებთ, რომ გოჩამ წინა ტურშიც ულამაზესი ბურთი გაუტანა „ივერდონს".

როგორც იქნა, გაიტანა არჩილ არველაძემაც. კორექტურა არ გეგონოთ, არჩილს გერმანელი კომენტატორები სწორედ ასე ეძახიან. ბერლინში, „ჰერტასთან" მატჩის 23-ე წუთზე მოწინაალმდეგის საჯარიმოს სიახლოვეს მყოფმა ქართველმა ცაციათი დაბალ კუთხეში გაუტანა უნგრელ მეკარე გაბორ კირალის და თავისი ბუნდესლიგური გოლების ანგარიშიც გახსნა. მართალია, საბოლოოდ მისმა „კიოლნმა" 2:4 წააგო, მაგრამ იმედია, ლიტვა — იტალიის მატჩების წინ არჩილი ამ გოლით საკუთარ თავში უფრო დარწმუნებული იქნება.

აი, „ფრაიბურგმა" კი ზედიზედ მეორედ წააგო. ამჯერად შინ „ვერდერთან". სამივე ქართველმა: იაშვილმა, კობიაშვილმა და ცქიტიშვილმა მინდორზე 90 წუთი დაჰყვეს, მაგრამ...

წააგო გიორგი ქინქლაძის „დერბიმაც". ამჯერად „ცხვრები" ბირმინგებში „ასტონ ვილასთან" განადგურდნენ 1:4. მწვრთნელმა ჯიმ სმიტმა სტარიჯთან და დელაპთან ერთად ქინქლაძე მინდორზე მეორე ტაიმში გაიყვანა, მაგრამ არაფერი გამოვიდა და ახლა „დერბი" პრემიერლიგის ბოლო, მეოცე ადგილზეა...

**სოლომონ გულისაშვილი**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია** | | | | | | | | |
| ბუნდესლიგა | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | ვერდერი 0:1 | 90 | | 7 | 2 | 12 |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | შ | ვერდერი 0:1 | 90 | | 7 | 1 | 12 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | შ | ვერდერი 0:1 | 90 | | 6 | 0 | 12 |
| არჩილ არველაძე | კიოლნი | ს | ჰერტა 2:4 | 90 | 1 გოლი | 7 | 1 | 16 |
| მეორე ბუნდესლიგა | | | | | | | | |
| მიხეილ საჯაია | როიტლინგენი | ს | ჰანოვერი 1:5 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 1 | 0 | 10 |
| **ინგლისი** | | | | | | | | |
| პრემიერლიგა | | | | | | | | |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი | ს | ასტონ ვილა 1:4 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 5 | 1 | 20 |
| რატი ალექსიძე | ჩელსი | შ | ლივერპული 3:0 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 12 |
| პირველი დივიზიონი | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ვულვზი | ს | ნოტინგემი 0:0 | 0 | ოჯახური მდგ. გამო გამოტოვა | 6 | 2 | 15 |
| **შოტლანდია** | | | | | | | | |
| პრემიერლიგა | | | | | | | | |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | შ | კილმარნოკი 0:0 | 90 | | 9 | 0 | 6 |
| **ჰოლანდია** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | აიაქსი | ს | ჰერენვენი 2:2 | 0 | ტრავმირებულია | 5 | 2 | 5 |
| გოგა გახოკიძე | პსვ ეინდჰოვენი | ს | გრონინგენი 2:1 | 0 | | 0 | 0 | 3 |
| **ბელგია** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| გელა შეყილაძე | ლიერსი | შ | ჰარელბეკე 4:1 | 0 | დისკვალიფიცირებულია | 6 | 1 | 6 |
| ლაშა ჯაკობია | აალსტი | ს | ბეერსხოტი 0:2 | 0 | საქართველოში იმყოფებოდა | 0 | 0 | 15 |
| **შვეიცარია** | | | | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | ციურიხი | ს | სერვეტი 1:1 | 90 | 1 გოლი | 12 | 5 | 7 |
| მიხეილ ყაველაშვილი | ციურიხი | ს | სერვეტი 1:1 | 90 | | 11 | 5 | 7 |
| ლევან ხომერიკი | არაუ | ს | ლუგანო 1:1 | 90 | | 13 | 5 | 9 |
| **რუსეთი** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| ზაზა ჯანაშია | ლოკომოტივი | ს | ზენიტი 2:1 | 90 | 1 გოლი | 18 | 4 | 2 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | სპარტაკი | ს | ჩერნომორეცი 4:1 | 0 | სათადარიგო | 4 | 0 | 1 |
| მიხეილ აშვეთია | ალანია | შ | ცსკა 2:1 | 90 | 2 გოლი | 17 | 6 | 9 |
| მამუკა წერეთელი | ალანია | შ | ცსკა 2:1 | 90 | გააფრთხილეს | 16 | 0 | 9 |
| დავით გვარამაძე | კრილია | ს | ტორპედო 1:1 | 0 | სათადარიგო | 6 | -11 | 14 |
| ზურაბ ფოფხაძე | ნ.ნოვგოროდი | შ | ანჟი 1:4 | 90 | გააფრთხ., პენალტი გააცუდა | 7 | 1 | 15 |
| დავით ხმელიძე | როსტსელმაში | შ | ურალანი 3:0 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 12 |
| გიორგი დავითნიძე | ურალანი | ს | როსტსელმაში 0:3 | 0 | სათადარიგო | 1 | 0 | 16 |
| **უკრაინა** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| კახა კალაძე | დინამო | ს | შახტარი 1:1 | 75 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 4 | 0 | 1 |
| გიორგი დემეტრაძე | დინამო | ს | შახტარი 1:1 | 42 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 9 | 7 | 1 |
| ალექსანდრე კაიდარაშვილი | კრივბასი | ს | დღეს თამაშობს | | | 3 | 0 | 11 |
| გოჩა ტრაპაიძე | ტავრია | ს | მ. დონეცკი 0:0 | 63 | შეცვალეს | 6 | 1 | 6 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | ს | მ. დონეცკი 0:0 | 73 | შეცვალეს | 3 | 1 | 6 |
| ავთანდილ კაპანაძე | ნივა | შ | კარპატი 5:2 | 90 | 2 გოლი, საგოლე პასი | 8 | 4 | 12 |
| ტარიელ კაპანაძე | ნივა | შ | კარპატი 5:2 | 90 | | 8 | 0 | 12 |
| კახა დგებუაძე | ნივა | შ | კარპატი 5:2 | 57 | შეცვალეს | 10 | 2 | 12 |
| შოთა ჩომახიძე | ნივა | შ | კარპატი 5:2 | 90 | | 6 | 1 | 12 |
| ავთანდილ გვიანიძე | ნივა | შ | კარპატი 5:2 | 90 | | 3 | 1 | 12 |
| ავთანდილ სიხარულიძე | ნივა | შ | კარპატი 5:2 | 0 | | 4 | 0 | 12 |
| მიხეილ ფოცხვერია | დნიპრო | ს | მეტალისტი 1:0 | 0 | | 6 | 0 | 3 |
| ვიტალი დარასელია | ცსკა | | ტური გამოტოვა | | | 1 | 0 | 9 |
| **პოლონეთი** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | რუხი | შ | ამიცა 3:1 | ? | | ? | 0 | 13 |
| **ლატვია** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | სკონტო | შ | ვალმიერა 2:0 | 90 | | 16 | 3 | 1 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | შ | ვალმიერა 2:0 | 0 | | 15 | 4 | 1 |
| დავით ჩალაძე | სკონტო | შ | ვალმიერა 2:0 | 62 | შეცვალეს, გააფრთხილეს | 14 | 4 | 1 |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | შ | ვალმიერა 2:0 | 28 | შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი | 15 | 4 | 1 |
| ვალერი გაგუა | პოლიციასი | ს | დაუგავა 2:1 | 64 | შეცვალეს | 15 | 1 | 7 |
| **აზერბაიჯანი** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| ვარლამ კილასონია | ტურანი | ს | ვილიაში 1:4 | 0 | | 4 | 4 | 7 |
| გია კილასონია | ტურანი | ს | ვილიაში 1:4 | 90 | 1 გოლი | 5 | 4 | 7 |
| ჯაბა ნიკლაური | ტურანი | ს | ვილიაში 1:4 | 90 | | 5 | 2 | 7 |
| მამუკა ხუნდაძე | ქიაფაზი | | ტური გამოტოვა | | | 4 | 1 | 5 |
| კახაბერ ძებისაშვილი | ხაზარი | შ | დინ. ბაკილი 1:2 | 90 | გააფრთხილეს | 5 | 3 | 9 |
| გიორგი თვალაბეიშვილი | ხაზარი | შ | დინ. ბაკილი 1:2 | 90 | 1 გოლი პენალტით | 4 | 1 | 9 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

ჩვენი მეტოქეები

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

# ძველი ბიჭი აძურაში

## მიხეილ ფოცხვერიას ნაცემი ფრანჩესკო კოკო ქართველებს ანკონაში ელოდება



ჯოვანი ტრაპატონიმ მზადება დაიწყო

...დავით გვარამაძე, ლევან სილაგაძე, ლევან ცქიტიშვილი, რატი ალექსიძე; ჯანლუიჯი ბუფონი, მასიმო ამბროზინი, ფრანჩესკო კოკო, სტეფანო ფიორე და ალესიო ტაკინარდი...

ეს ის ფეხბურთელები არიან, რომლებიც სამი წლის წინ, 1997 წლის 10 სექტემბერს, რუსთავის „ფოლადის“ მწვანე მინდორზე (იმ დროს მართლაც რომ მწვანე იყო) გადაეყარნენ ერთმანეთს. მაშინ საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ნაქები, ცხვირაბზუებული და საკმაოდ თავდაჯერებული იტალიელი თანატოლები დაიფრინა. გუცაევის სამწყსომ იმ დაუვიწყარ მატჩში ყველა ის ღირსება ჩააქსოვა, რაც მოკვდავ ადამიანს ახასიათებს — ჟინი, ჯიგარი, ვაჟკაცობა... 68-ე წუთზე კი უკრაინაში დაბადებულ-გაზრდილ მიხეილ ფოცხვერიას ქართულმა სისხლმა უყივლა, ფრანჩესკო კოკოს მიერ მიყენებული შეურაცხყოფა ვერ აიტანა და იტალიელს სახეში ლაზათიანი მუშტი უთავაზა. კოკომ ხურდა დააბრუნა, არბიტრმა, შვეიცარიელმა ბრუნო როლანდომ კი მოჩხუბარნი მინდვრიდან მიაბრძანა...

ზემოთ ჩამოთვლილი ფეხბურთელები და რუსთავული მატჩი შემთხვევით არ გვიხსენებია. მოგეხსენებათ, 11 ოქტომბერს საქართველოს ეროვნული ნაკრები ანკონაში იტალიისას ხვდება. ჯოვანი ტრაპატონიმ, „სკუადრა აძურას“ თავკაცმა, რუმინეთთან (7 ოქტომბერს იტალიელები რუმინელებს ხვდებიან) და საქართველოსთან სათამაშოდ მხოლოდ რჩეულნი იხმო. ჰოდა, სავსებით შესაძლებელია, ზემოთნახსენები მოთამაშენი კვლავაც დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მათ შორისაა ფოცხვერიას ნაცემი ფრანჩესკო კოკოც. 24 წლის მილანელს დონ ტრაპისთვის ძალიან მოუწონებია თავი, სწორედ ასეთი ნახევარმცველი მჭირდება გუნდშიო, უთქვამს მწვრთნელს.

ტრაპატონის მოახლოებული ორი მატჩისთვის 22 კაცი შეურჩევია, რომელთა შორის ახალბედები ჭარბობენ: კოკო, დანიელე ადანი, ვალერიო ბერტოტო, ჯენარო გატუზო და ალესიო ტაკინარდი.

„იგი დიდებულად თამაშობს, განსაკუთრებით „კამპ ნოუზე“, „ბარსელონასთან“ მომეწონა. „ტორინოდან“ „მილანში“ რომ დაბრუნდა, თავიდანვე სათადარიგოდ იყო გამწესებული, თუმცა ძაკერონი ენდო და გაუმართლა. იმედია, ნაკრებსაც ჩინებულად მოერგება“ — განაცხადა მხცოვანმა ტრაპატონიმ, როცა ჟურნალისტებმა კოკოზე ჰკითხეს.

ტრაპატონის რჩეული, როგორც გითხარით, „უდინეზეს“ 27 წლის მცველი ვალერიო ბერტოტოცაა, თუმცა უდინელს მაინც ფაბიო კანავაროს ჩრდილში ყოფნა მოუწევს.

„ამ ეტაპზე „სკუადრა აძურას“ დაცვა, ვფიქრობ, ოპტიმალურია: კანავარო-ნესტა-იულიანო-მალდინი, თუმც ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვებს ყურადღებას არ მივაქცევ“ — დასძინა ტრაპატონიმ. ჩვენი იტალიელი კოლეგების აზრით, ტრაპატონი ექსპერიმენტებს, განსაკუთრებით რუმინეთთან მატჩში, ნაკლებად მიმართავს, თუმცა არაა გამორიცხული, „სან სიროზე“ ერთმა დებიუტანტმა მაინც ითამაშოს. ისინი „ძველ ბიჭს“, ფრანჩესკო კოკოს გულისხმობენ.

რაც შეეხება თავდასხმას, ტრაპატონი აქ არაფერს შეცვლის: „კვლავ ისინი იქნებიან, ვინც სექტემბერში ბუდაპეშტში უნგრეთთან ითამაშეს, ანუ ტოტი-დელ პიერო-ფილიპო ინძაგი“.

კარს, ალბათ, ფიორენტინელი ფრანჩესკო ტოლდო დაიცავს, თუმცა „სკუადრა აძურაში“ პარმელი ჯანლუიჯი ბუფონი დაბრუნდა, რომელმაც მილანელ კრისტიან აბიატის გაუცვალა ადგილი: „სადღეისოდ ნაკრებში თამაშს სწორედ ესენი იმსახურებენ. აბიატის თავად დავურეკე და ოლიმპიადის შემდეგ დასვენება ვურჩიე“ — ესეც ტრაპატონის სიტყვებია.

ერთი სიტყვით, 7 და 11 ოქტომბერს ჯოვანი ტრაპატონი ტიფოზების კეთილგანწყობილების დაბრუნებას შეეცდება. უნგრეთთან 2:2-ის მერე ხომ დონ ტრაპის კრიტიკის ქარცეცხლი დაატეხეს თავს და აქა-იქ დინო ძოფის დაბრუნებაზეც ალაპარაკდნენ.

**გიორგი მუზაშიძე**

**ტრაპატონის რჩეულნი:**

*მეკარეები: ფრანჩესკო ტოლდო (ფიორენტინა), ჯანლუიჯი ბუფონი (პარმა);*

*მცველები: დანიელე ადანი (ფიორენტინა), ვალერიო ბერტოტო (უდინეზე), ფაბიო კანავარო (პარმა), მარკ იულიანო (იუვენტუსი), პაოლო მალდინი (მილანი), ალესანდრო ნესტა, ჯუზეპე პანკარო (ორივე ლაციო);*

*ნახევარმცველები: დემეტრიო ალბერტინი, მასიმო ამბროზინი, ფრანჩესკო კოკო, ჯენარო გატუზო (ყველა მილანი), ლუიჯი დი ბიაჯო (ინტერი) ანჯელო დი ლივიო (ფიორენტინა), სტეფანო ფიორე (უდინეზე), ალესიო ტაკინარდი (იუვენტუსი);*

*თავდამსხმელები: ალესანდრო დელ პიერო, ფილიპო ინძაგი (ორივე იუვენტუსი), ფრანჩესკო ტოტი, ვინჩენცო მონტელა, მარკო დელვეკიო (ყველა რომა).*



სამი წლის წინ რუსთავში: ფრანჩესკო კოკო (№5) და მიხეილ აშვეთია



საუკუნის რჩეული ფრანკო ბარეზი



წლის რჩეული ფრანჩესკო ტოტი

# დიდება და პატივი ბარეზის

**2000** წელია და მსოფლიო საუკეთესო მოღვაწეებს ირჩევს. გუშინ ამ ფრიად სასიამოვნო საქმემ იტალიის ფეხბურთის ფედერაციის წევრებიც შეჰყარა.

ვინ იქნება XX საუკუნის საუკეთესო იტალიელი ფეხბურთელი? ათი სახელოვანი კანდიდატი ადრევე შეერჩიათ: ფრანკო ბარეზი, ჯუზეპე მეაცა, ვალენტინო მაცოლა, რობერტო ბაჯო, ჯამპიერო ბონიპერტი, ჯიჯი რივა, პაოლო როსი, დინო ძოფი, ჯანი რივერა და სილვიო პიოლა.

გამარჯვება ფრანკო ბარეზის ერგო — „მილანისა“ და იტალიის ნაკრების ძველ კაპიტანს, რომელმაც 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში პენალტი ვერ გაიტანა, ახლა კი „მილანის“ მოზარდ ფეხბურთელებს მეთვალყურეობს. გავიხსენოთ, რომ რამდენიმე თვის წინ ბარეზი საუკუნის მილანელადაც ცნეს.

ფეხბურთის ფედერაციაში წინა სეზონის გმირებსაც მიაგეს პატივი. რომაელი ფრანჩესკო ტოტი წლის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა, ანდრეი შევჩენკო — საუკეთესო ლეგიონერი. ახლა ლაციოელ, წინა სეზონში კი რეჯინელ რობერტო ბარონიოს ახალგაზრდისთვის დაწესებული ჯილდო მიეკუთვნა. მსაჯთა შორის, როგორც მოსალოდნელი იყო, „უცხოპლანეტელმა“ პიერლუიჯი კოლინამ იმარჯვა — ჩეხი გულშემატკივრების გულის გასახეთქად. მწვრთნელებს შორის უპირველესი დუბლის შემსრულებელი შვედი სვენ გორან ერიკსონია.

ფედერაციის წევრთა შეკრება ამით დასრულდა. ერთი წლის შემდეგ იტალიას ახალი გმირები ეყოლება, ფრანკო ბარეზის კი საუკუნის იტალიელ ფეხბურთელის ტიტულს კიდევ ასი წელი ვერავინ შეეცილება.

# ფსიქ ფაქტორი

## პარანორმალური მოვლენების ქრონიკა

**„ინტერმა“** ბოლოს იტალიის ჩემპიონის ტიტული 1989 წელს მოიპოვა, მე-20 საუკუნის დასრულებამდე კარგა ხნით ადრე. მერე კი ძირითადად ფულს ხარჯავს, რათა ეს წარმატება გაიმეოროს, მაგრამ უშედეგოდ.

საოცარი რამ ხდება მილანის დიდი გუნდის თავს. საპრიზო ადგილებზე გადის, 90-იან წლებში არც უეფას თასზე გამარჯვებათა რაოდენობა დაეწუნება, მაგრამ უმაღლეს ჯილდოს ვერაფრით დაპატრონებია — არც სკუდეტო და არც ჩემპიონთა თასი. არადა, კლუბის პრეზიდენტი მასიმო მორატი თითქოს ყველაფერს სწორად აკეთებს. ევროპის წამყვანი გუნდების შეფების მსგავსად იქცევა, ყიდულობს საუკეთესო მოთამაშეებს, მწვრთნელებს... ერთი სიტყვით, შავ-ლურჯებს ჩიტის რძე არ აკლიათ.

და უცნაურობაც სწორედ ისაა, რომ ასეთი გუნდი მარად ხელმოცარული გამოდის. ჩინებული ფეხბურთელები, სხვაგან საუცხოოდ რომ თამაშობენ აქ თითქოს აცა-ბაცად გარბი-გამორბიან; ბრწყინვალე მწვრთნელები, სხვაგან უახლეს იდეებს საქმედ რომ აქცევენ, აქ თითქოს სამპასიან კომბინაციებს ვერ ამუშავებენ; უსწრაფესი მოთამაშეებისგან შედგენილი შემადგენლობა ძალიან მძიმე და ტლანქ ფეხბურთს თამაშობს, ხოლო უდიდესი ვარსკვლავები, არც მეტი, არც ნაკლები, შავდებიან.

ახალი სეზონი „ინტერმა“ კვლავ ცუდად დაიწყო. ჯერ იყო და ჩემპიონთა ლიგის შესარჩევ ეტაპზე შვედურ „ჰელსინგბორგთან“ დამარცხდა, ხოლო ახლა, ეროვნული პირველობის პირველ ტურში, „რეჯინასთან“ 1:2 წააგო.

მატჩის შემდეგ მილანელთა უკიდურესად გაწბილებული მწვრთნელი მარჩელო ლიპი ამბობდა:

„მრცხვენია ისეთი გუნდის წარდგენა, უგულოდ რომ თამაშობს. მითუმეტეს მეტოქესთან, რომელმაც საპირისპირო თვისებები გამოამჟღავნა. თუ ფეხბურთელები არ მენდობიან, მივიდნენ და პრეზიდენტს უთხრან — ბოდიში, მაგრამ ამ მწვრთნელთან მუშაობა არ გვინდაო. ოღონდ თუ პრობლემა ეს არ არის, მაშინ ვერ ვხვდები, ჩვენს თავს რა ხდება.



მარჩელო ლიპი წავიდა!

„რეჯინას“ წინააღმდეგ ისინი განებივრებული ბავშვებივით იქცეოდნენ, თითქოს მათებრ დიდ ფეხბურთელებს გამარჯვება თავისი ფეხით უნდა ეახლოს. ასეთი დამოკიდებულება უსამართლოა ჯერ ერთი იმ ადამიანების მიმართ, ვინც ხელფასს უხდის და ცხადია იმათ მიმართაც, ვინც მათ სანახავად ბილეთს ყიდულობს. დღეს, პრეზიდენტი მე რომ ვიყო, უპირველეს ყოვლისა მწვრთნელს დავითხოვდი, ხოლო მერე ფეხბურთელებს კედელთან ჩავამწკრივებდი და იმ კედელს მივახლიდი“.

დაგვეთანხმებით, ლიპის ნათქვამში ცოტა დაბნეულობა და ცოტაც გაქცევის სურვილიც იგრძნობოდა. თუმცა მთავარი, რაც თვალში გვეცემა, ცხადია გახელებაა.

„გუნდში ლიპის პოზიცია ამ თამაშის წაგების გამო არ გაუარესებულა. ის ზუსტად ისეთივეა, მანამდე რომ იყო. შეცდომები ყველამ დაუშვა, მათ რიცხვში მეც და ეს მოედანზე აისახა“ — ერთი მატჩის წინ დაშვებულ შეცდომებს გადააბრალა ყველაფერი კლუბის ტექნიკურმა დირექტორმა გაბრიელე ორეალიმ.

„ლიპის რომ არ ვენდობოდეთ, მთელი კვირის მანძილზე ასე არ ვიმუშავებდით. მერწმუნეთ, გუნდი, რომელსაც გამარჯვება არ აინტერესებს, სხვანაირად იქცევა. „რეჯინასთან“ შეხვედრას უბრალოდ ჩავარდნა ვუწოდოთ. ათიდან ცხრა შემთხვევაში ბურთს მოწინააღმდეგე ეუფლებოდა. პრობლემა აშკარაა, ფეხბურთელებიც უპირველეს ყოვლისა მასზე ვფიქრობთ და ვცდილობთ გამოსავალი ვიპოვნოთ“ — განაცხადა გუნდის კაპიტანმა, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონმა ლორან ბლანმა.

ზემოთ რომ მოგახსენეთ, „ინტერის“ უდიდესი ვარსკვლავები დაშავებულნი არიანო, კრისტიან ვიერი და რონალდო გვყავდა მხედველობაში. ვიერის გამოჯანმრთელებას, როგორც იცით, შედარებით მალე ელიან, რონალდოს მოედანზე გამოჩენა კი ჯერ ძალიან ადრეა. ის ამჟამად რიო დე ჟანეიროშია და ფიზიოთერაპიის გაძლიერებულ პროგრამას გადის. აუზში მალიმალ ცურვაც გამოუწერეს და ამას „ნილტონ პეტრონეს“ სარეაბილიტაციო ცენტრის ექიმები ადევნებენ თვალს. ყოველი თვის დასაწყისში დაშავებული ფენომენი პარიზს მიეშურება, სადაც მისი მთავარი მკურნალი, დოქტორ საილანტი სინჯავს. ამას გარდა, ბრაზილიელი მკაცრ დიეტას იცავს, რათა უსაქმურობამ არ გაასუქოს, ხოლო ოქტომბრის შუაში აშშ-ს უნდა მიაშუროს და ბივერტონის ცენტრში გაატაროს ერთი ხანი.

ამის შემდეგ რონალდო მილანს დაუბრუნდება, გუნდთან ცხოვრებას დაიწყებს და მცირე ვარჯიშსაც შეუდგება.

მაგრამ „ინტერი“ მის დაბრუნებას და ფორმის აღდგენას ვერ დაელოდება. წარმატებები ახლავეა საჭირო. ამ შაბათ-კვირას, მოგეხსენებათ, ევროპაში სანაკრებო დღეებია და სერია A ისვენებს, ამის მერე კი „სან სიროს“ „ნაპოლი“ უნდა ეწვიოს. ის, რომელმაც პირველ ტურში კინაღამ „იუვენტუსი“ გააწბილა.

*– „ნაპოლის“ „ინტერი“ უკვე ახალი მწვრთნელით დაუხვდება: გუშინ, კლუბის პრეზიდენტ მასიმო მორატისთან შეხვედრის შემდეგ მარჩელო ლიპი გადადგა.*

**ბაპუნა ძიდია**



ვანდერლეი ლუქსემბურგო: თავი ახლა მაინც გამანებეთ!

# ბრაზილიური ანათემა

## თევზი თავიდან ხომ არ ყროლდება?

**გადახედავთ** ბრაზილიურ გაზეთებს და შენიშნავთ, რომ ეროვნული ნაკრების მწვრთნელს მეტი ადგილი ეთმობა, ვიდრე ქვეყნის პრეზიდენტს. ნუ გაიოცებთ, ეს ხომ ბრაზილიაა, სადაც ფეხბურთი ლამის რელიგიადაა გამოცხადებული. ცნობილი ბრაზილიელი კომენტატორი ლუის რიბეირო ამბობს: „ფეხბურთი ჩვენი ეროვნული სიმბოლოა. ამიტომ ბრაზილიელები საფეხბურთო მინდონზე დამარცხებას ისე მტკივნეულად აღვიქვამთ, თითქოს ბრძოლის ველზე თავისუფლებას და ღირსებას ვკარგავთ". აი, ასეთი ქვეყნის ნაკრები ზედიზედ აგებს პარაგვაისთან, ჩილესთან, კამერუნთან. თან კამერუნელებს მოედანზე ორი ფეხბურთელით ნაკლები ჰყავთ.

გუშინ ბრაზილიურ საინფორმაციო წყაროებზე დაყრდნობით ვწერდით, რომ სიდნეიდან დაბრუნებული ვანდერლეი ლუქსემბურგო რიო დე ჟანეიროს გოლფკლუბში ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ რიკარდო ტეიშეირას შეხვდა. საუბრის შემდეგ ლუქსემბურგო ეროვნული და ოლიმპიური ნაკრებების მწვრთნელობიდან გადადგა. ეს შაბათს მოხდა, ორშაბათს კი ტეიშეირამ მწვრთნელის წასვლა (თუ გაგდება) ოფიციალურად დაადასტურა.

ვინ არის ვანდერლეი ლუქსემბურგო? კაცი, რომელიც ერთობ წარმატებულად წვრთნიდა „პალმეირასს", „კორინთიანსს" და „ფლამენგოს". მისი ხელმძღვანელობით 1999 წელს ბრაზილიამ „კოპა ამერიკა" მოიგო. ბევრად მეტის თქმა შეგვიძლია ლუქსემბურგოს საქმიანობის ჩრდილოვან მხარეებზე. დავიწყოთ იმით, რომ ლუქსემბურგოს ნამდვილი ასაკის დადგენა ბრაზილიელ სამართალდამცავთა ძიების საგნად ქცეულა. არის ეჭვი, რომ მას დაბადების თარიღი გადაკეთებული აქვს და სხვადასხვა მონაცემებით 45-დან 48 წლამდე უნდა იყოს. ოჰ, რა სიამოვნებით მუშაობენ ფეხბურთის თავგადაკლული ქომაგი გამომძიებლები ამ საქმეზე. თუ გაყალბება დაუმტკიცეს, ორი წლით ჩააყუდებენ და პარაგვაისთან, ჩილესთან და კამერუნთან ნაჭამი სირცხვილისთვის ჯავრს იყრიან.

საერთოდ, თუ კარგად დავუკვირდებით, ერთ თითქოსდა უცნაურ კანონზომიერებს აღმოვაჩენთ. ბრაზილიაში რამდენიმე წელია, ამბობენ — ვანდერლეი ლუქსემბურგო ტრანსფერებით ხელს ითბობს და გადასახადებსაც სრულად არ იხდისო. თუმცა ეს ლაპარაკი ჩვენთვის კარგად ნაცნობ კალაპოტში მიედინება — ყველამ ყველაფერი იცის, მაგრამ საჯაროდ გაცხადებას და საქმეში სათანადო ორგანოების ჩართვას საშველი არ ადგება. და მხოლოდ მაშინ ამუშავდება სისტემა, როცა მავანი პიროვნება აღარავის სჭირდება. აბა, ლუქსემბურგოს ამბავს დავუკვირდეთ: მწვრთნელის მამხილებელი მასალები პრესაში პარაგვაისთან წაგების შემდეგ გაჩნდა, ჩილესთან მარცხის შემდეგ კი ლუქსემბურგოს საწინააღმდეგო პროპაგანდამ ტოტალური ხასიათი მიიღო. დღეს ხომ ნულარ იტყვით... ამგვარ ბრძოლაში, ცხადია, წელს ქვევით დარტყმებიც მოსულა, რისი დასტურიცაა ერთი ქალბატონის ვრცელი ინტერვიუ, რომელშიც მისი ლუქსემბურგოსთან მრავალწლიანი სასიყვარულო თავგადასავალია აღწერილი.

სხვა ბრალდებებიდან კი ფეხბურთელთა შერჩევის ლუქსემბურგოსეული მექანიზმი ვთქვათ. ნაკრებში მისი ორწლიანი მოღვაწეობის პერიოდში ეროვნული გუნდის მაისურა 70 ფეხბურთელს ერგო. დამეთანხმებით, ძალიან ბევრია. ამტკიცებენ, მწვრთნელი მათ უმეტეს ნაწილს ფულს ართმევდაო (საერთო ჯამში მილიონებზე ლაპარაკობენ). სარწმუნო ვერსიაა — ბრაზილიის ნაკრებში ნათამაშევი ფეხბურთელის ფასი სატრანსფერო ბაზარზე ერთიორად იზრდება. თავად ლუქსემბურგო, ცხადია, ყველაფერს უარყოფს: „პატიოსანი კაცი ვარ და ხალხში გამოჩენის არ მრცხვენია. დიახ, შესაძლებელია, საშემოსავლო დეკლარაციის შევსებისას უნებლიედ რაღაც შეცდომა დამეშვა. ამას გამოვასწორებ, ყველა სხვა ბრალდება კი მტკნარი სიცრუეა". თუ დაუჯერეს, ხომ კარგი, თუ არადა...

ვანდერლეი ლუქსემბურგოზე სიტყვა გაგვიგრძელდა და ახლა მის მემკვიდრეზე ვისაუბროთ.

მომავალ უქმეებზე ბრაზილიის ნაკრები სან კრისტობალში ვენესუელას შეხვდება. ეს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მეცხრე ტურის მატჩია. ვენესუელაში გუნდს ლუქსემბურგოს თანაშემწე კანდინიო წაიყვანს, მაგრამ მემკვიდრე ის არაა. შესაფერისი კანდიდატურის მოძიებას გარკვეული დრო სჭირდება.

გუშინ ვწერდით, გუნდი იქნებ ლუის ფელიპე სკოლარის ჩააბარონო. სკოლარი, იგივე „დიდი ფილი" ამჟამად „კრუზეიროში" მუშაობს, თუმცა ჩვენ ის „პალმეირასიდან" უფრო გვახსოვს, რომელიც „მანჩესტერ იუნაიტედის" მეტოქე გახლდათ საკონტინენტთაშორისო თასისთვის ბრძოლაში. ახლა კი ახალი ცნობა მივიღეთ, „დიდი ფილი" ოჯახური მიზეზების გამო ნაკრებზე უარს ამბობსო. ამას „კრუზეიროს" პრეს-მდივანი ვალდირ ბარბოზაც ადასტურებს.

რაკილა ქომაგთა ფავორიტი კანდიდატი გამოირიცხა, ფეხბურთის ფედერაციამ უმალ კარლოს ალბერტო პარეირა გაიხსენა [illegible], რომელმაც 1994 წელს ბრაზილიას მსოფლიოს ჩემპიონატი მოაგებინა და პოსტი თავისი ნებით დატოვა (ორი წლის წინ ის საუდის არაბეთს წვრთნიდა). თუ ის ნაკრებში დააბრუნეს, მაშინდელ კაპიტან დუნგას თანაშემწედ წაიყვანსო, ამასაც ამბობენ. საპატიო, თუმცა საკმაოდ უმადური თანამდებობის კიდევ ერთი მაძიებელია „სან პაულუს" თავკაცი ლევირ კულპი. ბრაზილიის ჩემპიონატის შემცვლელ ჟოაო აველანჟის ტურნირზე მე-13 ტურის შემდეგ „სან პაულუ" ლიდერია და კულპის სახელიც ამიტომ ამოტივტივდა.

ბოლოს კი ვთქვათ, რომ ბრაზილიაში ისეთებიც აღმოჩნდნენ, ლუქსემბურგოს გარშემო ატეხილ სკანდალს ეჭვის თვალით რომ უყურებენ. მათი აზრით, ყველაფრის მწვრთნელზე გადაბრალება თავის მოტყუებას ნიშნავს და ბრაზილიური ფეხბურთის ფედერაციისკენ და პირადად რიკარდო ტეიშეირასკენ მიუთითებენ. და არ იფიქროთ, ამგვარად მოაზრენი ცოტანი და უსახელონი იყვნენ. ფედერაციასთან მოქიშპეთა რიგებშია თუნდაც სოკრატესიც, მის სიტყვას კი ბრაზილიაში საკმაო წონა აქვს.

**გიორგი დარჯანია**

## ბრაზილიის ეროვნული გუნდის ყველა მატჩი ვანდერლეი ლუქსემბურგოს ხელმძღვანელობით

| | | | |
|---|---|---|---|
| 23.08.98 | სან ლუისი | ბრაზილია 1:1 იუგოსლავია | ამხ. |
| 14.10.98 | ვაშინგტონი (აშშ) | ბრაზილია 5:1 ეკვადორი | ამხ. |
| 18.11.98 | ფორტალერა | ბრაზილია 5:1 რუსეთი | ამხ. |
| 28.03.99 | სეული | კორეა 1:0 ბრაზილია | ამხ. |
| 31.03.99 | ტოკიო | იაპონია 0:2 ბრაზილია | ამხ. |
| 07.04.99 | ბრაზილია | ბრაზილია 7:0 აშშ | ამხ. |
| 08.04.99 | ბარსელონა (ესპანეთი) | ბარსელონა 2:2 ბრაზილია | ამხ. |
| 05.06.99 | სალვადორი | ბრაზილია 2:2 ჰოლანდია | ამხ. |
| 08.06.99 | ჟოანია | ბრაზილია 3:1 ჰოლანდია | ამხ. |
| 26.06.99 | კურიტიბა | ბრაზილია 3:0 ლატვია | ამხ. |
| 30.06.99 | გუიდადი (პარაგვაი) | ბრაზილია 7:0 ვენესუელა | კ.ა. |
| 03.07.99 | გუიდადი (პარაგვაი) | ბრაზილია 2:1 მექსიკა | კ.ა. |
| 06.07.99 | გუიდადი (პარაგვაი) | ბრაზილია 1:0 ჩილე | კ.ა. |
| 11.07.99 | გუიდადი (პარაგვაი) | ბრაზილია 2:1 არგენტინა | კ.ა. |
| 14.07.99 | გუიდადი (პარაგვაი) | ბრაზილია 2:1 მექსიკა | კ.ა. |
| 18.07.99 | ასუნსიონი (პარაგვაი) | ბრაზილია 3:0 ურუგვაი | კ.ა. |
| 24.07.99 | გვადალახარა (მექსიკა) | ბრაზილია 4:0 გერმანია | კონ. |
| 28.07.99 | გვადალახარა (მექსიკა) | ბრაზილია 1:0 აშშ | კონ. |
| 30.07.99 | გვადალახარა (მექსიკა) | ბრაზილია 2:0 ახალი ზელანდია | კონ. |
| 01.08.99 | გვადალახარა (მექსიკა) | ბრაზილია 8:2 საუდეთი | კონ. |
| 04.08.99 | გვადალახარა (მექსიკა) | მექსიკა 4:3 ბრაზილია | კონ. |
| 04.09.99 | ბუენოს აირესი | არგენტინა 2:0 ბრაზილია | ამხ. |
| 07.09.99 | პორტუ ალეგრე | ბრაზილია 4:2 არგენტინა | ამხ. |
| 09.10.99 | ამსტერდამი | ჰოლანდია 2:2 ბრაზილია | ამხ. |
| 13.10.99 | ვიგო | ესპანეთი 0:0 ბრაზილია | ამხ. |
| 14.11.99 | სიდნეი | ავსტრალია 0:2 ბრაზილია | ამხ. |
| 17.11.99 | მელბურნი | ავსტრალია 2:2 ბრაზილია | ამხ. |
| 10.12.99 | გუიაბა | ბრაზილია 3:0 ბოლივია | ამხ. |
| | | *(ბრაზილიის ნაკრების მეათასე მატჩი)* | |
| 14.12.99 | კამპო გრანდე | ბრაზილია 3:3 პარაგვაი | ამხ. |
| 23.02.00 | ბანკოკი | ტაილანდი 0:7 ბრაზილია | ამხ. |
| 28.03.00 | ბოგოტა | კოლუმბია 0:0 ბრაზილია | მ.ჩ.შ. |
| 27.04.00 | სან პაულუ | ბრაზილია 3:2 ეკვადორი | მ.ჩ.შ. |
| 23.05.00 | კარდიფი | უელსი 0:3 ბრაზილია | ამხ. |
| 27.05.00 | ლონდონი | ინგლისი 1:1 ბრაზილია | ამხ. |
| 04.06.00 | ლიმა | პერუ 0:1 ბრაზილია | მ.ჩ.შ. |
| 27.06.00 | სან პაულუ | ბრაზილია 1:1 ურუგვაი | მ.ჩ.შ. |
| 18.07.00 | ასუნსიონი | პარაგვაი 2:1 ბრაზილია | მ.ჩ.შ. |
| 26.07.00 | სან პაულუ | ბრაზილია 3:1 არგენტინა | მ.ჩ.შ. |
| 15.08.00 | სანტიაგო | ჩილე 3:0 ბრაზილია | მ.ჩ.შ. |
| 03.09.00 | რიო დე ჟანეირო | ბრაზილია 5:0 ბოლივია | მ.ჩ.შ. |

*შენიშვნა: ამხ. — ამხანაგური მატჩი; კ.ა. — კოპა ამერიკა; კონ. — კონფედერაციის თასი; მ.ჩ.შ. — მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი*

# ვიღაცამ სამუშაო დაკარგა, ვიღაცამ — მეგობარიც

**„ასეთ შემთხვევებში** ყოველთვის უნდა აგოს პასუხი ვიღაცამ. ყველაზე ხშირად ეს „ვიღაცა" მთავარი მწვრთნელია" — თქვა ფრანგული „ტულუზის" თავკაცმა ალენ ჟირესმა და არც შემცდარა.

სეზონის დასაწყისიდან „ტულუზი" უხეირო შედეგების შეგროვებითაა დაკავებული ანუ კრიზისშია, რომლის ერთგვარი ეპილოგიც გუნდიდან ჟირესის დათხოვნა იყო გასულ კვირას, ზედიზედ მესამე მარცხის მეორე დღეს. ახლა „ტულუზს" ათი ტურის შემდეგ ექვსი ქულით ცხრილის ბოლო საფეხური უკავია და მის წინ მყოფ „სტრასბურს" მთელი ოთხი ქულით ჩამორჩება.

ჩემპიონატის მონაწილეებს შორის ბიუჯეტის სიდიდით მეექვსე ადგილზე (230 მილიონი ფრანკი) მყოფ გუნდში შექმნილი სიტუაცია სასწრაფოდ მოითხოვდა გადამწყვეტი ზომების მიღებას. როგორც კლუბის პრეზიდენტმა ჟაკ რუბიომ განაცხადა, „ტულუზის" სპორტულ დირექტორ დიდიე კუეკუს (ჟირესის მსგავსად ადრე „ბორდოს" ღირსებას იცავდა), მოეთათბირა და მთავარ მწვრთნელთან განშორება გადაწყვიტა.

ჟირესი „ტულუზს" 52 თვის განმავლობაში წვრთნიდა: 1995 წლის ნოემბრიდან 1998 წლის ივნისამდე და 1999 წლის იანვრიდან დღემდე. ეს მისთვის მეორე დათხოვნაა თანამდებობიდან — 1998 წლის ოქტომბერში იგი „პარი სენ ჟერმენში" მისივე მიმწვევმა შარლ ბიეტრიმ გაათავისუფლა სამსახურიდან.

მაშინ „ტულუზში" დაბრუნებულმა ჟირესმა გუნდი, რომელიც ორი წლით ადრე პირველ დივიზიონში თავად გადაიყვანა, ელიტიდან გავარდნას ვერ გადაარჩინა, თუმც მომავალ წელსვე შეძლო მისი ხელახლა აღზევება. წლეულს, სეზონის დაწყებამდე, ტულუზელთა თავკაცებმა ჟირესს თითქმის ყველა ის ფეხბურთელი შეუძინეს, რომელიც მოინდომა. „ასეთი კარგი შემადგენლობა პირველად მომიგროვდა" — თქვა მაშინ ჟირესმა. შემადგენლობა კი შეკრიბა, მაგრამ 11 კაცის ოპტიმალურ ვარიანტს ვერაფრით მიაგნო — ათ ტურში ჟირესმა 22 მოთამაშე გამოსცადა ძირითადში.

ახლა ტულუზელები ჩემპიონატში გამოცხადებული ორკვირიანი შესვენებით ისარგებლებენ და ბიარიცში მოემზადებიან. ვინ უხელმძღვანელებს მათ, უახლოეს ხანებში გაირკვევა. დადის ხმები, რომ ეს შეიძლება რობერ ნუზარე იყოს, რომელიც თავის მხრივ ერთი კვირის წინ „სენტ ეტიენის" მთავარი მწვრთნელობიდან გაათავისუფლეს.

ისე, არ შეიძლება ამ ამბავზეც არ ვთქვათ ორიოდ სიტყვა. მაშ, ასე.

„კლუბის აღმასრულებელმა პრეზიდენტმა ჟერარ სოლერმა დღეს მთავარ მწვრთნელ რობერ ნუზარეს თანამდებობის, რომელზედაც ის 1998 წლის ივლისიდან მუშაობდა, დატოვება მოსთხოვა" — ეწერა „სენტ ეტიენის" ოფიციალურ კომუნიკეში, რომელმაც დღის სინათლე 24 სექტემბერს იხილა. იქვე ისიც იყო ნათქვამი, რომ გადაწყვეტილებას კლუბის პრეზიდენტი ალენ ბომპარიც ეთანხმებოდა. „სენტ ეტიენს" იმ დროს ცხრა თამაშიდან 10 ქულა ჰქონდა და ცხრილის ქვედა ნაწილში იმყოფებოდა.

თავად ნუზარემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რომ იგი ძალიან გაკვირვებულია ამ გადაწყვეტილებით. „რა თქმა უნდა, ასეთი „ელექტროშოკი" საჭიროა, როცა ფეხბურთელებს თავიანთი მწვრთნელის აღარ სჯერათ, მაგრამ ამ შემთხვევაში ამას ადგილი არ ჰქონია" — განცვიფრებული და გაბრაზებული იყო ნუზარე — „ამას წინათ ჟერარ სოლერთან ვილაპარაკე და ვუთხარი, რომ მას აღარ ვენდობოდი. შენ ერთსა და იმავე რამეს ჯერ შავს უწოდებ, მერე კი თეთრს-მეთქი, ვუთხარი და დავაყოლე, რომ ხშირად ბევრ რამეში მატყუებდა. ჩვენ დიდი ხნის მეგობრები ვიყავით და მისი საქციელი ნერვებზე მშლიდა. ალბათ, ამიტომაც მომიცილა თავიდან."

გასულ ორშაბათს „სენტ ეტიენი" ნუზარეს თანაშემწე რუდი გარსიამ ავარჯიშა, თავისი ნივთების წასაღებად მისულმა მწვრთნელმა კი გუნდის სავარჯიშო მოედანთან თავმოყრილ ჟურნალისტებს უთხრა, ყველაზე მეტად მეგობრის (სოლარის) დაკარგვა მაწუხებსო. მეორე დღეს სწორედ ამ მეგობარმა მიჰყო ხელი ფეხბურთელების წვრთნას, თუმცა აქედან რომ „სენტ ეტიენს" დიდად არ უხეირია, ბოლო ტურში გამოჩნდა, როცა შინ „რენთან" 0:2 დამარცხდა.

შესაბამისად, კლუბის თავკაცებმა ახალი მთავარი მწვრთნელის აუცილებლობაც იგრძნეს. საქმეს ისეთი პირი უჩანს, ალენ ბომპარი და ჟერარ სოლერი „სენტ ეტიენის" გაწვრთნას მათივე სარეზერვო გუნდის თავკაცს, 49 წლის პატრიკ რეველის დაავალებენ. რეველი ძველი სენტეტიენელია. ფეხბურთის



რობერ ნუზარე: ეს არის მეგობრობა?

ასაკოვან ქომაგებს იქნებ მისი თამაშიც ახსოვდეთ. იგი თავის ძმა ერვესთან ერთად 70-იანი წლების „მწვანეების" დიდი გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე იყო და მოწინააღმდეგის მცველებსაც თავისი ფლანგური გარღვევებით სისხლს უშრობდა. თუ ვარაუდი გამართლდა და ნუზარე რეველმა შეცვალა, მისი დებიუტი 14 ოქტომბერს შედგება, როცა „სენტ ეტიენი" „სედანს" ესტუმრება.

**გაიოზ თალაკვაძე**

**15 სექტემბერი - 1 ოქტომბერი**

# Sydney 2000





REUTERS სიდნეიდან

15 სექტემბერს ოლიმპიური ცეცხლის დანთებით დაწყებული ზეიმი 1 ოქტომბერს ფოიერვერკით დასრულდა

„სიდნეის ოლიმპიადა საუკეთესო იყო აქამდე ჩატარებულთა შორის“ — საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ხუან ანტონიო სამარანჩის ამ სიტყვებით დასრულდა საუკუნის ბოლო ოლიმპიადა. მსოფლიოს სპორტის გრანდიოზულმა ზეიმმა უბრწყინვალესად ჩაიარა და ისტორიას ჩაბარდა.

სიდნეი თვალს მიეფარა. ახალ საუკუნესთან ერთად ჰორიზონტზე ოლიმპიური თამაშების სამშობლოს და მომავალი ოლიმპიადის დედაქალაქი ათენი გამოჩნდა. „ათენის ოლიმპიადა საუკეთესო იყო აქამდე ჩატარებულთა შორის“ — ოთხი წლის შემდეგ ეს სიტყვები, ალბათ, ითქმება, ოლონდ არა სამარანჩის მიერ. ოლიმპიური მოძრაობის გადამრჩენი და მისი არნახულად გამაძლიერებელი უდიდესი სპორტული მოღვაწე სიდნეიში მისთვის ბოლო ოლიმპიადას გაუძლვა პრეზიდენტის რანგში. ორიოდ თვეში სამარანჩი ნებაყოფლობით ტოვებს თანამდებობას. ეს სოკი-ს სესიაზე, მოსკოვში მოხდება, იქ, სადაც ოცი წლის წინ სამარანჩის ზეობა დაიწყო.

ΑΘΗΝΑ 2004

# ΑΘΗΝΑ 2004
## მოლოდინის მარათონი დაიწყო



REUTERS სიდნეიდან

ოლიმპიური დროშა ოლიმპიადის სამშობლოში: ათენის მერი დიმიტრი ავრამოპულოსი და ათენი 2004-ის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტი იანა ანგელოპულოს-დასკალაკი ოლიმპიურ დროშას სიდნეიდან ათენში მიაცილებენ



REUTERS სიდნეიდან

ხუან ანტონიო სამარანჩმა საუკუნის და მისთვის ბოლო ოლიმპიადა დახურა

Sydney 2000

# ქართველები სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე

Sydney 2000

15 სექტემბერი -1 ოქტომბერი

## ძიუდო

| | | |
|---|---|---|
| ნესტორ ხერგიანი | 60კგ | დამარცხდა სანუგეშო წრეში |
| გიორგი ვაზაგაშვილი | 66კგ | მე-3 ადგილი |
| გიორგი რევაზიშვილი | 73კგ | დამარცხდა პირველ წრეში |
| გია გუგავა | 90კგ | დამარცხდა პირველ წრეში |
| ივერი ჯიქურაული | 100კგ | მე-7 ადგილი |
| ალექსი დავითაშვილი | მძიმე წონა | დამარცხდა პირველ წრეში |

## ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

| | | |
|---|---|---|
| ალექსანდრე ცერცვაძე | 54კგ | მე-15 ადგილი |
| კობა გულიაშვილი | 58კგ | მე-14 ადგილი |
| აკაკი ჩაჩუა | 63კგ | მე-3 ადგილი |
| ტარიელ მელელაშვილი | 76კგ | მე-8 ადგილი |
| მუხრან ვახტანგაძე | 85კგ | მე-3 ადგილი |
| გენადი ჩხაიძე | 97კგ | მე-5 ადგილი |
| მირიან გიორგაძე | 130კგ | მე-20 ადგილი |

## თავისუფალი ჭიდაობა

| | | |
|---|---|---|
| დავით პოღოსიანი | 58კგ | მე-6 ადგილი |
| ოთარ თუშიშვილი | 63კგ | მე-15 ადგილი |
| ემზარ ბედინეიშვილი | 69კგ | მე-17 ადგილი |
| გურამ მჭედლიძე | 76კგ | მე-14 ადგილი |
| ელდარ კურტანიძე | 97კგ | მე-3 ადგილი |
| ალექსი მოდებაძე | 130კგ | მე-10 ადგილი |

## ძალოსნობა

| | | |
|---|---|---|
| გიორგი ასანიძე | 85კგ | მე-3 ადგილი |
| მუხრან გოგია | 105კგ | შეჯიბრებას გამოეთიშა |
| ვალერი სარავა | მძიმე წონა | მე-17 ადგილი |

## კრივი

| | | |
|---|---|---|
| თემურ ხურცილავა | 54კგ | დამარცხდა მერვედფინალში |
| ვლადიმერ ჭანტურია | 91კგ | მე-3 ადგილი |

## სროლა

| | | |
|---|---|---|
| ნინო სალუქვაძე | პნევმატური პისტოლეტი | 25-ე ადგილი |
| ნინო სალუქვაძე | სპორტული პისტოლეტი | მე-11 ადგილი |
| ნინო უჩაძე | პნევმატური პისტოლეტი | 28-ე ადგილი |
| ნინო უჩაძე | სპორტული პისტოლეტი | 33-ე ადგილი |

## მშვილდოსნობა

| | | |
|---|---|---|
| ხათუნა ლორიგი | პირადი | დამარცხდა ოცდამეთორმეტედფინალში |
| ხათუნა ფუტკარაძე | პირადი | დამარცხდა ოცდამეთორმეტედფინალში |
| ასმათ დიასამიძე | პირადი | დამარცხდა ოცდამეთორმეტედფინალში |
| საქართველოს ქალთა ნაკრები | გუნდური | დამარცხდა მერვედფინალში |

## ტანვარჯიში

| | | |
|---|---|---|
| ილია გიორგაძე | მრავალჭიდი | ასპარეზობას გამოეთიშა |
| ილია გიორგაძე | ღერძი | მე-6 ადგილი |

## ბატუტი

| | | |
|---|---|---|
| რუსუდან ხოფერია | პირადი | მე-7 ადგილი |

## მხატვრული ტანვარჯიში

| | | |
|---|---|---|
| ინგა თავდიშვილი | მრავალჭიდი | 21-ე ადგილი |

## მძლეოსნობა

| | | |
|---|---|---|
| თამარ შანიძე | 100მ. | 67-ე ადგილი |
| რუსლან რუსიძე | 100მ. | 71-ე ადგილი |

## ცურვა

| | | |
|---|---|---|
| ზურაბ ბერიძე | 50მ. | 54-ე ადგილი |

## წყალში ხტომა

| | | |
|---|---|---|
| ნანა ნებიერიძე | 10მ. კოშკი | 26-ე ადგილი |



გიორგი ვაზაგაშვილი

REUTERS სიდნეიდან




აკაკი ჩაჩუა



მუხრან ვახტანგაძე (ზემოთ)

ავთანდილ გურასაშვილი სიდნეიდან



გიორგი ასანიძე



ვლადიმერ ჭანტურია

ავთანდილ გურასაშვილი სიდნეიდან




ელდარ კურტანიძე

# ყველაზე მეტი მედალი სიდნეიში მოიპოვეს

| სპორტსმენი | სახეობა | ქვეყანა | ო. | ვ. | ბ. | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალექსეი ნემოვი | ტანვარჯიში | რუსეთი | 2 | 1 | 3 | 6 |
| იან ტორპი | ცურვა | ავსტრალია | 3 | 2 | 0 | 5 |
| მარიონ ჯონსი | მძლეოსნობა | აშშ | 3 | 0 | 2 | 5 |
| დარა ტორესი | ცურვა | აშშ | 2 | 0 | 3 | 5 |
| ინგე დე ბრუინი | ცურვა | ჰოლანდია | 3 | 1 | 0 | 4 |
| ლეონტიენ ზაილაარდი | ველოსპორტი | ჰოლანდია | 3 | 1 | 0 | 4 |
| ჯენი ტომპსონი | ცურვა | აშშ | 3 | 0 | 1 | 4 |
| მაიკლ კლიმი | ცურვა | ავსტრალია | 2 | 2 | 0 | 4 |
| გერი ჰოლი | ცურვა | აშშ | 2 | 1 | 1 | 4 |
| პიტერ ვან ჰოგენბანდი | ცურვა | ჰოლანდია | 2 | 0 | 2 | 4 |
| სიუზან ონილი | ცურვა | ავსტრალია | 1 | 3 | 0 | 4 |
| დმიტრი საუტინი | წყალში ხტომა | რუსეთი | 1 | 1 | 2 | 4 |
| ლენი კრაიზელბურგი | ცურვა | აშშ | 3 | 0 | 0 | 3 |
| ფლორიან რუსო | ველოტრეკი | საფრანგეთი | 2 | 1 | 0 | 3 |
| ელენა ზამოლოდჩიკოვა | ტანვარჯიში | რუსეთი | 2 | 1 | 0 | 3 |
| იანა კლოჩკოვა | ცურვა | უკრაინა | 2 | 1 | 0 | 3 |
| სიმონა ამანარი | ტანვარჯიში | რუმინეთი | 2 | 0 | 1 | 3 |
| სვეტლანა ხორკინა | ტანვარჯიში | რუსეთი | 1 | 2 | 0 | 3 |
| მასიმილიანო როსოლინო | ცურვა | იტალია | 1 | 1 | 1 | 3 |
| სუან ლიუ | ტანვარჯიში | ჩინეთი | 1 | 0 | 2 | 3 |
| ეკატერინა ლობაზნიუკი | ტანვარჯიში | რუსეთი | 0 | 2 | 1 | 3 |
| მეტიუ უელში | ცურვა | ავსტრალია | 0 | 2 | 1 | 3 |
| პეტრია ტომასი | ცურვა | ავსტრალია | 0 | 2 | 1 | 3 |
| ტერეზა ალსამარი | ცურვა | შვედეთი | 0 | 2 | 1 | 3 |



REUTERS სიდნეიდან

ალექსეი ნემოვმა სიდნეიში ყველაზე მეტი მედალი მოიპოვა






REUTERS სიდნეიდან

მარიონ ჯონსი (მარცხნივ), ლეონტიენ ზაილაარდი და ლენი კრაიზელბურგი (ქვემოთ) სამგზის ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ




REUTERS სიდნეიდან

# სიდნეიში ორი და მეტი ოქროს მედალი მოიპოვეს

| სპორტსმენი | სახეობა | ქვეყანა | რაოდ. |
|---|---|---|---|
| იან ტორპი | ცურვა | ავსტრალია | 3 |
| მარიონ ჯონსი | მძლეოსნობა | აშშ | 3 |
| ინგე დე ბრუინი | ცურვა | ჰოლანდია | 3 |
| ლეონტიენ ზაილაარდი | ველოსპორტი | ჰოლანდია | 3 |
| ჯენი ტომპსონი | ცურვა | აშშ | 3 |
| ლენი კრაიზელბურგი | ცურვა | აშშ | 3 |
| დარა ტორესი | ცურვა | აშშ | 2 |
| მაიკლ კლიმი | ცურვა | ავსტრალია | 2 |
| გერი ჰოლი | ცურვა | აშშ | 2 |
| პიტერ ვან ჰოგენბანდი | ცურვა | ჰოლანდია | 2 |
| ალექსეი ნემოვი | ტანვარჯიში | რუსეთი | 2 |
| ფლორიან რუსო | ველოტრეკი | საფრანგეთი | 2 |
| ელენა ზამოლოდჩიკოვა | ტანვარჯიში | რუსეთი | 2 |
| იანა კლოჩკოვა | ცურვა | უკრაინა | 2 |
| სიმონა ამანარი | ტანვარჯიში | რუმინეთი | 2 |
| ეშლი ტაპინი | ცურვა | აშშ | 2 |
| ფელისია ბალანჟე | ველოტრეკი | საფრანგეთი | 2 |
| გრანტ ჰეკეტი | ცურვა | ავსტრალია | 2 |
| მარია კისელიოვა | სინქ. ცურვა | რუსეთი | 2 |
| ჯეისონ ლეზაკი | ცურვა | აშშ | 2 |
| ლი სიაოპენი | ტანვარჯიში | ჩინეთი | 2 |
| დომენიკო ფიორავანტი | ცურვა | იტალია | 2 |
| დიანა მოკანუ | ცურვა | რუმინეთი | 2 |
| მორის გრინი | მძლეოსნობა | აშშ | 2 |
| კურტნი შილი | ცურვა | აშშ | 2 |
| რობერტ კორჟენიოვსკი | მძლეოსნობა | პოლონეთი | 2 |
| მაიკლ ჯონსონი | მძლეოსნობა | აშშ | 2 |
| მეგან ქვანი | ცურვა | აშშ | 2 |
| ტოდ პირსონი | ცურვა | ავსტრალია | 2 |
| მი ჯინ იუნი | მშვილდოსნობა | კორეა | 2 |
| ემი ვან დაიკენი | ცურვა | აშშ | 2 |
| ვინუს უილიამსი | ჩოგბურთი | აშშ | 2 |
| ბრუკ ბენეტი | ცურვა | აშშ | 2 |
| რობერტ ბარტკო | ველოტრეკი | გერმანია | 2 |
| ვალენტინა ვეძალი | ფარიკაობა | იტალია | 2 |
| ოლგა ბრუსნიკინა | სინქ. ცურვა | რუსეთი | 2 |
| ანჯელო ტეილორი | მძლეოსნობა | აშშ | 2 |
| ბირგიტ ფიშერი | ბაიდარა და კანოე | გერმანია | 2 |
| კატრინ ვაგნერი | ბაიდარა და კანოე | გერმანია | 2 |
| კნუტ ჰოლმანი | ბაიდარა და კანოე | ნორვეგია | 2 |
| ზოლტან კამერერი | ბაიდარა და კანოე | უნგრეთი | 2 |
| ბოტონდ შტორცი | ბაიდარა და კანოე | უნგრეთი | 2 |
| გეორგეტა დამიანი | აკად. ნიჩბოსნობა | რუმინეთი | 2 |
| დოინა იგნატი | აკად. ნიჩბოსნობა | რუმინეთი | 2 |

# ყველაზე მეტი ოლიმპიური ოქროს მედალი ვაჟებში ზაფხულის თამაშებზე

| სპორტსმენი | სახეობა | ქვეყანა | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| პაავო ნურმი | მძლეოსნობა | ფინეთი | 9 |
| მარკ სპიტცი | ცურვა | აშშ | 9 |
| კარლ ლუისი | მძლეოსნობა | აშშ | 9 |
| სავაო კატო | ტანვარჯიში | იაპონია | 8 |
| მეტ ბიონდი | ცურვა | აშშ | 8 |
| რეი ევრი | მძლეოსნობა | აშშ | 8 |
| ნიკოლაი ანდრიანოვი | ტანვარჯიში | სსრკ | 7 |
| ბორის შახლინი | ტანვარჯიში | სსრკ | 7 |
| ვიქტორ ჩუკარინი | ტანვარჯიში | სსრკ | 7 |
| ალადარ გერევიჩი | ფარიკაობა | უნგრეთი | 7 |

# ყველაზე მეტი ოლიმპიური ოქროს მედალი ქალებში ზაფხულის თამაშებზე

| სპორტსმენი | სახეობა | ქვეყანა | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| ლარისა ლატინინა | ტანვარჯიში | სსრკ | 9 |
| ჯენი ტომპსონი | ცურვა | აშშ | 8 |
| ბირგიტ ფიშერი | ბაიდარა და კანოე | გერმანია | 7 |
| ვერა ჩასლავსკა | ტანვარჯიში | ჩეხოსლოვაკია | 7 |
| ემი ვან დაიკენი | ცურვა | აშშ | 6 |
| კრისტინ ოტო | ცურვა | გდრ | 6 |
| აგნეს კელეტი | ტანვარჯიში | უნგრეთი | 5 |
| პოლინა ასტახოვა | ტანვარჯიში | სსრკ | 5 |
| კრისტინა ეგერსეგი | ცურვა | უნგრეთი | 5 |
| ნელი კიმი | ტანვარჯიში | სსრკ | 5 |
| ნადია კომანეჩი | ტანვარჯიში | რუმინეთი | 5 |




REUTERS სიდნეიდან



სიდნეიში ჯენი ტომპსონმა (მარცხენა ფოტოზე) და ბირგიტ ფიშერმა (მარჯვენა ფოტოზე პირველი) ყველა დროის ოლიმპიურ ოქროსმედალოსან ქალთა სიაში მეორე და მესამე ადგილებზე გადაინაცვლეს





მაიკლ კლიმმა, იან ტორპმა და ინგე დე ბრუინმა სამ-სამი ოლიმპიური ოქრო და სამ-სამი მსოფლიო რეკორდი მიიკუთვნეს

# რეკორდების წვიმა ოლიმპიურ წყალში

## ჰოლანდიამ ამერიკას და ავსტრალიას მოუგო

**კარგია,** მსოფლიოს რეკორდსმენი გერქვას, მაგრამ უმჯობესია, თუ ასეთ წარმატებებს ოლიმპიური ჩემპიონობით დააგვირგვინებ. არაერთ სპორტსმენს გამოუჩენია თავი მსოფლიოს რეკორდების დამყარებით, მაგრამ ოლიმპიადაზე ეს ვეღარ განუხორციელებია და მსოფლიო სპორტის ისტორიისკენ მიმავალ ბილიკს ასცდენია.

მართალია, ოლიმპიური ჩემპიონის წოდება მარადიულია, მაგრამ ისეც მომხდარა, რომ იგი ამა თუ იმ სპორტსმენის უნიკალურ მიღწევას დაუჩრდილავს. ამის დასტურად 1968 წლის მეხიკოს ოლიმპიადაზე ამერიკელი მძლეოსნის, ბობ ბიმონის ისტორიული ნახტომიც კმარა, რომლის არათუ გაუმჯობესება, არამედ გამეორებაც კი ვერავინ შეძლო ორი ათეული წლის მანძილზე. 23 წელი გავიდა მანამ, სანამ სიგრძეზე ხტომაში მსოფლიოს რეკორდი დაემხობოდა — ეს ბიმონის თანამემამულემ, მაიკ პაუელმა გააკეთა 1991 წელს.

გავიხსენოთ ამერიკელი მოცურავის, მერი მიგერის მსოფლიოს რეკორდიც, რომელმაც 19 წელს გაძლო. მხოლოდ შარშან გააუმჯობესა იგი ავსტრალიელმა სუზან ონილმა.

ასეთი მაგალითი უამრავია, თუმცა მარტო ათლეტები როდი იწონებენ თავს მსოფლიოს რეკორდებით. თუ მათ რაოდენობაზე მიდგება საქმე, ოლიმპიადების მასპინძელი ქალაქებიც ეჯიბრებიან ერთმანეთს. ამ მხრივ საინტერესოა სიდნეის ოლიმპიური თამაშები. ცურვაში რვადღიანი ასპარეზობისას მსოფლიოს 14 უსწრაფესი შედეგით ოლიმპიადის დედაქალაქმა წინა თამაშების მასპინძელი ატლანტა დაჯაბნა. თავად განსაჯეთ: ასპარეზობის პირველივე დღეს სიდნეის ოლიმპიურ წყალში ხუთი მსოფლიოს რეკორდის მოწმენი გავხდით, ეს მაშინ, როცა ატლანტაში მთლიანობაში ოთხი ასეთი მიღწევა ვიხილეთ. ქვემოთ მოცემულ ცხრილშიც ნათლად გაჩვენებთ ატლანტისა და სიდნეის ოლიმპიადებზე მსოფლიოს, ოლიმპიური თუ კონტინენტური რეკორდების თანაფარდობას.

ახლა რაც შეეხება მსოფლიოს რეკორდებს.

სიდნეის საერთაშორისო საწყლოსნო ცენტრში ყველაზე მეტად გამოირჩნენ ავსტრალიელები — იან ტორპი და მაიკლ კლიმი და ჰოლანდიელი ინგე დე ბრუინი, რომლებიც სამ-სამჯერ გახდნენ პლანეტის უსწრაფესი მოცურავეები. მთლიანობაში კი კაცმა მოცურავეებმა რვაჯერ, ხოლო ქალებმა ექვსჯერ ისახელეს თავი. გარდა ამისა, თუ არაოფიციალურ გუნდურ პირველობაში მედლების საერთო რაოდენობის მიხედვით საუკეთესო სამეულში აშშ, ავსტრალია და ჰოლანდია მოხვდნენ, მსოფლიოს საუკეთესო შედეგების შეჯამება სურათს მთლიანად ცვლის. ხუთი ასეთი მიღწევით პირველები ჰოლანდიელები არიან, ოთხ-ოთხი მსოფლიოს რეკორდით მეორე ადგილს იანკები და ოზები იყოფენ, ხოლო ერთი ასეთი მაჩვენებლით მესამეა უკრაინა.

რეკორდიცაა და რეკორდიც. ამ მხრივ უცილობელი ლიდერია ჰოლანდიელი დე ბრუინი. მან სხვებისგან განსხვავებით ინდივიდუალურ სახეობებში სამჯერ გააუმჯობესა მსოფლიოს საუკეთესო შედეგები. ლიდერობასთან ახლოს იყო მისი თვისტომი პიტერ ვან ჰოგენბანდიც, რომელმაც ორჯერ დაამხო მსოფლიოს რეკორდი, ხოლო მესამედ თავისივე ასეთი წარმატება გაიმეორა.

**გიგა გურასაშვილი**

**ცურვის რეკორდები სიდნეიში და ატლანტაში**

| ატლანტა 1996 | | სიდნეი 2000 |
|---|---|---|
| 4 | მსოფლიოს | 15 |
| 14 | ოლიმპიური | 38 |
| 27 | კონტინენტური | 73 |
| 10 | აფრიკა | 22 |
| 5 | აზია | 4 |
| 6 | ამერიკა | 15 |
| 4 | ევროპა | 16 |
| 2 | ოკეანეთი | 16 |

**სიდნეის ოლიმპიადაზე დამყარებული ყველა მსოფლიოს რეკორდი**

| დისციპლინა | მოცურავე | ქვეყანა | შედეგი | თარიღი |
|---|---|---|---|---|
| **ვაჟები** | | | | |
| 100 მ. თავისუფალი სტილი | მაიკლ კლიმი | ავსტრალია | 48,18 | 16.09 |
| 100 მ. თავისუფალი სტილი | პიტერ ვან ჰოგენბანდი | ჰოლანდია | 47,84 | 16.09 |
| 200 მ. თავისუფალი სტილი | პიტერ ვან ჰოგენბანდი | ჰოლანდია | 1.45,35 | 17.09 |
| 200 მ. თავისუფალი სტილი | პიტერ ვან ჰოგენბანდი | ჰოლანდია | 1.45,35 | 18.09 |
| 400 მ. თავისუფალი სტილი | იან ტორპი | ავსტრალია | 3.40,59 | 16.09 |
| 400 მ. კომპლექსური | ტომ დოლანი | აშშ | 4.11,76 | 16.09 |
| 4X100 მ. თავისუფალი სტილი | ნაკრები | ავსტრალია | 3.13,67 | 16.09 |
| 4X200 მ. თავისუფალი სტილი | ნაკრები | ავსტრალია | 7.07,05 | 19.09 |
| 4X100 მ. კომბინირებული | ნაკრები | აშშ | 3.33,73 | 23.09 |
| **ქალები** | | | | |
| 50 მ. თავისუფალი სტილი | ინგე დე ბრუინი | ჰოლანდია | 24,13 | 22.09 |
| 100 მ. თავისუფალი სტილი | ინგე დე ბრუინი | ჰოლანდია | 43,77 | 20.09 |
| 100 მ. ბატერფლაი | ინგე დე ბრუინი | ჰოლანდია | 56,61 | 17.09 |
| 400 მ. კომპლექსური | იანა კლოჩკოვა | უკრაინა | 4.33,59 | 16.09 |
| 4X100 მ. თავისუფალი სტილი | ნაკრები | აშშ | 3.36,61 | 16.09 |
| 4X100 მ. კომბინირებული | ნაკრები | აშშ | 3.58,30 | 23.09 |

# შავი სია

***სიდნეის ოლიმპიადის ანტისადოპინგე სამსახურმა მრავალი სპორტსმენი დოპინგის მოხმარებაში ამხილა და ოლიმპიადიდან მოკვეთა. რამდენიმე მათგანს უკვე მოპოვებული მედლებიც კი ჩამოერთვა. წმენდაში სულ 26 კაცი მოყვა, შვიდი მათგანი ადგილობრივი შემოწმებისას ამხილეს, ხოლო 19-ზე ადრეული ტესტები იყო ჩატარებული და მათ დადებითი შედეგი ოლიმპიადის მიმდინარეობისას უჩვენეს. ძნელია იმის განსაზღვრა, ოლიმპიადის დანარჩენ მონაწილეთა რამდენ პროცენტს ჰქონდა აკრძალულ ნივთიერებებთან კონტაქტი, ოლიმპიური ჯილდო რამდენმა მოიპოვა არაპატიოსნად და შესაბამისად რამდენად ეფექტური იყო ოლიმპიადაზე მომსახურე მსოფლიო ანტისადოპინგო სააგენტოს მუშაობა, მაგრამ მხილებულთა ნუსხის წარმოდგენა შეგვიძლია. ოლიმპიური და ადრეული ტესტებით ჩავარდნილნი ჯგუფებად და თარიღის მიხედვით დავალაგეთ. ოლიმპიურ სადოპინგე სტენოგრამას ქვემოთ ნაჩვენები სახე აქვს:***

### ოლიმპიური ტესტები

20 სექტემბერი. ***ივან ივანოვი (ბულგარეთი).*** 56 კგ-მდე წონითი კატეგორიის ძალოსანი. დოპინგი — დიურეტიკი. ჩამოერთვა ვერცხლის მედალი.

22 სექტემბერი. ***იზაბელა დრაგნევა*** და ***სევდალინ მინჩევი (ორივე ბულგარეთი).*** დრაგნევა 48 კგ-მდე წონითი კატეგორიის ძალოსანია, მინჩევი — 62 კგ-ისა. დოპინგი — დიურეტიკი. დრაგნევას ოქროს მედალი ჩამოერთვა, მინჩევს — ბრინჯაოსი.

24 სექტემბერი. ***ანდრის რეინოლდსი (ლატვია).*** ნიჩბოსანი. დოპინგი — ნანდროლონი.

26 სექტემბერი. ***ანდრეია რადუჩანი (რუმინეთი).*** ტანმოვარჯიშე. ყველაზე შემთხვევითი დამნაშავე, რომელიც გაციების საწინააღმდეგო აბებმა დაღუპა. დოპინგი — ფსევდოეფედრინი. ჩამოერთვა ოქროს მედალი. აპელაციით მიმართა სპორტის საერთაშორისო სასამართლოს, მაგრამ ამაოდ.

1 ოქტომბერი. ***აშოტ დანიელიანი (სომხეთი).*** ზემძიმე წონის ძალოსანი. დოპინგი — სტანოზოლოლი. ჩამოერთვა ბრინჯაოს მედალი.

***ფრიც აანესი (ნორვეგია).*** ბერძნულ-რომაულად მოჭიდავე; დოპინგი — ნანდროლონი. ოლიმპიადაზე მე-4 ადგილი დაიკავა.

ლომრბოლი. დოპინგი — კორტიკოიდი, რომელიც „ტურ დე ფრანსის" დროს აღმოუჩინეს და ველოსპორტის საერთაშორისო კავშირმა სამთვიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა.

***საიმონ კემბოი (კენია).*** 4X400 მეტრზე ესტაფეტის მონაწილე. დოპინგი — ნანდროლონი.

***დუპე ოსიმე (ნიგერია).*** 800 მეტრზე მორბენალი. დოპინგი — ნანდროლონი

20 სექტემბერი. ***ვადიმ დევიატოვსკი (ბელარუსი).*** უროს მტყორცნელი. დოპინგი — ნანდროლონი.

***იან ჰრუშკა (ჩეხეთი).*** ველომრბოლი. დოპინგი ჯერაც დაუდგენელია.

25 სექტემბერი. ***სი ჯეი ჰანტერი (აშშ).*** ბირთვის მკვრელი. დოპინგი — ნანდროლონი. ოლიმპიადაში მონაწილეობას ტრავმის გამო ისედაც ვერ ახერხებდა. დადებითი პასუხი მისმა ოთხმა დოპინგ-ტესტმა უჩვენა.

27 სექტემბერი. ***მიჰაელა მელინტე (რუმინეთი).*** უროს მტყორცნელი. დოპინგი — ნანდროლონი. სიდნეიში გამარჯვების ერთ-ერთი ფავორიტი იყო.

30 სექტემბერი. ***სვეტლანა პოსპელოვა (რუსეთი).*** მორბენალი. დარბაზებში 400 მეტრზე ევროპის ჩემპიონი. დოპინგი — სტანოზოლოლი.

### ადრეული ტესტები

13 სექტემბერი. ***ჩენ პო-პუ (ტაივანი)*** ძალოსანი, იუნიორთა მსოფლიო პირველობის პრიზიორი. დოპინგი — მეთანდიენონი. პირველი სპორტსმენი, რომელიც ოლიმპიადიდან მოიკვეთა.

***ივა პრანჯევა (ბულგარეთი).*** სამხტომელი, 1995 წლის მსოფლიო პირველობის ვერცხლის მედალისტი. დოპინგი — ნანდროლონი. 1996 წელს ატლანტის ოლიმპიადიდანაც მოკვეთეს და ორწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს.

***ევგენია ერმაკოვა (ყაზახეთი).*** თავისუფალი სტილით მოცურავე. დოპინგი — დიურეტიკი.

15 სექტემბერი. ***ტრაიან კიპარეანი, ანდრეი მატეიასი (ორივე — რუმინეთი).*** ძალოსნები. კიპარეანი ბარსელონას ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორია.

17 სექტემბერი. ***სტიან გრიმსეთი (ნორვეგია).*** ზემძიმე წონის ძალოსანი.

***ანუშირვან ნარიანი (ირანი).*** 63,5 კგ. წონითი კატეგორიის მოკრივე.

***სეზარ ბადიტა (რუმინეთი).*** მოცურავე. დოპინგი — ნანდროლონი; მისი საქმე ჯერაც გამოძიების ფაზაშია, ამიტომ ოლიმპიადაზე 400 მეტრზე ცურვის საშუალება მისცეს და მე-7 ადგილი დაიკავა, თუმცა თუ დისკვალიფიკაციით დასჯიან, მისი ათვლა ამა წლის მაისიდან დაიწყება და იმის აქით ნაჩვენები ყველა შედეგი გაუუქმდება.

18 სექტემბერი. ***დიტერ ბაუმანი (გერმანია).*** 5000 მეტრზე მორბენალი, ბარსელონას ოლიმპიადის ჩემპიონი. დოპინგი — ნანდროლონი.

19 სექტემბერი. ***ალექსანდრ ბაგაჩი (უკრაინა).*** ბირთვის მკვრელი, ატლანტის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი. უკვე მესამედ ჩავარდა.

***ემანუელ მანიენი (საფრანგეთი).*** ვე-



**უდანაშაულო დამნაშავე: ანდრეია რადუჩანი**

# ხალხო, აირჩიეთ პრეზიდენტი, ფეხბურთი გვინდა!

ორპრეზიდენტიანობა, ორმწვრთნელობისგან განსხვავებით, დამკვიდრებული არ გახლავთ (არც პრეზიდენტთა საბჭოს შესახებ სმენია ვინმეს), ამიტომ ერთი პრეზიდენტის გამოსავლენად, ხოლო მეორის თვითმარქვიად გამოსაცხადებლად იუგოსლავიაში გაცხარებული ბრძოლაა. პოლიტიკური სიტუაციის დაწვრილებითი მიმოხილვა სპორტული გაზეთის კომპეტენციას სცილდება, ამიტომ მხოლოდ იუგოსლავიური დაპირისპირების საფეხბურთო შედეგებზე ვთქვათ.

შედეგი ასეთია: ფიფამ ამ ბალკანურ სახელმწიფოში საერთაშორისო მატჩების გამართვა გაურკვეველი ვადით აკრძალა. მოსალოდნელიც იყო.

როდემდე გასტანს აკრძალვა, თავად იუგებზეა დამოკიდებული — თქვან, ვინ არის პრეზიდენტი და მორჩება საქმე. ყოველ შემთხვევაში, 7 ოქტომბერს რუსეთს და ოთხი დღის შემდეგ ფარერებს რომ ვერ უმასპინძლებენ, წყალი არ გაუვა.

რუსები ადრე ამბობდნენ, ბელგრადში ჩასვლის არ გვეშინია, ბოლოს და ბოლოს ჩვენც სლავები ვართ და ისინიც, რა ხიფათი უნდა შეგვემთხვესო, მაგრამ ფიფამ უკეთ იცის... ახლა რუსებს ისღა დარჩენიათ, მატჩის გასამართად ისეთი დრო შეარჩიონ, კალენდარს რომ არ აურევთ. ფიფასეული ვარაუდით, სერბები დაახლოებით თვე-თვენახევარში დაწყნარდებიან და იუგოსლავია — რუსეთის სავარაუდო თარილად 15 ნოემბერი მონიშნეს. ამან პროტესტი გამოიწვია: რუსეთის საფეხბურთო კავშირის გენერალურმა მდივანმა ვლადიმირ რადიონოვმა თამაშის გაისად, 25 აპრილისთვის გადატანა მოითხოვა — რაკი 12 ნოემბერს რუსეთში ჩემპიონატის ბოლო ტურია, ფეხბურთელები გადაღლილნი იქნებიანო, თქვა მან.

აი, ფარერის კუნძულელთათვის კი ალბათ სულერთია, როდის ჩავლენ ბელგრადში — გადატვირთული კალენდარი მაგათ არ აწუხებთ და გამარჯვების დაუოკებელი წყურვილი. საკითხი, როგორც უკვე ვთქვით, ღიად რჩება.

## ჰოლანდია

VII ტური

**გრააფსხაპი 2:3 ფეიენოორდი**

1:0 ტურპინი (5), 2:0 ჰუპკესი (7), 2:1 კორნეევი (12), 2:2, 2:3 ტომასონი (56, 61)

**ვიტესი 2:1 უტრეხტი**

0:1 ვან დერ ჰააგი (34), 1:1 მარტელი (68), 2:1 კრუეკი (75)

**გრონინგენი 0:1 პსვ ეინდჰოვენი**

0:1 კეჟმანი (66)

**სპარტა 1:2 ტილბურგი**

0:1 არტსი (68პ), 1:1 ელხატაბი (71), 1:2 სესაი (79)

**როდა 4:2 ალკმარი**

1:0 ჩუტანგი (41), 1:1 ობდამი (56), 2:1 ვან ჰაარენი (58), 3:1 ჩუტანგი (71), 3:2 ნელისე (89პ), 4:2 ვან დერ ლუერი (90პ)

**ვალვაიკი 1:1 ტვენტე**

0:1 ბუთი (25), 1:1 ჰუმანი (80)

**ჰერენვენი 2:2 აიაქსი**

1:0 იენსენი (10), 1:1, 1:2 მახლასი (53, 66), 2:2 ჰანსმა (77)
აიაქსი: გრიმი, ჰასანენი, ბერგდოლმო, კნუფ, გალაშეკი, ნუივენბურგი, ვინტერი (ვან დერ ვაარტი 77), ვან დერ გუნი, ვიჩგე, ვამბერტო (ვან დერ მეიდე 72), მახლასი (ჰოსე 86)
მწვრთნელი: კო ადრიანსე
14 300 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტესი | 7 | 5 | 1 | 1 | 18:10 | 16 |
| ბრედა | 7 | 4 | 1 | 2 | 14:6 | 13 |
| პსვ | 6 | 4 | 1 | 1 | 11:6 | 13 |
| ფეიენოორდი | 4 | 4 | 0 | 0 | 10:4 | 12 |
| აიაქსი | 7 | 3 | 2 | 2 | 14:9 | 11 |
| ნაიმეგენი | 7 | 2 | 5 | 0 | 13:9 | 11 |
| ვალვაიკი | 8 | 3 | 2 | 3 | 8:8 | 11 |
| როდა | 5 | 2 | 3 | 0 | 12:8 | 9 |
| ტილბურგი | 6 | 2 | 3 | 1 | 9:8 | 9 |
| ტვენტე | 7 | 2 | 3 | 2 | 12:12 | 9 |
| ჰერენვენი | 5 | 2 | 2 | 1 | 8:7 | 8 |
| გრონინგენი | 8 | 2 | 2 | 4 | 11:17 | 8 |
| უტრეხტი | 6 | 2 | 1 | 3 | 9:9 | 7 |
| ალკმარი | 6 | 2 | 0 | 4 | 10:15 | 6 |
| გრააფსხაპი | 7 | 2 | 0 | 5 | 10:15 | 6 |
| სპარტა | 6 | 1 | 1 | 4 | 11:16 | 4 |
| როზენდალი | 7 | 1 | 0 | 6 | 9:17 | 3 |
| სიტარდი | 5 | 0 | 1 | 4 | 2:15 | 1 |

## დანია

მე-11 ტური. ოლბორგი — მიდტიულანდი 1:2; აკადემისკი — ოდენსე 3:1; სილკებორგი — ლიუნგბიუ 3:0; ვიბორგი — ორჰუსი 2:0; ბრონდბიუ — ჰადერსლევი 6:1; ჰერფიოლგე — კოპენჰაგენი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 11 | 7 | 2 | 2 | 33:10 | 23 |
| მიდტიულანდი | 11 | 6 | 3 | 2 | 19:11 | 21 |
| ლიუნგბიუ | 11 | 7 | 0 | 4 | 18:18 | 21 |
| კოპენჰაგენი | 11 | 6 | 2 | 3 | 14:7 | 20 |
| სილკებორგი | 11 | 5 | 5 | 1 | 15:14 | 20 |
| ოდენსე | 11 | 5 | 1 | 5 | 18:11 | 16 |
| ვიბორგი | 11 | 4 | 4 | 3 | 12:8 | 16 |
| აკადემისკი | 11 | 3 | 4 | 4 | 16:16 | 13 |
| ოლბორგი | 11 | 4 | 1 | 6 | 15:18 | 13 |
| ორჰუსი | 11 | 3 | 1 | 7 | 12:22 | 10 |
| ჰერფიოლგე | 11 | 3 | 1 | 7 | 13:25 | 10 |
| ჰადერსლევი | 11 | 0 | 2 | 9 | 11:36 | 2 |

## რუსეთი

XXVI ტური

**ზენიტი 1:2 ლოკომოტივი**

0:1 ზ. ჯანაშია (31), 1:1 ოგოროდნიკი (52), 1:2 მამინოვი (64)

**ტორპედო 2:1 კრილია**

1:0 ვიაზმიკინი (6), 1:1 წიკლაური (48), 2:1 ლუხვიჩი (65)

**ჩერნომორეცი 1:4 სპარტაკი**

0:1 რობსონი (18), 1:1 მაშკარინი (29), 1:2, 1:3 ტიტოვი (71, 82), 1:4 შირკო (88)

**სატურნი 0:1 ფაკელი**

0:1 იუმინოვი (70)

**დინამო 2:0 როტორი**

1:0 შტანიუკი (57), 2:0 გუსევი (74)

**ნ. ნოვგოროდი 1:4 ანჟი**

0:1 რახიმიჩი (54), 0:2 რანჟელოვიჩი (71), 0:3 რახიმიჩი (74), 1:3 საპუგა (74), 1:4 ადიევი (84)
ზურაბ ფოფხაძემ ვერ გაიტანა პენალტი (57, ძელი, ნ. ნოვგოროდი)

**როსტსელმაში 3:0 ურალანი**

1:0 კირიჩენკო (10), 2:0 გრაჟიუნასი (25), 3:0 კირიჩენკო (55)

**ალანია 2:1 ცსკა**

1:0, 2:0 აშვეთია (10, 31), 2:1 ფილიპენკოვი (69)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 27 | 20 | 1 | 6 | 64:28 | 61 |
| ლოკომოტივი | 26 | 16 | 7 | 3 | 35:16 | 55 |
| ანჟი | 26 | 14 | 5 | 7 | 39:26 | 47 |
| ტორპედო | 27 | 13 | 7 | 7 | 37:28 | 46 |
| დინამო | 26 | 12 | 7 | 7 | 39:31 | 43 |
| ჩერნომორეცი | 26 | 11 | 9 | 6 | 39:24 | 42 |
| ზენიტი | 26 | 11 | 7 | 8 | 33:23 | 40 |
| სატურნი | 26 | 9 | 8 | 9 | 25:26 | 35 |
| ალანია | 26 | 9 | 7 | 10 | 29:33 | 34 |
| ცსკა | 26 | 9 | 5 | 12 | 31:34 | 32 |
| როტორი | 26 | 7 | 8 | 11 | 31:47 | 29 |
| როსტსელმაში | 26 | 5 | 13 | 8 | 21:22 | 28 |
| ფაკელი | 26 | 6 | 9 | 11 | 22:40 | 27 |
| კრილია | 26 | 6 | 5 | 15 | 23:42 | 23 |
| ნ. ნოვგოროდი | 26 | 3 | 8 | 15 | 15:37 | 17 |
| ურალანი | 26 | 2 | 6 | 18 | 16:42 | 12 |

## ჩეხეთი

მე-8 ტური. ბრნო — ბუდეიოვიცე 3:0; ბანიკი — ბოჰემიანსი 1:1; სპარტა — პლზენი 5:1; ტეპლიცე — სინოტი 2:1; პრჟიბრამი — სლავია 2:1; ჟიჟკოვი — იაბლონეცი 2:2; სიგმა — დრნოვიცე 2:0; ლიბერეცი — ბლშანი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 7 | 7 | 0 | 0 | 22:3 | 21 |
| ლიბერეცი | 9 | 6 | 2 | 1 | 17:6 | 20 |
| სიგმა | 7 | 4 | 2 | 1 | 12:5 | 14 |
| სინოტი | 8 | 3 | 4 | 1 | 13:6 | 13 |
| ბოჰემიანსი | 9 | 2 | 6 | 1 | 11:7 | 12 |
| სლავია | 6 | 3 | 2 | 1 | 9:6 | 11 |
| ტეპლიცე | 7 | 3 | 2 | 2 | 8:8 | 11 |
| პრჟიბრამი | 8 | 3 | 1 | 4 | 10:11 | 10 |
| ჟიჟკოვი | 8 | 3 | 1 | 4 | 11:15 | 10 |
| ბანიკი | 9 | 2 | 4 | 3 | 8:12 | 10 |
| დრნოვიცე | 9 | 3 | 0 | 6 | 10:16 | 9 |
| პლზენი | 9 | 1 | 4 | 4 | 9:20 | 7 |
| ბლშანი | 8 | 1 | 3 | 4 | 5:11 | 6 |
| იაბლონეცი | 8 | 1 | 3 | 4 | 8:14 | 6 |
| ბრნო | 6 | 1 | 1 | 4 | 6:10 | 4 |
| ბუდეიოვიცე | 6 | 1 | 1 | 4 | 4:13 | 4 |

## პორტუგალია

VI ტური

**ფეირეირა 4:1 ამადორა**

1:0 რაფაელ დიასი (27), 2:0, 3:0 პაულუ ვიდა (38, 79), 4:0 ჟერალდუ სილვა (82), 4:1 ლეალი (87)

**ალვერკა 2:0 ჟილ ვისენტე**

1:0 უგო კოშტა (3), 2:0 რამირესი (83პ)

**კამპომაიორენსე 1:1 ლეირია**

0:1 დერლეი სილვა (15), 1:1 კანეტე (22)

**მარიტიმუ 2:1 ბეირა მარი**

1:0 სიმუდიცა (36), 1:1 პასუში (85), 2:1 პაულუ სერჟიუ (86)

**სპორტინგი 2:0 სალგეირუში**

1:0, 2:0 აკოსტა (61, 90)

**გიმარაეში 2:2 ავეში**

1:0 კონგო (32), 2:0 მაურილიუ სილვა (36), 2:1 მორეირა (79), 2:2 ნადაპი (82)

**ბენფიკა 2:2 ბრაგა**

1:0 ფეპერი (34), 1:1 ჟოაუ ტომასი (63), 2:1 ვან ჰ ოიდონკი (78), 2:2 არტურ ჟორჟე (90)

**ბელენენსეში 2:2 ბოავიშტა**

0:1 ერვინ სანჩესი (26), 1:1 ნანჯი (38), 1:2 ლიმა (40), 2:2 ვერონა (56)

**ფარენსე 1:3 პორტუ**

0:1 პენა (5), 0:2 კანდიდუ კოშტა (55), 0:3 დრულოვიჩი (90), 1:3 ფერნანდუ რიოსი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 6 | 5 | 0 | 1 | 13:4 | 15 |
| ბრაგა | 6 | 4 | 2 | 0 | 10:6 | 14 |
| სპორტინგი | 6 | 4 | 1 | 1 | 12:5 | 13 |
| ფერეირა | 6 | 4 | 0 | 2 | 14:7 | 12 |
| ბელენენსეში | 6 | 3 | 3 | 0 | 10:5 | 12 |
| სალგეირუში | 6 | 4 | 0 | 2 | 7:6 | 12 |
| ბოავიშტა | 6 | 3 | 2 | 1 | 12:6 | 11 |
| მარიტიმუ | 6 | 3 | 1 | 2 | 5:4 | 10 |
| ბენფიკა | 6 | 2 | 2 | 2 | 9:8 | 8 |
| გიმარაეში | 6 | 2 | 1 | 3 | 10:11 | 7 |
| ფარენსე | 6 | 2 | 1 | 3 | 5:7 | 7 |
| ალვერკა | 6 | 1 | 3 | 2 | 5:7 | 6 |
| ლეირია | 6 | 1 | 3 | 2 | 6:11 | 6 |
| ავეში | 6 | 1 | 2 | 3 | 8:10 | 5 |
| კამპომაიორ. | 6 | 0 | 4 | 2 | 6:12 | 4 |
| ბეირა მარი | 6 | 0 | 2 | 4 | 8:15 | 2 |
| ჟილ ვისენტე | 6 | 0 | 2 | 4 | 2:9 | 2 |
| ამადორა | 6 | 0 | 1 | 5 | 2:11 | 1 |

## ბელგია

VIII ტური

**ბრიუგე 5:2 მეხელენი**

0:1 ელიასი (23), 1:1 მარტენსი (36), 2:1 ლემბი (45პ), 3:1 ვერჰეინი (73), 4:1 მენდოსა (81პ), 4:2 გებელენი (85), 5:2 ვერჰეინი (89)

**გენტი 4:2 ანტვერპენი**

1:0 კაკლამანოსი (7), 2:0 შეპენსი (17), 2:1 ჩედვიკი (43), 2:2 ჩიპი (45ს.კ.), 3:2 ვასოვი (50), 4:2 კაკლამანოსი (55)

**გენკი 1:1 ანდერლეხტი**

1:0 ტიისი (2პ), 1:1 პიერი (32)

**სტანდარდი 5:3 ვესტერლო**

1:0, 2:0 გუსენსი (12, 19), 2:1 პელიჩი (22), 3:1, 4:1 გუსენსი (38, 45), 4:2 დალიბორ მიტროვიჩი (52), 5:2 იობო (75), 5:3 ბოეკა-ლისასი (89)

**ლუვიე 1:0 სენტ ტრუიდენი**

1:0 ბიულინქსი (18)

**ბეერსხოტი 2:0 აალსტი**

1:0 დეგრიზი (60), 2:0 სევერენსი (65)

**ლოკერენი 1:1 ბევერენი**

0:1 ტანსი (13პ), 1:1 გრეტარსონი (45)

**ლიერსი 4:1 ჰარელბეკე**

1:0 ვან მეირი (5), 2:0 სომერსი (16), 3:0 კავენსი (47), 3:1 კუბიკი (73), 4:1 ვერეტენნიკოვი (90)

**მუსკრონი 3:0 შარლერუა**

1:0, 2:0 დეიან მიტროვიჩი (13, 42), 3:0 მარჩინ ჟევლაკოვი (74)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 8 | 8 | 0 | 0 | 32:8 | 24 |
| ანდერლეხტი | 8 | 6 | 2 | 0 | 27:10 | 20 |
| სტანდარდი | 8 | 5 | 1 | 2 | 24:12 | 16 |
| მუსკრონი | 8 | 5 | 1 | 2 | 21:9 | 16 |
| გენტი | 8 | 5 | 1 | 2 | 20:15 | 16 |
| ლიერსი | 8 | 5 | 0 | 3 | 17:11 | 15 |
| შარლერუა | 8 | 5 | 0 | 3 | 17:16 | 15 |
| ვესტერლო | 8 | 4 | 2 | 2 | 16:14 | 14 |
| ლოკერენი | 8 | 3 | 4 | 1 | 11:10 | 13 |
| ბეერსხოტი | 8 | 4 | 0 | 4 | 13:12 | 12 |
| გენკი | 7 | 2 | 3 | 2 | 9:9 | 9 |
| ბევერენი | 8 | 2 | 2 | 4 | 5:13 | 8 |
| ლუვიე | 8 | 1 | 3 | 4 | 5:16 | 6 |
| ჰარელბეკე | 8 | 1 | 1 | 6 | 12:27 | 4 |
| აალსტი | 8 | 1 | 1 | 6 | 6:23 | 4 |
| სენტ ტრუიდენი | 8 | 0 | 3 | 5 | 6:13 | 3 |
| ანტვერპენი | 7 | 1 | 0 | 6 | 6:15 | 3 |
| მეხელენი | 8 | 0 | 2 | 6 | 10:24 | 2 |

## ინგლისი

ლიგის თასი

II ეტაპი. საპასუხო მატჩები

**ბლექპული — ნორვიჩი 0:5 (3:3); ვულვერჰემპტონი — გრიმსბი 2:0 (2:3)**

მესამე ეტაპზე „ნორვიჩ სიტი" შეხვდება „დერბი ქაუნთის", „ვულვერჰემპტონი" კი ლონდონის „ფულემს".

ფეხბურთის რუკასთან



**არგენტინელმა ნახევარმცველმა ფერნანდო რედონდომ გუშინ მუხლის ოპერაცია გაიკეთა და ექვსი თვით ჩამოშორდა ფეხბურთს. შეგახსენებთ, რომ რედონდო „მილანში" გადასვლისთანავე ვარჯიშზე ისე დაშავდა, ახალ კლუბში ერთხელაც არ უთამაშია. ბედი მაქვსო, „რეალის" პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა უნდა თქვას: რედონდოში გვარიანი თანხა მიიღო, თავის ტკივილი კი მილანელ კოლეგა სილვიო ბერლუსკონის გადაულოცა.**

ესპანეთის ხელისუფლება და მოსახლეობა რა ხანია, დაშინებულია ბასკური ორგანიზაცია ეტა-ს ტერორისტული აქტებით. ამ საჭირბოროტო საკითხს მადრიდის „რეალის" პრეზიდენტი ფლორენტინო პერესიც დიდად შეუწუხებია. პრიმერადივიზიონის მეოთხე ტურის „რასინგი" — „რეალის" მატჩის წინ სანტანდერში ჩასული მადრიდელთა პრეზიდენტი ალფრედო დი სტეფანოსთან ერთად „რეალის" იქაური ქომაგის, დიეგო დურანის ოჯახს ესტუმრა. დურანი ხუთი წლის წინ ეტა-ს ტერაქტის მსხვერპლი შეიქნა და მას მერე პარალიზებულია. პერესმა მას „რეალის" გერბიანი ოქროს მედალი აჩუქა და ამით გამოხატა ბასკ ტერორისტთაგან დაზარალებულთა მხარდაჭერა.

**საფრანგეთის ნაკრებს კამერუნთან ამხანაგური მატჩის წინ დანაკლისი აქვს. „პარი სენ ჟერმენის" თავდამსხმელმა ნიკოლა ანელკამ გასულ შაბათს „გენგამთან" შეხვედრის დროს (1:1) მუხლი იტკინა. მეორე დღეს საწვრთნელ ბაზაზე მისულმა ანელკამ ვარჯიში ვერ შეძლო და სასწრაფოდ ექიმთა მისახედი შეიქნა. საფრანგეთი კამერუნს „სტად დე ფრანსზე" ოთხშაბათს უმასპინძლებს, ხოლო შაბათს, ასევე ამხანაგურად, სამხრეთ აფრიკას იოჰანესბურგში გაეჯიბრება.**

ბელგიური პრესის ცნობით, „ბრიუგესა" და ბელგიის ნაკრების ფეხბურთელ გერტ ვერჰეინი უახლოეს დღეებში ინგლისურ „იფსვიჩში" გადავა. იმავე წყაროს თანახმად, გარიგების ღირებულება 2.61 მილიონი დოლარია. ვერჰეინი კმაყოფილია: ერთი, რომ პრემიერლიგაში ითამაშებს და მეორეც, „იფსვიჩში" სამჯერ მეტ ხელფასს სთავაზობენ, ვიდრე ახლა აქვს. სეზონის დაწყებამდე „ბრიუგემ" „ლიონში" ერიკ დეფლანდრე, ხოლო „ოსერში" კალილუ ფადიგა გაუშვა. ვერჰეინი მესამეა.

**ჰოლანდიელი მიხაელ მოლსი ამსტერდამში ჩავიდა, სადაც ფეხბურთის ფედერაციის სამედიცინო ცენტრში გამოკვლევას ჩაუტარებენ. „რეინჯერსის" თავდამსხმელს მუხლის ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი. 29 წლის ფეხბურთელი პირველად გასულ ნოემბერში დაიმტვრა და ხანგრძლივად მკურნალობდა, ამ სეზონში კი ხუთი თამაშის გამართვა მოასწრო და ისევ მარჯვენა მუხლმა შეაწუხა. რამდენად სერიოზულია ტრავმა, მალე გაირკვევა, თუმცა გლაზგოელთა მწვრთნელ დიკ ადვოკაატს ჩემპიონთა ლიგაში მოლსის იმედი აღარ უნდა ჰქონდეს.**

## ავსტრია

მე-13 ტური. აუსტრია — შტურმი 1:2; გრაცერი — ტიროლი 0:2; ლინცერი — რაპიდი 2:1; ბრეგენცი — ზალცბურგი 5:1; ადმირა — რიდი 0:5

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აუსტრია | 13 | 7 | 4 | 2 | 25:9 | 25 |
| რაპიდი | 13 | 7 | 4 | 2 | 26:13 | 25 |
| ტიროლი | 13 | 6 | 3 | 4 | 20:13 | 21 |
| გრაცერი | 13 | 6 | 3 | 4 | 22:18 | 21 |
| ზალცბურგი | 13 | 6 | 2 | 5 | 17:20 | 20 |
| რიდი | 13 | 5 | 4 | 4 | 24:17 | 19 |
| შტურმი | 13 | 5 | 2 | 6 | 21:19 | 17 |
| ბრეგენცი | 13 | 4 | 3 | 6 | 17:22 | 15 |
| ლინცერი | 13 | 3 | 2 | 8 | 12:29 | 11 |
| ადმირა | 13 | 1 | 3 | 9 | 9:33 | 6 |

## რუმინეთი

მე-8 ტური: დინამო — პეტროლული 2:3; ასტრა — რაპიდი 0:1; უნივერსიტატია — სტიაუა 1:0; როკარი — ბაკეუ 2:0; გლორია — გაც მეტანი 1:0; ფორესტა — ოცელული 1:1; ჩაჰლაული — ნაციონალი 2:1; ბრაშოვი — არჯეში 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტიაუა | 8 | 5 | 2 | 1 | 18:12 | 17 |
| უნივერსიტატია | 8 | 5 | 2 | 1 | 11:5 | 17 |
| პეტროლული | 8 | 5 | 1 | 2 | 13:9 | 16 |
| ოცელული | 8 | 4 | 2 | 2 | 13:10 | 14 |
| ბრაშოვი | 8 | 4 | 2 | 2 | 4:2 | 14 |
| როკარი | 8 | 4 | 1 | 3 | 16:13 | 13 |
| არჯეში | 8 | 4 | 1 | 3 | 8:11 | 13 |
| რაპიდი | 8 | 3 | 2 | 3 | 8:7 | 11 |
| ბაკეუ | 8 | 3 | 2 | 3 | 13:13 | 11 |
| დინამო | 8 | 3 | 2 | 3 | 12:12 | 11 |
| ფორესტა | 8 | 3 | 2 | 3 | 11:12 | 11 |
| გლორია | 8 | 2 | 2 | 4 | 6:9 | 8 |
| ნაციონალი | 8 | 2 | 1 | 5 | 11:13 | 7 |
| ასტრა | 8 | 2 | 1 | 5 | 6:10 | 7 |
| ჩაჰლაული | 8 | 1 | 2 | 5 | 6:14 | 5 |
| გაც მეტანი | 8 | 1 | 1 | 6 | 5:9 | 4 |

## ნორვეგია

24-ე ტური. ვალერენგა — როზენბორგი 2:2; ბრანი — ჰაუგესუნდი 2:1; ბრინი — ვიკინგი 0:3; მოსი — მოლდე 0:1; სტაბეკი — ლილესტრიომი 0:2; ტრომსიო — სტარტი 3:2; ბოდიო გლიმტი — ოდ გრენლანდი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როსენბორგი | 24 | 15 | 5 | 4 | 51:25 | 50 |
| ვიკინგი | 24 | 13 | 5 | 6 | 49:36 | 44 |
| ბრანი | 24 | 12 | 5 | 7 | 47:39 | 41 |
| მოლდე | 24 | 11 | 7 | 6 | 44:39 | 40 |
| სტაბეკი | 24 | 11 | 5 | 8 | 54:30 | 38 |
| ტრომსიო | 24 | 11 | 5 | 8 | 42:43 | 38 |
| ლილესტრიომი | 23 | 10 | 7 | 6 | 37:23 | 37 |
| ოდ გრენლანდი | 24 | 10 | 5 | 9 | 36:30 | 35 |
| მოსი | 24 | 7 | 7 | 10 | 35:42 | 28 |
| ბოდიო გლიმტი | 24 | 6 | 9 | 9 | 45:53 | 27 |
| ბრინი | 24 | 6 | 6 | 12 | 31:51 | 24 |
| ვალერენგა | 24 | 4 | 9 | 11 | 29:40 | 21 |
| სტარტი | 23 | 5 | 5 | 13 | 35:57 | 20 |
| ჰაუგესუნდი | 24 | 4 | 4 | 16 | 30:57 | 16 |

## პოლონეთი

მე-9 ტური. ვისლა — კატოვიცე 3:1; ზაგლებე — პოლონია 0:1; რუხი — ამიცა 3:1; გროცლინი — პოგონი 2:1; რაძიონკოვი — ოდრა 0:1; ვიძევი — გურნიკი 1:0; პლოცკი — შლიონსკი 2:1; ლეგია — სტომილი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 9 | 7 | 1 | 1 | 24:6 | 22 |
| პოგონი | 9 | 6 | 2 | 1 | 12:6 | 20 |
| ლეგია | 9 | 5 | 4 | 0 | 11:4 | 19 |
| პოლონია | 9 | 5 | 2 | 2 | 12:7 | 17 |
| ამიცა | 9 | 4 | 3 | 2 | 15:12 | 15 |
| ზაგლებე | 9 | 4 | 1 | 4 | 12:11 | 13 |
| სტომილი | 9 | 4 | 1 | 4 | 9:13 | 13 |
| ვიძევი | 9 | 3 | 3 | 3 | 14:15 | 12 |
| გროცლინი | 9 | 3 | 2 | 4 | 11:14 | 11 |
| ოდრა | 9 | 3 | 2 | 4 | 8:12 | 11 |
| პლოცკი | 9 | 3 | 1 | 5 | 10:12 | 10 |
| შლიონსკი | 9 | 2 | 3 | 4 | 10:14 | 9 |
| რუხი | 9 | 2 | 2 | 5 | 9:15 | 8 |
| კატოვიცე | 9 | 0 | 7 | 2 | 3:6 | 7 |
| რაძიონკოვი | 9 | 2 | 0 | 7 | 8:17 | 6 |
| გურნიკი | 9 | 1 | 2 | 6 | 9:13 | 5 |

## საბერძნეთი

მე-3 ტური. კალამატა — ირაკლისი 0:0; პანილიაკოსი — ოფი 0:0; ოლიმპიაკოსი — იონიკოსი 3:3; აეკ — ეთნიკოსი 2:2; პანაჰაიკი — ათინაიკოსი 2:1; პანათინაიკოსი — არისი 2:2; იანინა — ქსანტი 1:1; პაოკ — პანიონიოსი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 3 | 2 | 1 | 0 | 11:4 | 7 |
| აეკ | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 7 |
| პანათინაიკოსი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 7 |
| არისი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:4 | 7 |
| პაოკ | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 5 |
| ქსანტი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| იონიკოსი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ირაკლისი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| პანაჰაიკი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| ეთნიკოსი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:8 | 4 |
| კალამატა | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | 2 |
| პანილიაკოსი | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | 2 |
| პანიონიოსი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | 2 |
| ოფი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:5 | 1 |
| იანინა | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |
| ათინაიკოსი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | 0 |

## ლიტვა

გამოტოვებული მატჩები: ატლანტასი — ჟალგირისი 4:1; ნევეჟისი — დაინავა 4:0; ეკრანასი — კაუნასი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჟალგირისი | 31 | 23 | 6 | 2 | 96:21 | 75 |
| კაუნასი | 29 | 19 | 8 | 2 | 86:20 | 65 |
| ატლანტასი | 30 | 19 | 2 | 9 | 61:34 | 59 |
| ეკრანასი | 31 | 16 | 7 | 8 | 48:24 | 55 |
| კარედა | 31 | 15 | 9 | 7 | 47:35 | 54 |
| ნევეჟისი | 31 | 10 | 11 | 10 | 28:37 | 41 |
| დაინავა | 32 | 8 | 7 | 17 | 31:62 | 31 |
| პოლონია | 31 | 6 | 6 | 19 | 25:70 | 24 |
| ინკარასი | 31 | 3 | 6 | 22 | 21:83 | 15 |
| ბანგა | 31 | 1 | 6 | 24 | 16:73 | 9 |




ოტო რეჰაგელის აღზევება და დაცემა: ბუნდესლიგის სინით და შაბათის პრეს-კონფერენციაზე

# მეფე ოტო ჩამოაგდეს
## რეჰაგელის დრო წასულა

**დრონი** მეფობენ და არა მეფენიო, უთქვამთ და სწორადაც. „მეფე ოტო", რომელიც ბოლო წლებში „კაიზერსლაუტერნს" განაგებდა, ამ კლუბში ვეღარ იმეფებს. კვირა საღამოს მისი ხელისუფლება დაემხო. ოტო რეჰაგელი გადადგა.

„გმადლობთ, ოტო, ყველაფრისთვის, მაგრამ შენი დრო წავიდა" — ასეთი ტრანსპარანტი გადმოეფინათ ტრიბუნებიდან ქომაგებს, რომლებიც შაბათს „კაიზერსლაუტერნი" — „კოტბუსის" მატჩს უცქერდნენ. შეხვედრა ფრედ 1:1 დასრულდა და რეჰაგელი მართლაც წავიდა. მან კლუბის თავმჯდომარეს იურგენ ფრიდრიხს გადადგომის შესახებ წერილი გაუგზავნა. „მეფე ოტოსთვის" კალთები არავის დაუხევია. ეგ კი არა, მგონი, მადლობაც არ უთქვამთ. რისთვის უნდა ყოფილიყვნენ მწვრთნელის მადლიერნი, ამაზე ქვემოთ, ერთს კი აღვნიშნავთ — მართალია, რეჰაგელმა გადადგომა თავად ისურვა, სინამდვილეში თავისი ნებით არ წასულა, იგი გუნდიდან გააგდეს და ამ საქმეში „კაიზერსლაუტერნის" ხელმძღვანელობამ გულშემატკივრებიც დაიხმარა.

ოტო რეჰაგელი გუნდში 1996 წლის 21 ივლისს მივიდა. ერთ მშვენიერ დღეს უმუშევარ მწვრთნელს ზემოხსენებული იურგენ ფრიდრიხი დაუკავშირდა. „წამოდი ჩვენთან და შენ ისევ ადამიანად იგრძნობ თავს" — უთხრა თავმჯდომარემ კაცს, რომელიც „ბაიერნიდან" 83 დღის გაგდებული იყო. ოტოს დიდხანს არ უფიქრია, „კაიზერსლაუტერნის" გაძღოლაზე დათანხმდა და იცით, ეს როდის გააკეთა? როცა კლუბი მეორე ბუნდესლიგის წევრი გახლდათ. რეჰაგელი გუნდში მივიდა, ფეხბურთელებს გაეცნო, ორი დღე წაავარჯიშა და თქვა: „ჩვენ ელიტაში უნდა დავბრუნდეთ, ამ ბიჭებს ეს შეუძლიათ". „მეფე ოტომ" უკვე იცოდა, რა უნდოდა, იცოდა, რისთვის უნდა ებრძოლა, მიზანი ჰქონდა, რომლისთვისაც უნდა მიეღწია.

და მიაღწია კიდეც. „კაიზერსლაუტერნი" იმავე წელს პირველ ბუნდესლიგას დაუბრუნდა, მომდევნო სეზონში კი სენსაცია მოახდინა — ქვეყნის ჩემპიონი გახდა, თავის ისტორიაში მეოთხედ. ეს ნამდვილი სასწაული იყო, გერმანულ ელიტაში აღზევებული „ლაუტერნისგან" იმ წელს განსაკუთრებულს არავინ ელოდა. მაქსიმუმ ინტერტოტოს თასის საგზური — ასეთი იყო პროგნოზი. მით უმეტეს, რეჰაგელს გუნდში ერთი ვარსკვლავიც არ ჰყოლია. სწორედ ასეთი ჩვეულებრივი ფეხბურთელებისგან შეკრა „მეფე ოტომ" გუნდი, რომელმაც ჩემპიონატის მოგებით მთელი გერმანია გააკვირვა. უნდა გენახათ, რა დღეში იყვნენ „კაიზერსლაუტერნის" ქომაგები, მწვრთნელს ძეგლი დაუდგითო, ითხოვდნენ.

შეიძლება ითქვას, „ლაუტერნი" ჩემპიონთა ლიგაშიც წარმატებით გამოვიდა, მეოთხედფინალში გააღწია, იქ კი თანამემამულე „ბაიერნთან" დამარცხდა. რეჰაგელის რეპუტაციაზე ამ წაგებას ოდნავადაც არ უმოქმედია, მას გულშემატკივრებიც და კლუბის ხელმძღვანელებიც აქებ-ადიდებდნენ.

> **ოტო რეჰაგელი**
>
> *დაიბადა 1938 წლის 9 აგვისტოს ესენში. თამაშობდა ბუნდესლიგის „ჰერტასა" (1963-66) და „კაიზერსლაუტერნში" (1966-72). სულ ბუნდესლიგაში ჩაატარა 201 მატჩი, გაიტანა 22 გოლი.*
>
> *1972 წლიდან პროფესიონალი მწვრთნელია. მისი თაოსნობით დიუსელდორფის „ფორტუნამ" 1980 წელს ქვეყნის თასი მოიპოვა. 1991 და 1994 წლებში იგივეს მიაღწია „ვერდერთან" ერთად. იყო ბუნდესლიგის ჩემპიონი 1988, 93 („ვერდერი") და 98 („კაიზერსლაუტერნი") წლებში. 14 წელი მუშაობდა „ვერდერში" და ეს გუნდი მეორე ბუნდესლიგიდან (1981) თასების მფლობელთა თასის გამარჯვებულამდე (1992) აღაზევა. ამავე გუნდთან ერთად ორჯერ (1987, 88) იყო თბილისში ჩამოსული.*

პირველად რეჰაგელი შარშანწინ გააკრიტიკეს, როცა ჩემპიონატის ბოლო ტურში „კაიზერსლაუტერნი" ფრანკფურტში „აინტრახტთან" 1:5 დამარცხდა და ჩემპიონთა ლიგის საგზური დაკარგა. შარშანაც იგივე მოხდა — „წითელი ეშმაკები" უეფას თასზე თამაშს დასჯერდნენ. წლეულს კი...

რა ჩემპიონთა ლიგა, რის უეფას თასი, „კაიზერსლაუტერნი" რვა ტურის შემდეგ აუტსაიდერებში გარეულა. მე-15 ადგილი და თამაშის ცუდი ხარისხი — აი, რამ გამოიწვია ცალკე ქომაგებისა და ცალკე კლუბის ხელმძღვანელობის გულისწყრომა. „კოტბუსთან" შაბათს ნათამაშევი 1:1-ის მერე უკმაყოფილებამ კულმინაციას მიაღწია. ტრიბუნებიდან „მეფე ოტოს" მხოლოდ ლანძღვა-გინება ესმოდა. შიშით ვერც VIP-თა ლოჟისკენ იხედებოდა, სადაც დირექტორატის წევრები დაბღვერილი სახეებით ისხდნენ. მათ სულაც არ აინტერესებდათ წარუმატებლობის მიზეზი, არ აინტერესებდათ, რომ შიონბერგი, გაბრიელი, გრამოცისი, რაიხი, ჯორკაეფი, რატინიო, ბუკი, ბასლერი და მარშალი დაშავებულნი იყვნენ, მათ მხოლოდ მოგება უნდოდათ.

მატჩისშემდგომი პრეს-კონფერენციის დაწყებამდე რეჰაგელმა ჟურნალისტები გააფრთხილა, მხოლოდ თამაშის შესახებ მკითხეთ, სხვაზე არ გიპასუხებთო. ამას რომ ამბობდა, თან ცხვირსახოცით თვალებზე მომდგარ ცრემლებს იმშრალებდა. ამის შემდეგ იგი დირექტორატში დაიბარეს, სადაც 35 წუთი გაატარა. იქიდან გამოსულს არაფერი უთქვამს. სამაგიეროდ, დირექტორატის წევრმა არნოლდ ნოიმ ამოიღო ხმა. „ოტოს გუნდის წინაშე დიდი დამსახურება მიუძღვის, მაგრამ ახლა მასსა და ფეხბურთელებს შორის კავშირი მოირღვა. გუნდი დაშლილია, მას შეკვრა სჭირდება, რეჰაგელი ამას ვერ ახერხებს" — განუცხადა მან ჟურნალისტებს.

კვირას მწვრთნელი ბაზაზე მივიდა, ფეხბურთელებს შეხვდა, ათი-თხუთმეტი წუთი „კოტბუსთან" მატჩზე ესაუბრა, მერე კი გუნდი დასასვენებლად გაუშვა. თავად შინ წავიდა, საღამოს კი კლუბის ხელმძღვანელობამ საზოგადოებას ოტო რეჰაგელის „კაიზერსლაუტერნიდან" წასვლის შესახებ ამცნო. ქომაგები ამ ამბავს დიდი ზარ-ზეიმით შეეგებნენ, თუმცა ვეჭვობ, ამით რამე მოიგონ.

მით უმეტეს, რეჰაგელის გზას შესაძლოა გერმანელი სუპერვარსკვლავი მარიო ბასლერიც მიჰყვეს. „ოტომ დამირეკა და მივდივარო, მითხრა. გაოგნებული დავრჩი, თუმც მისი მესმის. ამდენი კრიტიკა არ შეიძლება. გულშემატკივრებზე ნაწყენი ვარ. გუნდს რომ უსტვენენ, მართლები არიან, მაგრამ ცალკეული პიროვნებების ლანძღვის უფლება არავის აქვს — თქვა ბასლერმა და დაამატა — კლუბის უფროსობას ვთხოვე, იმ გუნდების ვინაობა შემატყობინოს, ვისაც ჩემი შეძენა უნდა. გუნდიდან, ალბათ, მეც წავალ". მწვრთნელს მეკარე გეორგ კოხიც გამოესარჩლა: „რეჰაგელმა ოთხი წელი იმუშავა, თანაც უმაღლეს დონეზე, ახლა კი ყველაფერი უცებ დაივიწყეს და ნაშრომი წყალში ჩაუყარეს. იგი რომ დაითხოვეს, ფეხბურთელების ბრალია, ბევრმა მათგანმა ნდობა ვერ გაუმართლა".

ისე, რეჰაგელის წასვლა ბევრ ფეხბურთელსაც გახარებია. მოგვბეზრდა მისი დიქტატურაო, ჩიოდნენ თურმე.

ოტო რეჰაგელი 250-ე მწვრთნელია, რომელიც ბუნდესლიგური კლუბის თავკაცობიდან გადადგა. იგი ამჟამად უმუშევარია, თუმც ნაღდია, ასე დიდხანს არავინ გააჩერებს. მისი დონის სპეციალისტები გერმანულ (და არა მარტო) ფეხბურთს ბევრი როდი ჰყავს.

არც „კაიზერსლაუტერნი" დარჩება დიდხანს უმწვრთნელოდ. შეიძლებოდა, ახალ თავკაცის ვინაობა ორშაბათსვე გარკვეულიყო, მაგრამ...

„როცა აპრილში ჩემს გუნდში მისვლაზე იყო ლაპარაკი, მაშინ თავი შეიკავეს, ახლა კი თავს „კარლსრუეშიც" კარგად ვგრძნობ. ამ გუნდთან კონტრაქტი მაკავშირებს, რომელსაც ბოლომდე შევასრულებ" — განაცხადა შტეფან კუნცმა. „კაიზერსლაუტერნის" მიწვევაზე უარი „ზაარბრიუკენის" დამრიგებელმა კლაუს ტოპმიულერმაც თქვა. მესამე კაცი, ვინც „ლაუტერნს" თავისი ამჟამინდელი სამსახური ანაცვალა, გერმანიის 21-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელი ული შტილიკე გახლავთ.

მათგან განსხვავებით, მწვრთნელობის სურვილი გამოთქვა კლუბის ყოფილმა მცველმა ანდრეას ბრემემ, მაგრამ როგორც კულუარებში ამბობენ, გუნდს ალბათ ახლანდელი სპორტული დირექტორი, ასევე ყოფილი მცველი ჰანს-პეტერ ბრიგელი ჩაიბარებს.

**გაიო ოქროპირიძე**

# კოკაინი და სექსი დაუმის ცხოვრებაში



**გერმანიაში** დიდი სკანდალია, რომელიც კვლავ კრისტოფ დაუმის სახელს უკავშირდება. ბოლო დროს, მოგეხსენებათ, ამ კაცის გარშემო დიდი მითქმა-მოთქმა ატყდა. „სარბიელის" მკითხველმაც იცის, რომ დაუმს ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, რომლებიც გერმანიის საფეხბურთო კავშირს მოუწოდებენ, ნაკრების თავკაცად ფიოლერი დატოვოს. წინა კვირაში სასწორი თითქოს დაუმის მხარეს გადაიხარა, მაგრამ ორშაბათს ყველაფერი აირია. ვითარება ძალიან დაიძაბა.

„თავიდან დაუმი მეც კარგი კანდიდატურა მეგონა, მაგრამ შევცდი. ბოლო თვეებში ბევრი რამ შეიცვალა. ჯერ იყო და აღმოჩნდა, რომ გადასახადებს მალავდა, ახლა კი... იგი კოკაინის მომხმარებელია და არც მეძავების მომსახურებაზე ამბობს უარს" — განუცხადა მიუნხენურ გაზეთ „აბენდცაიტუნგს" „ბაიერნის" მენეჯერმა ული ჰიონესმა, რომელიც სიტუაციის უფრო გამწვავებასაც არ მორიდებია — „რა თქმა უნდა, კოკაინს შეიყნოსავს კაცი თუ ორგიებს მოიწყობს, მისი საქმეა. ამას ვერ დაუშლი. მაგრამ გერმანიის ეროვნული გუნდის მწვრთნელი ქვეყნის სახე უნდა იყოს, ამიტომ არ გვაქვს იმის უფლება, რომ ასეთი ადამიანი დავნიშნოთ". ჰიონესმა ინტერვიუ ასეთი სიტყვებით დაასრულა: „კრისტოფ დაუმი ასი წელი ვერ გახდება გერმანიის ნაკრების თავკაცი. აი ასე".

და როგორ ფიქრობთ, რა ხასიათზე დადგებოდა „ლევერკუზენის" ამჟამინდელი დამრიგებელი? გაცეცხლებულმა დაუმმა თქვა, ყველაფერი ცილისწამებააო და დააყოლა: „გერმანიის ნაკრების მწვრთნელობაში ხელს ვერავინ შემიშლის. ამ კვირაში კონტრაქტს გავაფორმებ და ყველაფერი ამით დასრულდება. ეროვნული გუნდის თავკაცი იმ შემთხვევაში ვერ გავხდები, თუ უახლოეს დღეებში ჰიონესი საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი გახდება".

მისგან განსხვავებით, კატეგორიული გახლდათ „ლევერკუზენის" გენერალური მენეჯერი რაინერ კალმუნდი, რომელმაც ჰიონესს გონიერებისკენ მოუწოდა — კაცს ასეთ რამეს რომ აბრალებ, დამამტკიცებელი საბუთიც უნდა მოაყოლოო. მისივე თქმით, ჰიონესს ამის გაკეთება სასამართლოში მოუწევს. [illegible]ახ, დაუმი ცილისწამებისთვის სასამართლოში ჩივილს აპირებს.

როგორ განვითარდება მოვლენები, არავინ იცის. თუმც დაუმის შანსები რომ მიზერული გახდა, ნაღდია. ამას უპირველეს ყოვლისა თვით ფრანც ბეკენბაუერის სიტყვებიც ადასტურებს: „აღარ ვარ დარწმუნებული იმაში, რომ დაუმი მართალია".

რა ფასი აქვს ბეკენბაუერის სიტყვას, ვფიქრობთ, განმარტება არ სჭირდება.

# სად ეფენბერგი, სად ჯენტლმენობა



ბოლო დროს ეფენბერგი მარჯვენა ხელს უმნოდ ხმარობს

**აქაოდა,** ტრავმა მაწუხებს და ვარჯიშ-თამაში აკრძალული მაქვსო, მიუნხენის „ბაიერნის" ნახევარმცველმა და კაპიტანმა შტეფან ეფენბერგმა თავს სრული განტვირთვის უფლება მისცა და ორგიაში გადაეშვა.

ეფენბერგი ცოტა ხანში სასამართლოს წინაშე წარდგება. შტეფან ბატონს შაბათს ღამის 1 საათზე ერთ-ერთ მიუნხენურ დისკო-ბარში უკადრებელი უკადრია — გაუქანებია და თავისი მეუღლის თანდასწრებით ახალგაზრდა მანდილოსნისთვის სახეში ხელი მთელი ძალით უთხლეშია. დაზარალებული კლინიკაში წასაყვანი გამხდარა. ფეხბურთელის დამშვიდება-დაწყნარება ბარის დაცვის მუშაკებს უცდიათ, თუმც ამაოდ. ამ ამბით აღშფოთებულ „ეფეს" იქაურობა ლანძღვა-გინებით აუკლია, მერე კი, რომ შეიტყო პოლიციაა გამოძახებულიო, ბარიდან გაქცეულა, თუმც მართლმსაჯულებას მაინც ვერსად წაუვა.

ეფენბერგი შაბათს დღის ოთხის ნახევარზე მეუღლესა და მეგობრებთან ერთად მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონზე" „ბაიერნი" — „ჰანზას" მატჩს დაესწრო, თანაგუნდელების ცოდვილობასა და მარცხს ტრიბუნიდან ადევნა თვალი. მერე კი, ეტყობა გუნების გამოსაკეთებლად, ბარებს ესტუმრა. დისკო-ბარ „P 1"-ში, უკვე გვარიანად შეზარხოშებული, ერთ-ერთ მაგიდასთან მისულა, ეს ადგილი წინასწარ დავჯავშნეო, უთქვამს. კონფლიქტი და ხელის გარტყმაც ამას მოჰყოლია.

პოლიციამ უმალ მოწმეები იპოვა. მათი ჩვენების მიხედვით, ეფენბერგმა მაგიდასთან მსხდომთ ადგომა მოსთხოვა, რაზეც უარი მიიღო. „მე ეფენბერგი ვარ. მსურს, აქ დავჯდე, წაეთრიეთ" — იღრიალა „ეფემ". არც ამან გაჭრა, მაგიდასთან მსხდომნი არც გაინძრნენ. ფეხბურთელმა წონასწორობა დაკარგა და ახალგაზრდა ქალს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, მერე კი ერთი ჭიქა არაყი გადაკრა.

პოლიციამ ჩვენება ეფენბერგსაც ჩამოართვა. „მე ვთხოვე, რომ წინასწარ დაჯავშნილი ადგილი გაეთავისუფლებინათ. იმ ქალბატონმა კი შამპანურით სავსე ჭიქა აიღო და სახეში შემასხა. მე ინსტიქტურად ხელი ავიქნიე, რომ თავი დამეცვა, მას კი თავში მოხვდა, თუმცა კლინიკაში წასაყვანი არაფერი სჭირდა" — ფეხბურთელმა თავი მამა აბრამის ბატკანი გამოიყვანა.

ამ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარი „ბაიერნის" პრეს-ატაშემაც გააკეთა: „ჯერ ვერაფერს ვამბობთ, რადგან არც ვიცით, რა მოხდა. შტეფანს შევხვდებით, დაველაპარაკებით, გავიგებთ, რაში იყო საქმე და ჩვენც ამის მიხედვით ვიმოქმედებთ. ერთი სიტყვით, სიმართლის დადგენას ველით".

სიმართლეს კი სასამართლო დაადგენს, რომლის ჩატარების თარიღიც უახლოეს დღეებში გაირკვევა. ეფენბერგს, თავისი შემოსავლის გათვალისწინებით, ვირის აბანოში თავს არავინ ამოაყოფინებს, მაგრამ გვარიანი ჯარიმის გადახდა რომ მოუწევს, ფაქტია. როგორც ამბობენ, „ეფეს" დაახლოებით 390 ათასი მარკით შეუთხელდება ჯიბე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მოსეშვილი და დინამო ისევ ერთად არიან



ლევან მოსეშვილი კვლავ „დინამოს" უთავკაცებს

**თბილისის** „დინამოში" დიდი ამბებია. ერთ დროს ქართული კალათბურთის ფლაგმანი, წინა ჩემპიონატში კი მეცხრე ადგილამდე დაქვეითებული გუნდი, ჩანს, ბოლოს და ბოლოს სერიოზულად მოეკიდა საქმეს და წარჩინებულთა შორის ადგილის დაბრუნებაც განიზრახა. მეათე ეროვნული ჩემპიონატისთვის კლუბის ხელმძღვანელობამ სოლიდურ შემადგენლობასა მოუყარა თავი, რაც გვაფიქრებინებს, რომ წლეულს „დინამო" პრიზიორთა შორის მოხვედრას დაისახავს მიზნად.

თავდაპირველად იმას გეტყვით, რომ ერთწლიანი განშორების შემდეგ კლუბში მთავარ მწვრთნელად ლევან მოსეშვილი დაბრუნდა. შეგახსენებთ, რომ ბოლოს იგი სდასუ-ს წვრთნიდა, ამიერიდან კი კვლავ „დინამოს" უთავკაცებს. კლუბის სხვა შენაძენთაგან უპირველესად უნდა გამოვყოთ კახაბერ შენგელია და დავით თორთლაძე. არც ესენი არიან უცხონი „დინამოსთვის", შენგელია და თორთლაძე ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში ილვწოდნენ ამ კლუბში და ქომაგმაც სწორედ მაშინ გაიცნო ეს ბიჭები. შენგელია ბოლოს „მაკაბიში" თამაშობდა, თორთლაძე კი — სტუ-ში.

ამ დუეტს წლეულს კიდევ ერთი სახელდაგდებული კალათბურთელი, შოთა უძილაური დაუმშვენებს გვერდს. ეს მრავალნაცადი მოთამაშე შარშან სდასუ-ს ღირსებას იცავდა, ისევე, როგორც ლადო აბულაძე, რომელიც ასევე დინამოელია. აქვე არიან ახალგაზრდა, პერსპექტიული ბიჭებიც — კეიდია, ნინიაშვილი, ორდენიძე, ზერეკიძე, პაპასკირი...

ერთი სიტყვით, მეათე ეროვნულში „დინამო" ნებისმიერი მეტოქისთვის ანგარიშგასაწევი ძალა იქნება.

**გიორგი ბიძაშვილი**

# ჯეფს ბათუმში სტივიც ჩამოაკითხავს. ბასკო კი შესაძლოა ამერიკაშიც წავიდეს

**„ბასკო"** აღარ ხუმრობს. ზღვისპირული გუნდი კიდევ ერთი სერიოზული ტრანსფერისთვის ემზადება — ჩემპიონის ახლანდელ შენაძენს, ჯეფ როჯერსს შესაძლოა მისმა თვისტომმა, სტივენ ოვერსტრიტმაც დაუმშვენოს მხარი.

მოკლედ, ასეა, „ბასკოს" მეორე ამერიკელიც ჩამოჰყავს. სტივენ ოვერსტრიტი დალასიდან გახლავთ. 32 წლის, ამპლუით თავდამსხმელ (204 სმ) ოვერსტრიტს, როგორც შევიტყვეთ, აქამდე არასდროს უთამაშია ევროპაში, იგი მუდმივად კონტინენტური საკალათბურთო ასოციაციის გუნდებში გამოდიოდა.

ამერიკელს 20 ოქტომბრისთვის ელიან ბათუმში. „ბასკოს" მთავარი მწვრთნელი ზურაბ ტომარაძე ოვერსტრიტს საქმეში ნახავს და საბოლოო პასუხს იტყვის, დაიტოვებს თუ არა გუნდში.

ამ თვის ბოლოს ზღვისპირელები საერთაშორისო ტურნეს გეგმავენ. „ბასკომ" შესაძლოა ამერიკაში ამოყოს თავი, განიხილავენ საბერძნეთისა და ლიტვის ვარიანტებსაც.

ბოლოს ერთი სიახლეც: „ბასკოს" ირაკლი მაისურაძე გამოეთხოვა, რომელმაც, ჩანს, გუნდში არსებულ კონკურენციას ველარ გაუძლო. „მაისა" სავარაუდოდ თსუ-ში გააგრძელებს კარიერას.

# ასოციაციაში სოხუმელიც გამოჩნდა

***ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კლუბმა „ფინიქს სანზმა" ბერძნულ კლუბ აეკ-ს სასამართლო პროცესი მოუგო და უკვე საბოლოოდ დაისაკუთრა სოხუმში დაბადებულ-გაზრდილი იაკოვოს ცაკალიდისი***

**ამერიკულ** და ბერძნულ კლუბებს შორის დავა ჯერ კიდევ სამი თვის წინ დაიწყო. ბერძნები თურმე იმას აღუშფოთებია, რომ ცაკალიდისმა თვითნებურად დატოვა კლუბი და ნბა-ს დრაფტში მიიღო მონაწილეობა. მაშინ, როცა აეკ-თან კონტრაქტი აკავშირებს და კიდევ ორი წლით მისი საკუთრება იყო. ბერძნებმა „ფინიქსს" კალათბურთელის დაბრუნება, ხოლო თავად მოთამაშეს ბოდიშის მოხდა მოსთხოვეს. ამაზე ამერიკელებმა უპასუხეს, ცაკალიდისი დრაფტში ავირჩიეთ, ახლა იგი ჩვენი საკუთრებაა და თუ თქვენსას არ დაიშლით, ჩვენს კუთვნილს სასამართლოს ძალით მივიღებთო.

ათენელებმა არ დაიშალეს და „ფინიქს სანზმაც" დანაქადნევი აუსრულა — ლონდონის სასამართლოში უჩივლა. აქ დამტკიცდა, რომ აეკ-ს ცაკალიდისთვის რამდენიმე წლის წინ არალეგალური კონტრაქტი გაეფორმებინა. ბერძნულმა კლუბმა იაკოვოსს იმ სახის ხელშეკრულება დაუდო, როგორც ეს ქვეყანა, მოქმედი კანონის თანახმად კალათბურთელებს (საერთოდ სპორტსმენებს) 21 წლიდან უფორმებს. ცაკალიდისი მაშინ ამხელა არ გახლდათ. მას მხოლოდ წლეულს შეუსრულდა 21. აღსანიშნავია, რომ სასამართლო პროცესამდე თავად კალათბურთელი საერთოდ უარობდა რაიმე კონტრაქტის არსებობას ბერძნულ კლუბთან.

ამ დღეებში ნბა-ში საწვრთნელი ბანაკები გაიხსნა და ცაკალიდისი უკვე „ფინიქსის" სხვა მოთამაშეთა მხარდამხარ ვარჯიშობს. იაკოვოსს ოკეანის გაღმა მეტსახელიც მოუგონეს, „დიდი ჯეკი". მას გამოცდილმა თანაგუნდელებმა მხარზე ხელი დაჰკრეს, მიდი, ითამაშეო. მწვრთნელიც სკოტ სკაილზიც კმაყოფილია, რომ ეს ახმახი ყმაწვილი მის გუნდშია.

კითხვაზე, ფიქრობს თუ არა იგი პირველივე პროფესიულ სეზონში გუნდის სასტარტო ხუთეულში მოხვედრაზე, ცაკალიდისმა უპასუხა, რატომაც არაო. ეს შეუძლებელი ნამდვილად არაა. „ფინიქსი" საკმაოდ ძლიერი გუნდია, ყველა ამპლუაში ჰყავს მძლავრი მოთამაშე, აი, ცენტრის პოზიციაზე კი რიგიანი არავინ გააჩნია. ორიოდ კვირის წინ კლუბმა ძირითადი ცენტრი, 218-





იაკოვოს ცაკალიდისი

სანტიმეტრიანი ლუკ ლონგლი „ნიუ იორკში" გაუშვა, სანაცვლოდ კი გვარიანად შებერებული კრის დადლი მიიღო. ასე რომ, თუ ასევე 218-სანტიმეტრიანმა ცაკალიდისმა პირველივე სეზონში შეძლო ნბა-სთან გაშინაურება, დადლი ის კალათბურთელი არაა, ბერძენს სასტარტო ხუთეულისკენ მიმავალი გზა გადაუღობოს.

**ირაკლი ფირცხალავა**





მარიანა დიას-ოლივა



მაკა ჩახნაშვილი

# მარია მარათონელი

**თბილისი. ქართუ ბანკის ქალთა პირველობა. თიხნარი. საპრიზო 25 000 $**

**ნახევარფინალი: მარიანა დიას-ოლივა (1, არგენტინა) — მაკა ჩახნაშვილი (საქართველო) 6:7 (11:13), 7:5, 6:3; მარია გოლოვიზნინა (რუსეთი) — ივლინ ფაუტი (ავსტრია) 6:2, 6:1.**

**ფინალი: დიას-ოლივა — გოლოვიზნინა 3:6, 6:2, 6:2**

**პარასკევს** თბილისისთვის მეტად უჩვეულო, მთელი დღის განმავლობაში გადაუღებელმა წვიმამ ლეილა მესხის საჩოგბურთო აკადემიაში მიმდინარე ტურნირის ორგანიზატორები და მონაწილეები მძიმე სიტუაციაში ჩააყენა. რაკილა ამ დღეს ვერც ერთი მატჩის გამართვა ვერ მოხერხდა, პირველობა კი აუცილებლად შაბათს უნდა დასრულებულიყო, ნახევარფინალებიცა და ფინალიც მხოლოდ მცირე შესვენებით, თითქმის ერთმანეთის მიყოლებით დაინიშნა. შედეგად მარათონული დღე უფრო გამძლეობაში გამოცდად იქცა.

უამური ამინდისა და ადრეული საათის მიუხედავად, შაბათ დილით მაკა ჩახნაშვილის საგულშემატკივროდ ტრიბუნებზე საკმაოდ ბევრი ქომაგი შეიკრიბა. მხარდაჭერა კი 17 წლის თბილისელს მართლა სჭირდებოდა — მისი მეტოქე ტურნირზე პირველად განთესილი და უპირობო ფავორიტი, არგენტინელი მარიანა დიას-ოლივა გახლდათ.

სხვების არ ვიცი, მაგრამ თავად ჩახნაშვილს წინასწარ განწირულად ვთვლიდი. 24 წლის არგენტინელი, ჯანზე რომ არაფერი ვთქვათ, გამოცდილებითაც და მიღწევებით აშკარად სჯაბნიდა ჩვენებურს: ჯერ კიდევ შარშან ეშტორილში WTA ტურის მსხვილ პირველობაზე ნახევარფინალისტი გახლდათ, დიდი სლემის ტურნირებზეც არაერთხელ უასპარეზია და კლასიფიკაციის მეშვიდე ათეულისთვის მიუღწევია.

მაგრამ დაიწყო მატჩი და არგენტინელის მოსალოდნელი უპირატესობის ნაცვლად აბსოლუტურად თანაბარი ორთაბრძოლა შეგვრჩა ხელში. მაკამ თბილისელ მაყურებლებს სასიამოვნო სიურპრიზი გაუმზადა და დიას-ოლივას თავი არ დააჩაგვრინა.

მოწოდების სიმძლავრეში შესამჩნევ ჩამორჩენას ჩახნაშვილი საზრიანი, სტაბილური თამაშითა და სისწრაფით ანაზღაურებდა, მოულოდნელ სიტუაციებში იმპროვიზაციისა და არაორდინალურად გარჯის უნარით კი მეტოქეს შესამჩნევად სჯობდა. მაგალითად თუნდაც მესამე სეტის დასაწყისში ერთი არაჩვეულებრივი გათამაშება გამოდგება, რომელიც მაკამ, წაქცევის მიუხედავად, კორტზე დამჯდარმა, შემოკლებულის დარტყმით მოიგო. ნამდვილად დამსახურებული ტაშისცემა კარგა ხანს არ მიმწყდარა.

თითქმის სამ საათად გაწელილ შეხვედრაში ჩვენებურს გამარჯვების რეალური შანსიც ჰქონდა. პირველი ხელის დრამატულ ტაი-ბრეიკზე მაკამ რამდენიმე სეტ-პოინტი გადაარჩინა და ნერვების ჭიდილი დიას-ოლივას 13:11 მოუგო. ასევე დაძაბულად, ქულა ქულაში მიმდინარეობდა მეორე ხელიც. ვინ იცის, რა მოხდებოდა საქმე ამჯერადაც ტაი-ბრეიკამდე რომ მისულიყო, მაგრამ საჩოგბურთო ლატარიას არგენტინელი ბეწვზე გადაურჩა.

ჩახნაშვილს ფარ-ხმალი არც გადამწყვეტ სეტში დაუყრია და ბოლომდე ფეხდაფეხ მისდევდა მეტოქეს. სამწუხაროდ, უამრავი ბრეიკ-პოინტის გადარჩენის შემდეგ 3:4-ზე მაკამ მაინც დაკარგა საკუთარი მოწოდება. გამარჯვების პირას აღმოჩენილი დიას-ოლივა ცოტა ხნით განერვიულდა, მატჩპოინტზე ორმაგი შეცდომა დაუშვა და ჩვენებურს ანგარიშის შემცირების შანსებიც გაუჩნდა. მაგრამ მაკას ფორტუნამ შეაქცია ზურგი — რამდენჯერმე დარტყმა მცირე მანძილით ასცდა მიზანს, ან ბადეს მოხვედრილი უკანვე გადმოგორდა.

საბოლოოდ ტურნირის საუკეთესო შეხვედრა არგენტინელის შვებით ამოსუნთქვითა და გამამხნევებელი „ვამოს" შეძახილით დასრულდა, თუმცა მაინცდამაინც გულდაწყვეტილი არც ჩახნაშვილი დარჩენილა. ქების გარდა მაკა სხვას არაფერს იმსახურებს, მით უმეტეს, რომ კოჭის ქვევით ფეხი თურმე გადატყავებულ-გასისხლიანებული ჰქონია და ყველაფერთან ერთად ტკივილის გაძლებაც უხდებოდა.

— ფეხი ჯერ კიდევ ტურნირის დაწყებამდე ვიტკინე და მორჩენა ველარ მოვასწარი. მატჩების წინ ვიხვევდი, მაგრამ არაფერი შველოდა.

**— მაკა, უფრო გახარებული ხარ ნახევარფინალში გასვლით თუ იმედგაცრუებული მეტის მიღწევის შანსის ხელიდან გაშვებით?**

— რა თქმა უნდა, დღეს მოგება მინდოდა და ეს უფრო გამახარებდა, მაგრამ ნახევარფინალში ასპარეზობითაც ბედნიერი ვარ. შესანიშნავი მატჩი იყო და მეტოქის დამარცხებაც შემეძლო.

**— უფულობის გარდა რა გიშლის ხელს, რომ მეტსაც მიაღწიო?**

— უპირველეს ყოვლისა, ტრავმები. ასე მგონია, მუდმივად რაღაც მტკივა, ხან ხელი, ხან ფეხი. ერთს მოვირჩენ, მერე სხვა პრობლემა გამოჩნდება. ზაფხულში, იტალიაში ერთ ტურნირზე საკვალიფიკაციო მატჩები მოვიგე და ძირითად ბადეში მოვხვდი, მაგრამ მუხლები ისე ვიტკინე, თამაში ველარ შევძელი. მერე ორი თვე ვისვენებდი და ვარჯიში ცოტა ხნის წინღა დავიწყე.

**— როდის ეყოლება ქართუს პირველობას ქართველი გამარჯვებული? როდის გაგვახარებ თბილისური ტურნირის მოგებით?**

— ჯერჯერობით თითო ნაბიჯით მივიწევ წინ: შარშან მეოთხედფინალი, წლეულს ნახევარფინალი, გაისად, წესით, ფინალის ჯერია. თუმცა ვნახოთ, დიდი იმედი მაქვს, რომ უკვე 2001-ში ჩემპიონი გავხდები.

რაც შეეხება დიას-ოლივას, არგენტინელმა შაბათს ნამდვილი მარათონელის თვისებები გამოავლინა. ჩახნაშვილთან დამქანცველი შეხვედრის შემდეგ მან სულ რაღაც ორი საათი დაისვენა და ფინალში უკვე რუს მარია გოლოვიზნინას შეება.

თავიდან ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ მთავარი ჯილდო უეჭველად ჩრდილოელ სტუმარს დარჩებოდა. გოლოვიზნინა გაცილებით ენერგიულად გამოიყურებოდა და გაჭირვებით მორბენალ სამხრეთამერიკელს პირველი სეტი იოლადაც მოუგო. თუმცა მძიმე სიტუაციაში ხელმეორედ მოხვედრამ არგენტინელს მეორე სუნთქვა გაუხსნა.

მეორე ხელიდან მოყოლებული, გათამაშებიდან გათამაშებამდე დიას-ოლივას, თითქოს ძალა ემატებოდა, რუსს კი პირიქით — აკლდებოდა. თუ მატჩის ბოლოს გოლოვიზნინა თითქმის დადგა და სულის მოსათქმელად ყოველ წამს იმუხლებდა, არგენტინელს დაღლა აღარ ემჩნეოდა და დაუზარელად დარბოდა კორტის ერთი კიდიდან მეორეში. ასე რომ, თბილისის ტურნირის რიგით მეოთხე გამარჯვებული სწორედ შორეული სამხრეთამერიკული ქვეყნის წარმომადგენელი აღმოჩნდა 3:6, 6:2, 6:2.

— ქალაქის დათვალიერების შესაძლებლობა თითქმის არ მქონია, მაგრამ თქვენი ქვეყანა ძალიან მომეწონა, ხალხი ერთობ კეთილგანწყობილი იყო და ტურნირიც მაღალ დონეზე ორგანიზებული. ერთადერთი, რასაც ვერ შევეგუე, საჭმელებია. ყველაფერზე უარის თქმა და სულ პასტის (მოხარშული მაკარონი) ან პიცის მოთხოვნა მიხდებოდა — ნაქები სამზარეულო დაგვიწუნა დიას-ოლივამ, ხოლო როდესაც ვუთხარი, რომ ჩემპიონები თბილისის ტურნირზე უკან აღარ ბრუნდებოდნენ, ეს განაცხადა — არ ვიცი, გაისად მოვახერხებ თუ არა ჩამოსვლას. ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, კლასიფიკაციაში რომელ ადგილზე ვიქნები. ერთ წელიწადში რა არ შეიძლება მოხდეს, თუმცა საწინააღმდეგო არაფერი მექნება.

**ავთანდილ სვანიძე**

# სპორტული ლატარია "CROCO"

### ინგლისი. I დივიზიონი. მე-11 ტური

6 ოქტომბერი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 002 | ჯილინგემი-ბოლტონი | | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 23.45 | 003 | ჰადერსფილდი-ბარნსლი | | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 23.45 | 004 | ტრანმერი-ბარნლი | | 1,9 | 3,0 | 3,8 |

8 ოქტომბერი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 005 | ქრიუ-ბირმინგემი | | 3,4 | 3,1 | 2,0 |
| 19.00 | 006 | უენსდი-ვესტ ბრომვიჩი | | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 007 | სტოკპორტი-პორტსმუთი | | 2,2 | 2,9 | 3,2 |

### ინგლისი. II დივიზიონი. მე-11 ტური

6 ოქტომბერი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 008 | ბრისტოლი-ბორნმუთი | | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 23.45 | 009 | ბერი-როვერსი | | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 23.45 | 010 | კოლჩესტერი-უოლსოლი | | 3,4 | 3,1 | 2,0 |
| 23.45 | 011 | უიგანი-რედინგი | | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 23.45 | 012 | უიკომბი-ნოტსი | | 1,6 | 3,5 | 4,7 |

8 ოქტომბერი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 013 | ლუტონი-მილუოლი | | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 17.00 | 014 | როტერჰემი-ოლდემი | | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 18.00 | 015 | სუინდონი-ოქსფორდი | | 1,5 | 3,8 | 5,3 |
| 19.00 | 016 | პიტერბრო-პორტ ვეილი | | 2,0 | 3,0 | 3,5 |

### ინგლისი. III დივიზიონი. მე-11 ტური

6 ოქტომბერი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 017 | ჩელტენემი-კარლაისლი | | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 018 | ჩელტენემი-კარლაისლი | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 23.45 | 019 | ჰალი-ბრაიტონი | | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.45 | 020 | კიდერმინსტერი-როჩდეილი | | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 23.45 | 021 | შრიუსბერი-ექსეტერი | | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 23.45 | 022 | იორკი-მენსფილდი | | 2,2 | 3,0 | 3,1 |

7 ოქტომბერი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 16.30 | 023 | ჩესტერფილდი-პლიმუთი | | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 024 | ჩესტერფილდი-პლიმუთი | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 19.00 | 025 | ჰარტლპული-დარლინგტონი | | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 026 | სკანთორპი-ჰალიფაქსი | | 1,5 | 3,6 | 5,6 |

8 ოქტომბერი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 027 | ბარნეტი-მაკლსფილდი | | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 19.00 | 028 | ბლეკპული-საუთენდი | | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 19.00 | 029 | ტორკი-ლეიტონი | | 2,5 | 3,0 | 2,5 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. მე-13 ტური

6 ოქტომბერი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 030 | აიაჩო-ნანსი | | 3,2 | 2,7 | 2,3 |
| 23.00 | 031 | სოშო-ვასკეალი | | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 032 | სოშო-ვასკეალი | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 23.30 | 033 | მონპელიე-ლორიანი | | 1,65 | 3,0 | 5,6 |

7 ოქტომბერი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 034 | ანჟე-გენიონი | | 1,9 | 2,7 | 4,4 |
| 23.00 | 035 | კაენი-ბოვუა | | 1,65 | 2,8 | 6,5 |
| 23.00 | 036 | კანი-ლავალი | | 3,0 | 2,7 | 2,4 |
| 23.00 | 037 | შატორუ-ნიცა | | 1,8 | 2,7 | 5,0 |
| 23.00 | 038 | ლე მანი-ლე ავრი | | 2,5 | 2,6 | 2,9 |
| 23.00 | 039 | მარტიგი-კრეტეი | | 1,9 | 2,7 | 4,4 |
| 23.00 | 040 | ნიორი-ნიმი | | 1,75 | 2,7 | 5,3 |

### იტალია. სერია ბ. მე-6 ტური

6 ოქტომბერი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 041 | პიაჩენცა-კალიარი | | 2,0 | 2,7 | 4,0 |

8 ოქტომბერი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 042 | კიევო-ჩიტადელა | | 1,6 | 2,8 | 7,5 |
| 18.00 | 043 | კოზენცა-ანკონა | | 1,65 | 2,8 | 6,5 |
| 18.00 | 044 | მონცა-ტორინო | | 2,5 | 2,6 | 2,9 |
| 18.00 | 045 | პესკარა-რავენა | | 2,0 | 2,7 | 4,0 |
| 18.00 | 046 | პისტოიეზე-ტრევიზო | | 1,9 | 2,7 | 4,4 |
| 18.00 | 047 | სალერნიტანა-სიენა | | 2,0 | 2,6 | 4,2 |
| 18.00 | 048 | სამპდორია-ემპოლი | | 1,5 | 3,2 | 7,5 |
| 18.00 | 049 | ვენეცია-კროტონე | | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 050 | ვენეცია-კროტონე | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

9 ოქტომბერი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 051 | ტერნანა-ჯენოა | | 1,8 | 2,7 | 5,0 |

### იტალია. სერია ც1/ა. მე-6 ტური

7-9 ოქტომბერი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 052 | ალბინოლეფე-კარარეზე | | 1,65 | 2,8 | 6,5 |
| 18.30 | 053 | ალძანო-ლუკეზე | | 1,7 | 2,7 | 6,0 |
| 18.30 | 054 | არეცო-ვარეზე | | 2,4 | 2,5 | 3,2 |
| 18.30 | 055 | ჩეზენა-ალესანდრია | | 1,35 | 3,8 | 8,0 |
| | 056 | ჩეზენა-ალესანდრია | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 18.30 | 057 | კომო-ლეკო | | 1,45 | 3,4 | 7,5 |
| | 058 | კომო-ლეკო | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 18.30 | 059 | ლუმეცანე-სპალ | | 2,3 | 2,5 | 3,4 |
| 18.30 | 060 | პიზა-ბრეშელო | | 1,7 | 2,7 | 6,0 |
| 18.30 | 061 | რეჯანა-ლივორნო | | 1,9 | 2,6 | 4,7 |
| 18.30 | 062 | სპეცია-მოდენა | | 2,7 | 2,6 | 2,7 |

### იტალია. სერია ც1/ბ. მე-6 ტური

7-9 ოქტომბერი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 063 | ასკოლი-კატანია | | 1,9 | 2,6 | 4,7 |
| 18.30 | 064 | ატლეტიკო-ფერმანა | | 3,1 | 2,6 | 2,4 |
| 18.30 | 065 | აკილა-ლოდიჯანი | | 1,75 | 2,7 | 5,3 |
| 18.30 | 066 | მესინა-ფ.ანდრია | | 1,9 | 2,6 | 4,7 |
| 18.30 | 067 | ნოჩერინა-ჯულიანოვა | | 1,6 | 2,9 | 7,0 |
| 18.30 | 068 | პალერმო-ბენევენტო | | 1,55 | 3,0 | 7,5 |
| 18.30 | 069 | ტორესი-აველინო | | 2,2 | 2,6 | 3,5 |
| 18.30 | 070 | სავოია-ვიტერბეზე | | 1,4 | 3,4 | 7,5 |
| | 071 | სავოია-ვიტერბეზე | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 18.30 | 072 | პეზარო-დი სანგრო | | 1,9 | 2,5 | 5,0 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. მე-6 ტური

7-8 ოქტომბერი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 073 | ბადახოსი-ელჩე | | 2,1 | 2,8 | 3,5 |
| 21.00 | 074 | ატლეტიკო-ფეროლი | | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 075 | ატლეტიკო-ფეროლი | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 21.00 | 076 | კორდობა-ბეტისი | | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 21.00 | 077 | უნივერსიდადი-კომპოსტელა | | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 21.00 | 078 | ტენერიფე-ხაენი | | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 21.00 | 079 | ესტრემადურა-უელვა | | 1,7 | 2,9 | 5,3 |
| 21.00 | 080 | ეიბარი-ლევანტე | | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 21.00 | 081 | მურსია-ხეტაფე | | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 21.00 | 082 | სალამანკა-სპორტინგი | | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 21.00 | 083 | სევილია-ალბასეტე | | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 21.00 | 084 | ლეიდა-ლეგანესი | | 2,1 | 3,0 | 3,3 |

### ჰოლანდია. II დივიზიონი. გადადებული მატჩები

7 ოქტომბერი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 085 | ჰერაკლესი-ცვოლე | | 2,0 | 3,0 | 3,5 |

8 ოქტომბერი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 086 | ჰაარლემი-დენ ჰააგი | | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 17.30 | 087 | იგლსი-დენ ბოსხი | | 3,0 | 3,1 | 2,2 |

### ბელგია. II დივიზიონი. მე-8 ტური

8 ოქტომბერი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 088 | ტინენი-ლომელი | | 3,1 | 3,0 | 2,2 |
| 18.00 | 089 | ჰეკელგემი-დაინცე | | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 18.00 | 090 | დესელი-მაასლანდი | | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 18.00 | 091 | ტურნჰაუტი-მოლენბეკი | | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 18.00 | 092 | ინგელმუნსტერი-ჰეუსდენი | | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 18.00 | 093 | სტრომბეკი-სერკლი | | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 18.00 | 094 | გეელი-რუზელარე | | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 095 | გეელი-რუზელარე | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 18.00 | 096 | ოსტენდე-მონსი | | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 18.00 | 097 | დენდერლეუ-ლიეჟი | | 1,6 | 3,4 | 5,0 |

### ჰოლანდია. თასი

4 ოქტომბერი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 001 | გრააფსხაპი-მაასტრიხტი | | 1,4 | 3,6 | 6,5 |

### ამხანაგური მატჩები

4 ოქტომბერი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 501 | საფრანგეთი-კამერუნი | | 1,3 | 4,0 | 7,5 |

7 ოქტომბერი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 502 | ს.აფრიკა-საფრანგეთი | | 3,8 | 3,1 | 1,8 |

### მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

7 ოქტომბერი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 503 | სომხეთი-უკრაინა | | 6,0 | 3,5 | 1,45 |
| 19.00 | 504 | ინგლისი-გერმანია | | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 19.00 | 505 | ანდორა-ესტონეთი | | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| 19.00 | 506 | ჩრდ.ირლანდია-დანია | | 3,4 | 2,9 | 2,1 |
| 19.00 | 507 | შვედეთი-თურქეთი | | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 19.00 | 508 | უელსი-ნორვეგია | | 4,4 | 3,0 | 1,75 |
| 20.00 | 509 | ჩეხეთი-ისლანდია | | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | 510 | ჩეხეთი-ისლანდია | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 20.00 | 511 | მოლდოვა-სლოვაკეთი | | 3,6 | 3,1 | 1,9 |
| 20.15 | 512 | შვეიცარია-ფარერები | | 1,05 | 9,0 | 18,0 |
| | 513 | შვეიცარია-ფარერები | 0:3 | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 20.30 | 514 | ბულგარეთი-მალტა | | 1,05 | 9,0 | 18,0 |
| 20.30 | 515 | ბულგარეთი-მალტა | 0:3 | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 21.00 | 516 | ლიტვა-საქართველო | | ანგარიში - 5,0 | | |
| 22.00 | 517 | საბერძნეთი-ფინეთი | | 1,55 | 3,1 | 6,0 |
| 22.15 | 518 | ლუქსემბურგი-სლოვენია | | 10,0 | 5,6 | 1,15 |
| 22.30 | 519 | კვიპროსი-ჰოლანდია | | 7,5 | 4,0 | 1,3 |
| 22.45 | 520 | სან მარინო-შოტლანდია | | 20,0 | 8,0 | 1,03 |
| 23.00 | 522 | მაკედონია-აზერბაიჯანი | | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 523 | მაკედონია-აზერბაიჯანი | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 23.00 | 524 | პოლონეთი-ბელარუსი | | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 525 | პოლონეთი-ბელარუსი | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 23.15 | 526 | ლატვია-ბელგია | | 4,2 | 3,0 | 1,8 |
| 23.30 | 527 | ლიხტენშტაინი-ავსტრია | | 20,0 | 8,0 | 1,03 |
| 23.45 | 528 | იტალია-რუმინეთი | | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 529 | იტალია-რუმინეთი | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 00.30 | 530 | ესპანეთი-ისრაელი | | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | 531 | ესპანეთი-ისრაელი | 0:2 | 1,7 | 4,0 | 2,5 |
| 01.00 | 532 | პორტუგალია-ირლანდია | | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 04.00 | 533 | კოლუმბია-პარაგვაი | | 1,6 | 3,1 | 6,0 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 8 ოქტომბერი | | | |
| 20.00 | 534 | მექსიკა-ტრინიდადი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 23.30 | 535 | სენტ ვინსენტი-სალვადორი | 5,0 | 4,0 | 1,4 |
| 24.00 | 536 | ვენესუელა-ბრაზილია | 12,0 | 6,0 | 1,1 |
| 24.00 | 537 | ჰონდურასი-იამაიკა | 2,0 | 2,0 | 3,5 |
| 01.00 | 538 | ბოლივია-პერუ | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 02.00 | 539 | ეკვადორი-ჩილე | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 04.00 | 540 | არგენტინა-ურუგვაი | 1,4 | 3,6 | 7,5 |
| | | 9 ოქტომბერი | | | |
| 24.00 | 541 | კანადა-პანამა | 1,3 | 4,0 | 7,5 |

**ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები. 21 წლამდე**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 6 ოქტომბერი | | | |
| 17.00 | 542 | კვიპროსი-ჰოლანდია | 6,5 | 3,6 | 1,4 |
| 17.00 | 543 | მაკედონია-აზერბაიჯანი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 17.00 | 544 | სომხეთი-უკრაინა | 4,4 | 3,1 | 1,65 |
| 17.00 | 545 | ლატვია-ბელგია | 3,1 | 3,0 | 2,1 |
| 18.00 | 546 | მოლდოვა-სლოვაკეთი | 2,9 | 3,0 | 2,2 |
| 18.00 | 547 | ლიტვა-საქართველო | ანგარიში - 5,0 | | |
| 18.15 | 548 | პოლონეთი-ბელარუსი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 19.00 | 549 | ბულგარეთი-მალტა | 1,05 | 6,0 | 12,0 |
| 19.00 | 550 | ჩეხეთი-ისლანდია | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 22.15 | 551 | ლუქსემბურგი-სლოვენია | 7,0 | 3,8 | 1,3 |
| 22.30 | 552 | საბერძნეთი-ფინეთი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 23.30 | 553 | ჩრდ.ირლანდია-დანია | 2,9 | 2,8 | 2,4 |
| 23.30 | 554 | უელსი-ნორვეგია | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 23.30 | 555 | საფრანგეთი-ავსტრია | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 23.30 | 556 | ესპანეთი-ისრაელი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 23.45 | 557 | შვედეთი-თურქეთი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 23.45 | 558 | იტალია-რუმინეთი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 23.45 | 559 | ინგლისი-გერმანია | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 01.00 | 560 | პორტუგალია-ირლანდია | 1,55 | 3,2 | 5,0 |

**ჰოკეი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 4 ოქტომბერი | | | |
| 24.00 | 901 | დალასი-კოლორადო | 1,8 | 4,0 | 2,3 |
| | | 5 ოქტომბერი | | | |
| 24.00 | 902 | ბოსტონი-ოტავა | 1,9 | 4,0 | 2,2 |
| 24.00 | 903 | ბუფალო-ჩიკაგო | 1,5 | 4,0 | 3,2 |
| 24.00 | 904 | ფილადელფია-ვანკუვერი | 1,25 | 4,0 | 5,0 |
| 24.00 | 905 | კალგარი-დეტროიტი | 2,5 | 4,0 | 1,7 |
| 24.00 | 906 | ფინიქსი-სენტ ლუისი | 2,0 | 4,0 | 2,1 |
| | | 6 ოქტომბერი | | | |
| 24.00 | 907 | ვაშინგტონი-ლოს ანჯელესი | 1,6 | 4,0 | 2,9 |
| 24.00 | 908 | ნიუ ჯერსი-მონრეალი | 1,25 | 4,0 | 5,0 |
| 24.00 | 909 | ტამპა ბეი-აილენდერსი | 1,9 | 4,0 | 2,2 |
| 24.00 | 910 | ფლორიდა-ვანკუვერი | 1,35 | 4,0 | 4,0 |
| 24.00 | 911 | ედმონტონი-დეტროიტი | 2,5 | 4,0 | 1,7 |
| 24.00 | 912 | ანაჰაიმი-მინესოტა | 1,3 | 4,0 | 4,0 |
| 24.00 | 913 | სან ხოსე-სენტ ლუისი | 2,2 | 4,0 | 1,9 |
| 24.00 | 914 | პიტსბურგი-ნეშვილი | 1,35 | 4,0 | 4,0 |
| | | 7 ოქტომბერი | | | |
| 24.00 | 915 | ბუფალო-ლოს ანჯელესი | 1,6 | 4,0 | 2,9 |
| 24.00 | 916 | ტორონტო-მონრეალი | 1,3 | 4,0 | 4,4 |
| 24.00 | 917 | ოტავა-დალასი | 2,0 | 4,0 | 2,1 |
| 24.00 | 918 | ფილადელფია-ბოსტონი | 1,3 | 4,0 | 4,4 |
| 24.00 | 919 | კაროლინა-ვაშინგტონი | 2,0 | 4,0 | 2,1 |
| 24.00 | 920 | ატლანტა-რეინჯერსი | 2,5 | 4,0 | 1,7 |
| 24.00 | 921 | კოლუმბუსი-ჩიკაგო | 2,2 | 4,0 | 1,8 |
| 24.00 | 922 | ედმონტონი-კოლორადო | 2,2 | 4,0 | 1,9 |
| 24.00 | 923 | ფინიქსი-მინესოტა | 1,2 | 4,0 | 5,0 |
| 24.00 | 924 | პიტსბურგი-ნეშვილი | 1,35 | 4,0 | 4,0 |
| | | 8 ოქტომბერი | | | |
| 24.00 | 925 | ანაჰაიმი-სენტ ლუისი | 2,1 | 4,0 | 2,0 |
| 24.00 | 926 | ტამპა ბეი-ვანკუვერი | 2,1 | 4,0 | 2,0 |
| | | 9 ოქტომბერი | | | |
| 24.00 | 927 | ბოსტონი-ფლორიდა | 2,0 | 4,0 | 2,1 |
| 24.00 | 928 | კოლუმბუსი-ლოს ანჯელესი | 2,4 | 4,0 | 1,7 |
| 24.00 | 929 | ტორონტო-დალასი | 1,8 | 4,0 | 2,3 |

**დროებით შეჩერდა კროკოს ბიუროთა მუშაობა**

## ბათუმსა და ქუთაისში

**მუშაობის განახლების თარიღი წინასწარ გამოცხადდება**

### კროკოს ადმინისტრაციის განცხადება

ამჟამად კროკოს ბიუროები თბილისის გარდა მუშაობს მხოლოდ გორში (სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი), თელავში (კოსტავას ქუჩა №23), რუსთავში (შარტავას ქუჩა №7) და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, ფირმა კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გათამაშების წესები

**თამაშში** მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

# ღრიალის რეკორდი

დელა ჰოუპსი, რიგიანი გოგო, გინესის ახალი რეკორდის დამყარებას გვიდასტურებს. ამერიკული ფეხბურთის მატჩზე „დენვერ ბრონკოსსა“ და „ნიუ ინგლენდ პეტრიოტს“ შორის ღრიალის მაჩვენებელი 128,7 დეციბელამდე ასულა. ამგვარი ხმაური, ვინძლო, „გალათასარაის“ თამაშებზეც არ იყოს.



REUTERS დენვერიდან






REUTERS სიდნეიდან

# ვაა, იურიკჯან?!

კაცი ქალს ზურგზე უნდა აჯდებოდეს?! მაგრამ ოლიმპიადის დახურვისას სიდნეის ქუჩებში გამოფენილ ხალხს დიდი ჭკუა მოეკითხებოდა?! ჰოდა, ფოტოგრაფმაც ჩხაკ და: გაავსტრალიელებული სომეხი სპორტსმენი კაცი იურიკ სარქისიანი მის ბედშივე მყოფ სპორტსმენ ქალს მიშელ კეტინიანს წამოსკუპებია და ორივენი ასე უცნაურად მხიარულობენ. სიდნეის ქუჩაშივე ალბეჭდეს ოზთა კერპი იან ტორპიც, რომელსაც თავისი ოლიმპიური ოქრო-ვერცხლი ბოშა ქალის ჩხარუნებივით კისერზე ჩამოუკონწიალებია და ხალხს ესალმება. ოლიმპიადის დახურვის მონაწილენი და მოსეირენი რომ ურიცხვნი იყვნენ, ეს მესამე ფოტოზეც ცხადად ჩანს.



REUTERS სიდნეიდან

# დიეგოს წიგნი გამოუცია

ბოლოდროინდელმა ოლიმპიურმა რიარიამ მარადონა ცოტა უყურადღებოდ დაგვიტოვა. მაგრამ დასრულდა სიდნეური თამაშები და საფეხბურთო ექს-გენიოსი კვლავაც ყურადღების არეშია. წარმოგიდგენთ მარადონას ცხოვრების ჰავანური პერიოდის ერთ მომენტს: დიეგოს წიგნი გამოუცია ამაყი სათაურით: „მე დიეგო ვარ“ და ახლა სწორედ მას კითხულობს.


REUTERS ჰავანიდან

# ტკბილი ფერარი

„ფერარიში“ მიხაელ შუმახერი ზის. ეს ის „ფერარი“ არ არის, ზოგიერთ შაბათს რომ გერმანელი ძლივს ჩაჯდება ხოლმე კომბინეზონ-მუზარადში გამოწყობილი. ეს თავახდილი „ფერარია“, გართობის, მხიარულების, ერთი სიტყვით, ტკბილი ცხოვრების „ფერარი“. შუმის ამაყ-ლაღად შემართული მარცხენაც ამის დასტურია. იგი თავისი ფირმის მანქანას გერმანიაში, ჰოკენჰაიმის გამოფენაზე წარმოადგენს.


REUTERS ჰოკენჰაიმიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეძველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია**. ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის რედაქცია** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაწურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge